ვულფოვიცის კანდიდატურას ცივად შეხვდნენ

A5

მაღალტექნოლოგიური ამუნიცია ამერიკელი ჯარისკაცებისთვის

B6

ვუდი და ვუდი

B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 18 მარტი, 2005 წელი. №61 (921)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

პრემიერს, სპიკერს და მაჟორიტარებს სოფელი "უხმობს"

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ მაჟორიტარ დეპუტატებს შეხვდნენ. საუბრის თემა მეტად პროზაული იყო - სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობა. მიუხედავად ამისა, შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ჩატარდა.

A2

ეკონომიკა

ეკონომიკის სამინისტროს ობიექტები "ჩაუვარდა"

ეკონომიკის სამინისტროს მიერ გასაყიდად გამოტანილი ცხრა ობიექტიდან გუშინ მხოლოდ ორი გაიყიდა.

A4

ღია წერილი მის აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტს

A3

ამინდი

	18/3	19/3	20/3
თბილისი	13	13	7
ქუთაისი	12	8	4
ბათუმი	14	7	6
სოხუმი	8	6	0
ფოთი	11	4	4
თელავი	10	11	4
ზუგდიდი	11	6	3
გორი	8	7	2
ახმეტა	11	12	6
ჭიათურა	8	6	3
გაგრა	7	6	-1
სამტრედია	12	7	5

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8350
ევრო	2.4585
ბირვანქა სტერლ.	3.5298
რუბლი	0.0668

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
ეკონომიკა	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
საზოგადოება	A6	მეცნიერება	B6
სამართალი	A7	TV პროგრამა	B7
პროექტი	A8	სხვადასხვა	B8

ნატო-სთან და ევროკავშირთან დაახლოების გზა

უსაფრთხოების მრჩეველთა საერთაშორისო საბჭომ საკუთარი საქმიანობა შეაჯამა

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ უსაფრთხოების საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო საქართველოს პარლამენტის წინაშე საკუთარი საქმიანობის ერთგვარი ანგარიშით წარდგა. საბჭომ ჯერ დახურულ კარს მიღმა პარლამენტის თავმჯდომარეს, მოგვიანებით კი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროებისა და საგარეო საქმეთა კომიტეტებს მთელი რიგი რეკომენდაციები და რჩევები გადასცა, რომელთა შესრულების შემთხვევაში, უცხოელ ექსპერტთა აზრით, საქართველო ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეს უფრო მიუახლოვდება.

დოკუმენტი საკმაოდ სქელტანიანია. მასში მიმოხილულია საქართველოში მიმდინარე პროცესები, თავდაცვისა უშიშროების სფეროში გატარებული რეფორმები, აგრეთვე, საუბარია იმ რეკომენდაციებზე, რომელიც, ექსპერტთა აზრით, სწრაფად უნდა შესრულდეს. დოკუმენტში ჩამოთვლილია 20 სასწრაფოდ განსახორციელებელი ნაბიჯი, რათა, როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს,

გაგრძელება A3 გვერდზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

კოტე გაბაშვილი კმაყოფილია სერ ჰარი ჯონსონის დასკვნებით.

ევროპის საბჭომ საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულება შეაფასა

ევროპის საბჭო 14 მარტით დათარიღებულ დოკუმენტში - "ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება: საქართველოში არსებული მდგომარეობა" - ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ, საერთო ჯამში, დადებით შეფასებებს გამოთქვამს. თუმცა, დღის წესრიგში კვლავ აჭარის სტატუსის, დეპორტირებულ მესხთა რეპატრიაციის, ადამიანის უფლებების დაცვის, ასევე მედიისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხებს აყენებს.

ევროპის საბჭოს პერიოდული მოხსენება საქართველოში 2004 წლის ივლისში – 2005 წლის თებერვალში მიმდინარე პროცესების შეფასებას წარმოადგენს. "საქართველოს ხელისუფლება მტკიცედ განაგრძობს ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარებას, რომელთა მიზანიცაა საქართველოს თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება," - ნათქვამია მოხსენებაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

დაგვიბრუნეთ ივო შუშაკი!

B1



ივო შუშაკი

გია გეგუჩაძე

იხილეთ B3 გვერდზე

წალკაში კვლავ დაძაბულობაა

მაია მოსიაშვილი

გუშინ საღამოს მორიგი ინციდენტი მოხდა წალკაში. წინასწარი ინფორმაციით, წინა დღეს ერთ-ერთ ბერძნულ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა. პოლიციამ ერთი თავდამსხმელი დააკავა კიდეც. დანაშაულში ეჭვმიტანილები ჩასახლებული აჭარლები აღმოჩნდნენ. როგორც ამბობენ, "სამართლიანობის აღსადგენად", ბერძნები და სომხები დაირაზმნენ, დაახლოებით 30 კაცი, ავრალოში ჩასახლებულ აჭარლებს თავს დაესხნენ და ათამდე კაცი სასტიკად სცემეს. გუშინ საღამოსვე ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თითქმის მთელი შემადგენლობა წალკაში გადაისროლეს.

ჯგუფური შეტაკებები წალკაში პერმანენტულად წლების მანძილზე ხდება. ამის გამო იქ ხელისუფლებამ ორჯერ შეიყვანა შინაგანი ჯარის საკმაოდ დიდი ნაწილი - პირველად ლევან მამალაძის გუბერნატორობის დროს, ბოლოს კი ერთი წლის წინ. რაიონში გარეგნული სიმშვიდე მანამდე გაგრძელდა, სანამ იქ შეიარაღებულ ჯარისკაცებს ხედავდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

დრამა ბაზარში

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთის მთავარი სავაჭრო მოედანი - სოხუმის ცენტრალური ბაზარი ცივილიზებული ბიზნესისათვის ბრძოლის პირველი მსხვერპლი გახდა.

ახლა სოხუმელებს საშუალება აქვთ, ცენტრალური და სოხუმის ხელისუფლებების სასტიკი ბრძოლის მეორე რაუნდს მიადევნონ თვალი. ეს ბრძოლა სოხუმის ცენტრალურ ბაზარში მომუშავე მეწარმეების წინააღმდეგ არის მიმართული.

პირველი ეტაპი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გაიმართა და ხაჯიმბას ხელისუფლებაზე მეწარმეთა სრული გამარჯვებით დასრულდა. მაშინ, ხაჯიმბას ხელისუფლება ცდილობდა, რომ ბაზრობა, სადაც ათასნაირი ძველი ნივთით ვაჭრობდნენ, სპეციალურად აშენებულ სავაჭრო მოედანზე გადაეტანა, რომელიც მეზობლად, ქარხანა "სოხუმპრიბორის" ტერიტორიაზე მდებარეობდა და რომელიც უკვე გადაიქცა სავაჭრო ცენტრად.

მეწარმეებმა მაშინ მთავრობის სახლის წინ საპროტესტო აქცია გამართეს, რომელსაც პრესაში საკმაოდ ძლიერი პიარ-კამპანია დაერთო. შედეგად, როგორც ჩანს, მათ შეძლეს დაერწმუნებინათ ყველა, რომ ხელისუფლებამ იმიტომ მიიღო ბაზრობის "სოხუმპრიბორის" ტერიტორიაზე გადატანის გადაწყვეტილება, რომ რუსული კომპანიის, ინვესტორის ინტერესებს იცავდა, რომელმაც ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრი ააშენა და ცდილობდა, ამ ცენტრიდან მუდმივი შემოსავალი მიეღო.

ხაჯიმბამ, ბოლოს და ბოლოს, შეცვალა საკუთარი ხელისუფლების გადაწყვეტილება. ბაზრობა იქ დარჩა, სადაც მანამდე იყო. მეწარმეთათვის იქ დარჩენა პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ძველი სავაჭრო მოედანი ქალაქში პოპულარულია და იქ ყოველთვის ბევრი მყიდველია.

ამასობაში, "სოხუმპრიბორი" პარალელურად "ვითარდებოდა". იქ ახალი სავაჭრო წერტილები გაიხსნა. თუმცა, გაცილებით ნაკლები მიმოსვლაა, ვიდრე ბაზრის ცენტრალურ კორპუსში.

უნდა ითქვას, რომ მეწარმეებმა მშვიდად მხოლოდ ერთი წელი იმუშავეს. ახალმა მთავრობამ და ქალაქის მერმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს სოხუმის ბაზრის ეკონომიკაში ახალი ცივილიზებული ნორმები და წესრიგი დაემყარებინათ. გაიხსენეს ბაზრობის წარუმატებელი

გაგრძელება A2 გვერდზე

წალკაში კვლავ დაძაბულობაა

პირველი გვერდიდან

მოკლედ, ხელისუფლები იცვლებიან, წალკაში კი ყველაფერი ძველებურადაა. მაღალმთიან წალკაში ეთნიკური ხასიათის ფეთქებადსაშიშ მდგომარეობაზე დღემდე მწირი ინფორმაცია არსებობს. ძველი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ამ რაიონში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტების თაობაზე ინფორმაციას არ გაეჟღერებინა...

სტიქიით დაზარალებული აჭარლები, სვანები, გურულები იქ დიდი ხანია ცხოვრობენ, მაგრამ დღემდე საკუთარი სახლი და მიწა არ გააჩნიათ. ადგილობრივი ბერძენი და სომეხი მოსახლეობა კი წალკაში საცხოვრებლად ჩასულ ქართველებს ქურდობა-ყაჩაღობაში ადანაშაულებს და უკვე მერამდენედ ჯგუფურად უსწორდება მათ. ჩვენი ინფორმაციით, დღემდე ამგვარი ინციდენტის მონაწილე არც ერთი ადამიანი არ დასჯილა.

წალკაში სიტუაციის დაძაბვა ყველაზე მეტად იქ ეკომიგრანტების ჩასახლების ახლახან განახლებულ პროცესს შეუშლის ხელს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, წალკაში სიტუაციის დაძაბვა ხელსაყრელია იმ ძალებისთვის, რომლებსაც ამ რაიონში ჩასახლების პროცესის განახლება არ სურთ.

დემილიტარიზაციის პროცესი განახლდება

შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ პროტოკოლს.

გოგა ხაინდრავას განცხადებით, პროტოკოლში მთავარი ადგილი დემილიტარიზაციის საკითხს უკავია, რომელიც კლიმატური პირობების გამო ზამთარში შეჩერებული იყო და უახლოეს პერიოდში განახლდება. ამასთან, სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ უახლოეს ხანში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერის ედუარდ კოკოითის შეხვედრა გაიმართება.

სამხრეთ ოსეთის დელეგაცია შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი დარჩა.

"საერთო ჯამში კმაყოფილები ვართ. შევთანხმდით კონკრეტულ ვადებზე. ეს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას ეხება," – განაცხადა სამხრეთ ოსეთის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა.

კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა მოსკოვში პრესკონფერენცია გამართა, სადაც აღნიშნა, რომ მიღწეულია შეთანხმება კონფლიქტის ზონაში არსებული სანგრების ლიკვიდაციაზე.

გოგა ხაინდრავას თქმით, დემილიტარიზაციის შემდგომი ნაბიჯი კონფლიქტის ზონიდან უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გამოყვანას გულისხმობს. მისი თქმით, ქართული და სამხრეთ ოსური მხარეები ამ ჯარებს ერთ კონკრეტულ ადგილას განათავსებენ, რომელიც, რეგულარული მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ხელმისაწვდომი გახდება კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალებისთვის და ეუთო-ს დამკვირვებლებისთვის.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერა მაისშივე იქნება შესაძლებელი.

"მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ყოვლისმომცველი ხელშეკრულების გაფორმება უკვე გაზაფხულზე, მაისში შეგვიძლია. ეს საშუალებას მოგვცემს, პრობლემური ზონების საკითხები გადავჭრათ," – თქვა მან.

ხაინდრავა საქართველოსა და რუსეთის თანამშრომლობის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად მოსკოვის მხრიდან ცხინვალისა და სოხუმის მხარდაჭერას მიიჩნევს. მეორე მიზეზი, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის გაჭიანურებაა. ამასთანავე მან იმედი გამოთქვა, რომ მხარეები ამ საკითხზე შეთანხმებას მიაღწევენ. **"პოლიტიკურ დონეზე მოწინააღმდეგეებად ვითვლებით. სინამდვილეში სერიოზული პარტნიორები ვართ,"** – თქვა მან.

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თბილისი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ლიდერების შეხვედრას. **"თუ უნდათ, შეხვდნენ,"** – თქვა მან.

"ამ შეხვედრას არავითარი პერსპექტივები არ გააჩნია ისევე, როგორც პერსპექტივები არ აქვს სეპარატიზმს," – ხაზი გაუსვა ხაინდრავამ.

24 საათი

პრემიერს, სპიკერს და მაჟორიტარებს სოფელი "უხმობს"

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ მაჟორიტარ დეპუტატებს შეხვდნენ. საუბრის თემა მეტად პროზაული იყო - სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობა. მიუხედავად ამისა, შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ჩატარდა.

"რა ვქნათ? გავაძროთ მთავრობას ტყავი?" - პრემიერთან დიალოგის დაწყების წინ "კუნთებზე" იყურებოდა ზოგიერთი პარლამენტარი.

"მაგათ იმდენი ტყავი აქვთ, რომ..." - საკუთარი უძლურების განცდა არ ტოვებდა სხვა დეპუტატებს.

თავად შეხვედრაზე კი მნიშვნელოვანი რომ არაფერი მომხდარა, ამას შეკრების დასრულების შემდეგ კანონმდებლები ერთხმად ადასტურებდნენ.

"საქმიანი საუბარი გვქონდა. თითოეულმა მაჟორიტარმა თავისი რაიონის პრობლემები წამოწია. თუმცა, ნოღაიდელი ისედაც საქმის კურსში იყო და დახმარებას შეგვპირდა," - აღნიშნა ფრაქცია "საქართველოს რეგიონების" თავმჯდომარემ, ლენტეხის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი ლიპარტელიანმა.

მისი ლანჩხუთელი კოლეგა ბიძინა გუჯაბიძე კი აშკარად უკმაყოფილო ჩანდა.

"ამ მთავრობას რეგიონებიც და, საერთოდ, მთელი საქართველო ფეხებზე ჰკიდია. მხოლოდ იმას გაიძახიან, გვაცალეთ, ვმუშაობთო," - ხელისუფლების მიმართ კრიტიკას არ იშურებდა ოპოზიციონერი დეპუტატი. გუჯაბიძის განცხადებით, პრეზიდენტ სააკაშვილის საჩუქარი - 20 ლიტრი უფასო საწვავი - გლეხებს არ ეყოფათ. მისი მტკიცებით, თითოეულ მოსახლეზე, მინიმუმ, 80 ლიტრია საჭირო და რადგან სახელმწიფოს ასეთი საჩუქრის გაკეთება არ შეუძლია, მეწარმეებს ქვეყანაში საწვავის იაფად შემოტანის საშუალება უნდა მიეცეთ...

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სპიკერი და პრემიერი "პროზაულ თემებზე" სამსჯელოდ მიემართებიან.

თუ სასოფლო-სამეურნეო პრობლემებზე მსჯელობას ხელისუფლებაასაიდუმლოებს, სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრი ღიად საუბრობს საპრივატიზაციო და საბიუჯეტო საკითხებზე.

ბოლო პერიოდში გავრცელებული ხმების მიხედვით, ეჭვის ქვეშ დადგა საოკეანო სანაოსნოს პრივატიზება და, შესაბამისად, საპრივატიზაციო სახსრების ხარჯზე 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდა სათუო შეიქნა.

"ტენდერები ჩაიშალა და რის იმედზე აპირებს მთავრობა ბიუჯეტის გაზრდას, არ ვიცით," - კერძო საუბრებში თავიანთ ეჭვებს არ მალავენ დეპუტატები.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც ადასტურებს, რომ საოკეანო სანაოსნოს პრივატიზების პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ გაზრდილი ბიუჯეტის პროექტს მთავრობა პარლამენტში აუცილებლად წარადგენს.

ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს მთავრობის მეთაურმა ამერიკის ელჩის გამონათქვამებზეც გააკეთა კომენტარი. კერძოდ, რიჩარდ მაილსის მოსაზრება მაგისტრალურ გაზსადენთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრს მასმედიის მიერ არასწორად ინერპრეტირებულად მიაჩნია.

მაჟორიტარებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დაადასტურა ინფორმაცია მნიშვნელოვანი საკადრო გადაადგილების შესახებ. სპიკერის თქმით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე წარადგინა. საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის გამოთავისუფლებულ სავარძელს კი, ბურჯანაძის განცხადებით, დეპუტატი ირაკლი კოვზანაძე დაიკავებს.

დრამა ბაზარში

პირველი გვერდიდან

გადატანის მცდელობა. მეტიც: პირველ აპრილამდე, მიზნად ბაზრობის "სოხუმპრიბორის" ტერიტორიაზე გადატანა დაისახეს.

ლოგიკა, რომლითაც ახალი ხელისუფლება ხელმძღვანელობს, ზუსტად იგივეა, რაც წინა ხელისუფლებას ჰქონდა. ცენტრალური ბაზრის მეორე სართულზე, ნივთების ბაზრობასთან ერთად, ფუნქციონირებს სასურსათო ბაზარიც და, მთლიანობაში, ტანსაცმელიცა და პროდუქტიც ერთად იყიდება. ამიტომაც, პირველ რიგში, ადგილი ცოტაა. მეორე: სივიწროვის გამო, პროდუქტები ანტისანიტარიულ პირობებში იყიდება. ბაზრობის გადატანის შემთხვევაში, ადგილები ორჯერ გაიზრდება და იმის საშუალება გაჩნდება, რომ სასურსათო ბაზარს ყველა საჭირო პირობა შეექმნას.

ხელისუფლების ქმედებების ლოგიკაში მედლის მეორე მხარეც არსებობს. ძნელი სათქმელია, რით ხელმძღვანელობდა ძველი ხელისუფლება, როცა ბაზრობის გადატანის გადაწყვეტილებას იღებდა. შესაძლებელია, მართლაც არსებობდა მოლაპარაკება კომპანიასთან, რომელმაც "სოხუმპრიბორში" სავაჭრო ცენტრი ააშენა. დღეს კი, როგორც ჩანს, დღის წესრიგში დგას ცენტრალურ ბაზარში სფეროების გადანაწილება. მას ახლა აკონტროლებენ ადამიანები, რომლებმაც კონტროლის უფლება სრულიად გაურკვევლად მიიღეს. როგორც ჩანს, ომის შემეგ მათ "დაიკავეს" ბაზარი და მისი მართვა დაიწყეს.

ახლა, შესაძლოა, სხვებს მათი ბაზრიდან გამოძევება და აფხაზეთის მთავარი სავაჭრო მოედნის საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევა სურთ. გარდა ამისა, მფლობელის გაურკვეველი სტატუსი საგადასახადო ორგანოებისათვის ბაზრის საქმიანობას სრულიად გაუმჭვირვალეს ხდიდა.

ბაზარი თავისუფლად შეიძლებოდა გამხდარიყო ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელი, მაგრამ, რეალურად, სოხუმის ბიუჯეტი მისგან კაპიკებს იღებდა. თანაც, საიჯარო გადასახადი ქაღალდზე იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე რეალური გადასახადი. მეწარმეთა უმეტესი ნაწილი, რომლებმაც ბაზრის ტერიტორიაზე მაღაზიები და საწყობები გახსნეს, საგადასახადო ორგანოებში, ელემენტარულად, რეგისტრირებული არ ყოფილა.

ამ საკითხის მცოდნე სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ დღესაც, ბაზრის ირგვლის ამტყდარ სკანდალში საკვანძო როლს მისი მფლობელები თამაშობენ. თუკი ძველმანების და ნივთების ბაზრობა მათ კონტროლს აღარ დაემორჩილება, ისინი თვეში, დაახლოებით, 30 ათას დოლარს დაკარგავენ, რომელიც არანაირი გადასახადებით არ იბეგრება. თუმცა, ფაქტობრივ მფლობელებს ბაზრის გარშემო ამტყდარ "გარჩევებში" მონაწილეობაში ხელს სამართლებრივი სტატუსის არქონა უშლის. მათ ნაცვლად, ამას სავაჭრო წერტილების მეპატრონეები აკეთებენ, რომელთანაც მათ საერთო ინტერესები აკავშირებთ. ბაზრის მფლობელებს ბაზრობიდან სარფიანი შემოსავლების დაკარგვა არ სურთ. ხოლო მეწარმეებს, ბაზრობის გადატანის შემთხვევაში, კლიენტურის დაკარგვის ეშინიათ. ამიტომაც გასულ კვირას, ბაზრობის გადატანასთან დაკავშირებით, მთავრობასა და მერიაში გამართული ორი შეხვედრის დროს, ცენტრალური ბაზრის ინტერესებს მყვირალა ქალები - ფართო მოხმარების საგნებით მოვაჭრე სავაჭრო წერტილების მეპატრონეები იცავდნენ.

ორი სიტყვით

თბილისი. სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე გუშინ თბილისში ვიზიტით მყოფ ტრასეკას (TRACECA) მუდმივმოქმედი სამდივნოს გენერალურ მდივანს ლუდმილა ტრენკოვას და ამავე ორგანიზაციის პროგრამების კოორდინატორს ბოდო როსიგს შეხვდა. მხარეებმა ტრასეკას საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის საკითხზე იმსჯელეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ნებისმიერ დემოკრატიულ ძალასთან, თუმცა გაერთიანებასა და ალიანსზე ლაპარაკიც ზედმეტია. პროფკავშირები დამოუკიდებელი უწყებაა," - განაცხადა პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი ტუღუშმა მოძრაობა "წინ, საქართველოს!" წევრებთან შეხვედრის შემდეგ. მოძრაობის წევრები 17 მარტს თავად ესტუმრნენ პროფკავშირებს და ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრეს. მხარეებს შორის ალიანსის შექმნა უარყო "წინ, საქართველოს!" ერთ-ერთმა წევრმა თემურ შაშიაშვილმაც. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მთიანი ყარაბაღის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო უწყებაში უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მოსკოვში სერგეი ბაგაფშის, ედუარდ კოკოითისა და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პრეზიდენტის არკადი გუკასიანის შეხვედრა გაიმართა. რაც შეეხება მათ სოხუმში დაგეგმილ შეხვედრას, რომელზეც ამ დღეებში მოსკოვში მყოფი სერგეი ბაგაფში საუბრობდა, როგორც ყარაბაღის საგარეო უწყება აცხადებს, ასეთი შეხვედრის ორგანიზება დღის წესრიგში არ დგას. "მთიანი ყარაბაღის რესპულიკის ხელმძღვანელობა ფლობს იმის ტექნიკურ საშუალებებს, რომ ასეთი შეხვედრების შესახებ ინფორმაციები თავად გაავრცელოს," - აღნიშნავენ მთიანი ყარაბაღის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო უწყებაში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში მოქმედი ეუთოს მისია ცხინვალის ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ეუთოს საქმიანობის შეფასებისას სუბიექტურობაში ადანაშაულებს და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ დღეს მოსკოვში ეუთოს მისიის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლის ბორის ჩოჩიევის ბრალდების საპასუხოდ საქართველოში ეუთოს მისიამ დღეს სპეციალური განცხადება გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ეუთოს მისიის მიერ კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების შეფასებები "მხოლოდ ობიექტურ ინფორმაციას ეყრდნობა და საკუთარ სუბიექტურ შეფასებებს არ შეიცავს." განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში მოქმედი, ეუთოს მისიის მიერ მომზადებული ანგარიშები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებას ასახავს, კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ ეუთოს წევრი 55 სახელმწიფოს მთავრობებს ეგზავნება. "იმის გამო, რომ ეს ანგარიშები სამხრეთ ოსური მხარისათვის მიუწვდომელია, ამ ანგარიშების მისეული "ანალიზი" არ შეიძლება, სრული და ამომწურავი იყოს," - ნათქვამია განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეისის" ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ვიქტორინა დაიწყება 21 მარტს და სამი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ლატარია-ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველებმა სწორად უნდა გასცენ პასუხები ვიქტორინაში დასმულ შეკითხვებს. ლატარიის გათამაშება გაიმართება 15 აპრილს, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში". მოგებული დაჯილდოვდება "ბრითიშ ეარვეისის" თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისის ორი ბილეთით.

გაზეთ "24 საათის" და "ბრითიშ ეარვეისის" თანამშრომლები ან მათი ოჯახის წევრები ვიქტორინაში და ლატარიაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან. უფრო დაწვრილებით ინფორმაციას და საკონკურსო შეკითხვებს "24 საათი" 21 მარტიდან შემოგთავაზებთ.

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,600,000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 22 მარტს, გამოტანილ იქნება N9 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 23 მარტს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 23 მარტის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა“ თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის“ მსმენელთან ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბასადორი“ 11-იდან 12 საათამდე

ბელგიის სამეფოს საპატიო კონსული საქართველოში ბ-ნი პიერ ორლოვი

წამყვანები: გაგა გობრონიძექეთევან კორძახია
სტუმარი: ბ-ნი პიერ ორლოვი, ბელგიის სამეფოს საპატიო კონსული საქართველოში

პიერ ორლოვი:

რუსეთი ჩემი მეორე კი არაპირველი და ნამდვილი სამშობლოა. დიდი ხანი ვიკავებდი თავს რუსეთის მონახულებისაგან. მეშინოდა იმედების გაცრუების. საქართველოში მე უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობთავს.

ნატო-სთან და ევროკავშირთან დაახლოების გზა

პირველი გვერდიდან

საქართველომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში მიღწეული წარმატებების გაუმჯობესება შეძლოს. დღეისათვის ამ დოკუმენტის მხოლოდ ინგლისური ვერსია არსებობს (ისიც, რამდენიმე ეგზემპლარი). შესაბამისად, მისი გაცნობა ქართული აუდიტორიის წინაშე თავად საერთაშორისო საბჭოს წევრებმა ითავეს.

საერთაშორისო მრჩეველთა საბჭომ, რომელშიც ექვსი ქვეყნის სამხედრო ექსპერტები შედიან, საქართველოში საკუთარი საქმიანობა 1999 წლიდან დაიწყო. მანამდე საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო საკუთარი რეკომენდაციებით ბალტიის ქვეყნებს ეხმარებოდა, რათა ჯგუფის ხელმძღვანელის, სერ ჰარი ჯონსონის თქმით, ამ ქვეყნებს რაც შეიძლება სწრაფად შეძლებოდათ ევროატლანტიკურ სივრცესა და ევროკავშირში ინტეგრირება.

სერ ჰარი ჯონსონის თქმით, საქართველოში საკუთარი საქმიანობის დაწყებისთანავე ისინი ქვეყნის ხელისუფლებას პერიოდულად აცნობდნენ მათეულ ხედვას, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების განსამტკიცებლად.

გუშინ პარლამენტის წინაშე წარმოდგენილ ანგარიშში საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, ძირითადად, დადებითად არის შეფასებული.

მაგალითად, სერ ჰარი ჯონსონი წინ გადაგმულ ნაბიჯად მიიჩნევს ქვეყნის ერთიანი უსაფრთხოების კონცეფციისა და სამხედრო დოქტრინის პროექტების შემუშავებას, რომელიც უახლოეს ხანებში საჯარო განხილვის საგანი გახდება.

"საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ მოვლენები ძალზე სწრაფად ვითარდება. განხორციელდა რეფორმა უშიშროების სისტემაში. ახლა საჭიროა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა, რათა ეს ტემპი შენარჩუნდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ უსაფრთხოების სფეროში რეფორმები გამჭვირვალედ ხორციელდება და თუკი აქამდე საქართველოს მისამართით გამოითქმებოდა რაიმე ეჭვი, ახლა ეს ეჭვები გაქარწყლებულია," - განაცხადა გუშინ სერ ჰარი ჯონსონმა.

ამავე დროს, იგი აცხადებს, რომ "აშკარაა - საქართველოს ხელისუფლებას სურს, მიუახლოვდეს ნატო-ს სტანდარტებს. ეს კი ქვეყანას ნატო-სა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს გაუადვილებს."

რაც შეეხება რეკომენდაციების ნაწილს, სერ ჰარი ჯონსონი გვირჩევს: თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ ყველა ნაბიჯს "დემოკრატიული ჟღერადობა" ჰქონდეს, რეფორმები ნატო-სა და ევროკავშირის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს, ყველა რეფორმას ჰქონდეს კანონიერი საფუძველი და ცვლილებები მდგრადი იყოს.

ჯგუფის მეორე ექსპერტს დევიდ სმიტს მიაჩნია, რომ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში გატარებული რეფორმები აშკარად პასუხობს ნატო-ს სტანდარტებს. თუმცა, მისი თქმით, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამ პროცესების გამჭვირვალედ წარმართვის აუცილებლობაზე ამახვილებს, ხოლო პარლამენტს მოუწოდებს, უფრო გააქტიუროს საკანონმდებლო საქმიანობა ამ სფეროსთან დაკავშირებით.

ევროპის საბჭომ საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულება შეაფასა

პირველი გვერდიდან

“ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე უმთავრეს ამოცანად კვლავ რჩება რეფორმების გატარება სამი პრიორიტეტული მიმართულებით: დემოკრატიული ინსტიტუტების, მათ შორის, ქვეყნის რეგიონალიზაციასთან დაკავშირებული ინსტიტუტების გაძლიერება; სასამართლო სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირება და კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა.”

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში მიმდინარეობს საარჩევნო სისტემის, მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა. “მართალია, ზოგადად მოვლენები დადებით კალაპოტში ვითარდება, დეცენტრალიზაციის რეფორმა ჯერ კიდევ საკმაოდ ნელა და არათანამიმდევრულად ხორციელდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს 2006 წლისთვის დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნების მომზადებას, კერძოდ, დედაქალაქის მერის არჩევითობის საკითხს, რომლის დეტალებზეც მუშაობა უკვე მიმდინარეობს... იმედს გამოვთქვამთ, რომ საარჩევნო ბარიერის საკითხის განხილვა უფრო დაბალი ბარიერის შემოღებით დასრულდება, როგორც ამას საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია ითვალისწინებს,” - ნათქვამია მოხსენებაში.

დოკუმენტში ყურადღება სასამართლოს დამოუკიდებლობაზეც არის გამახვილებული. “მთავარი სასამართლო ინსტიტუტების რეფორმა გარკვეულ შეკითხვებს ბადებს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის პატივისცემასთან დაკავშირებით.”

“კორუმპირებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ წამოწყებულმა აქტიურმა კამპანიამ საქართველოს მოსახლეობას იმედი ჩაუნერგა, - აღნიშნულია დოკუმენტში, - თუმცა, დადგა კომპლექსური ანტიკორუფციული პოლიტიკისა და ძირეული ინსტიტუციონალური რეფორმების გატარების დრო. აგრეთვე, აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ კორუფციასთან ბრძოლა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელი დაცვით მიმდინარეობდეს... ყოველმხრივ უნდა იქნეს გამოძიებული დაკავებული პირებისადმი უმართებულო მოპყრობისა და დაკავებისას უხეში ძალის გამოყენების სავარაუდო შემთხვევები.”

ევროპის საბჭო მზადყოფნას გამოთქვამს, დახმარება გაუწიოს საქართველოს დარჩენილი კონვენციების, კერძოდ, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის, რეგიონული და უმცირესობების ენების შესახებ ევროპული ქარტიისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის სარატიფიკაციოდ მომზადებაში.

ქართული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ევროპის საბჭო მზადაა, დახმარება გაუწიოს საქართველოს მესხი მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ კანონის მომზადებაში და დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებას რეპატრიაციის პროცესის დასაწყებად აუცილებელი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და პოლიტიკური პირობების შექმნაში, რათა შესაძლებელი იყოს დაბრუნების პროცესის 2011 წლისთვის დასრულება.

ევროპის საბჭო აღნიშნავს, რომ კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას ალტერნატივა არ გააჩნია და ევროპის საბჭო მზადაა, საქართველოს დახმარება აღმოუჩინოს ამ პროცესში, კერძოდ კი, ვენეციის კომისიის მონაწილეობით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსის პროექტის მომზადებაში.

ევროპის საბჭოს აზრით, “ქართული დემოკრატიის მონაპოვარი მასმედიის სფეროში უნდა შენარჩუნდეს. კერძოდ, სერიოზული ყურადღება უნდა ექცეოდეს სამაუწყებლო მედიის დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს... ამ თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნას, რისი განხორციელებაც სათანადო კანონის მიღების შემდეგ უკვე დაწყებულია.”

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ დასახელებულ პრობლემურ საკითხებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ევროპის საბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციებს. ევროსაბჭო მზადაა, საქართველოს ამ საკითხების გადაწყვეტაში ყველანაირი მხარდაჭერა გაუწიოს.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

საუბრობთ საზღვარგარეთ?

თუ თქვენ სარგებლობთ
საერთაშორისო კოდით 8-10
მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...
საქართველოს ტელეკომი აწყობს ყოველთვიურ კონკურსს
"თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.
გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.

ესაუბრეთ მსოფლიოს,
გადაიხადეთ დროულად,
დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც
მთავარია, უამრავ სიურპრიზს!

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10 www.telecom.ge

ღია წერილი მის აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო მიხეილ!

თქვენთვის ამ წერილით საქვეყნოდ მომართვა გვაიძულა დარგში შექმნილმა უკიდურესად მძიმე მდგომარეობამ. რამდენიმე წლის წინ საქართველოში საფუძელი ჩაეყარა მრეწველობის ისეთ სტრატეგიულ დარგს, როგორიც არის ნავთობის გადამუშავება - ნავთობპროდუქტების ადგილობრივი წარმოება, კერძოდ, დიზელის საწვავი, საღუმელე მაზუთი, სანათი ნავთი და პირველადი გამოხდის ბენზინი, რომლიდანაც შემდგომი ტექნოლოგიური გადამუშავებით მიიღება საავტომობილო ბენზინი. ადგილობრივი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები ამუშავებდნენ ადგილობრივ და იმპორტირებულ ნედლეულს. მიღებული ნავთობპროდუქტები შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. უფრო მეტიც, ჩვენს მცირე ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებში მიღებული ნავთობპროდუქტები (საღუმელე მაზუთი და პირველადი გამოხდის ბენზინი) ევროპის ქვეყნებში საექსპორტოდ იგზავნებოდა.

ადგილობრივი წარმოების ნავთობპროდუქტებით ხდებოდა კონტრაბანდული საწვავის დიდი ნაწილის ბაზრიდან განდევნა. ეს იყო მიზეზი, რის გამოც მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ამ დარგის შევიწროება და ფაქტობრივად განადგურების პირამდე მიყვანა წინა ხელისუფლების მხრიდან, რაც გამოიხატებოდა საწარმოების უკანონო ხანგრძლივ გაჩერებაში მრავალი მაკონტროლებელი სტრუქტურის მიერ.

"ვარდების რევოლუციამ" მეწარმეებს იმედი გაუჩინა, რომ ამ და მრეწველობის სხვა დარგების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები და სახელმწიფოს მხრიდან იქნებოდა თანადგომა. სამწუხაროდ და მიუხედავად თქვენი საჯარო მხარდაჭერისა, კვლავაც ადგილი აქვს ძველი პრაქტიკის რეციდივებს. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო მარეგულირებელი სააგენტოს მიერ წარმოების ნებართვების გაცემის ხელოვნურად გაჭიანურება. ლიცენზირებული 4 საწარმო გასული წლის შემოდგომიდან უმიზეზოდაა გაჩერებული, ხოლო ლიცენზიის მაძიებელმა საწარმოებმა დღემდე ვერ მიიღეს ლიცენზიები, რამაც გამოიწვია დარგის პარალიზება, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები გაჩრდა, საქართველოში მოპოვებული ნედლი ნავთობი საზღვარგარეთ იყიდება. შედეგად ბიუჯეტმა ვერ მიიღო მილიონობით ლარი, უმუშევრად დარჩა საწარმოებში დასაქმებული ასობით ადამიანი, მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს მეწარმეებმა და, რაც მთავარია, საგრძნობლად გაიზარდა კონტრაბანდული საწვავის რაოდენობა. ზოგიერთი ვაიჩინოვნიკის სიტყვიერი მითითების გამო, აზერბაიჯანში გაჩერებულია ვაგონ-ცისტერნებში ჩატვირთული ქართველი მეწარმეებისათვის განკუთვნილი მილიონობით დოლარის ნედლეული და მზა პროდუქცია, რომლის საფასურიც 4-5 თვის წინ არის გადახდილი. ხუთი თვის განმავლობაში მარეგულირებელმა სააგენტომ ვერ გაგვცა პასუხი, რატომ არ გვაძლევს წარმოების ნებართვას, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ დარგისა და ქვეყნის განვითარებაში.

ბატონო პრეზიდენტო, მხოლოდ უფალი ღმერთისა და თქვენი იმედი დაგვრჩენია. გთხოვთ დაგვეხმაროთ.

შპს „ვივა“	ვ. ჭოლაძე
შპს „განოილი“	ა. ხატიაშვილი
შპს „გერო“	დ. თურქაძე
შპს „თერჯოლა-ოილი“	ქ. ლომთაძე
შპს „ნეკო“	მ. შალამბერიძე
შპს „თბილ-ტრეიდინგი“	გ. ხასაია
შპს „მობილი“	რ. ხუხაშვილი
„ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი“	ვ. მთვრალაშვილი ვ. იობაშვილი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს
სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემათა ხელშეწყობაზე

კონკურსის საფუძველი:
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის წიგნისა და ლიტერატურის სახელმწიფო პროგრამის სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემის ხელშეწყობის პრიორიტეტული მიმართულება.

კონკურსის მიზანი:
კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემას და დააფინანსოს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ავტორების ჰონორარები 2005 წლის ბოლომდე.

კონკურსის პირობები:
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში გამომავალ ნებისმიერ სალიტერატურო პერიოდულ ორგანოს (ჟურნალი, გაზეთი), ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერძო და იურიდიულ პირებს, საინიციატივო ჯგუფებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნეს ჟურნალის (გაზეთის) გამოცემის გეგმა 2005 წლის ბოლომდე, პერიოდულობისა და მასალის მოცულობის მითითებით. საავტორო ჰონორარები დაფინანსდება მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით 1 საავტორო ფორმაზე (40 000 ასო-ნიშანი). აგრეთვე დაფინანსდება სარედაქციო ხარჯების ნაწილი - ნომრის მთლიანი საჰონორარო თანხის 30% ოდენობით. თანხები გაიცემა ყოველი ნომრის გამოსვლის შემდეგ.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2005 წლის 31 მარტი

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი
ტელ. 99 03 06

აგრარულ კომიტეტში სვიმონიშვილის გეგმას ზოგადს უწოდებენ

მინისტრს ორ კვირაში "დაზუსტებული გეგმების" წარმოდგენა მოუწევს

თამარ ივანიძე

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული პრიორიტეტები განიხილა. როგორც კომიტეტის სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა განაცხადა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დარგის განვითარების პრიორიტეტები შეიმუშავა და სამუშაო გეგმა ჩამოაყალიბა.

რეფორმის დაწყება 2005 წელს იგეგმება. სამინისტროს სტრუქტურისა და მართვის ოპტიმიზაცია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, მოდერნიზაციას და პრივატიზაციას, სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარებას და კონსოლიდაციის ხელშეწყობას ითვალისწინებს. სამინისტროს პრიორიტეტი იქნება ასევე სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა, ვეტერინარიის დეპარტამენტის რეორგანიზაცია, ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და მცენარეთა დაცვა. სამინისტრო ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნო წარმოებასა და რეალიზაციას, გადამამუშავებელი სექტორის მოდერნიზაციას და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების შექმნას. ამასთან, ის აქტიურად იმუშავებს ფერმერთა და აგრომეწარმეთა ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

როგორც კომიტეტის სხდომაზე პარლამენტარმა რომან კუსიანმა განაცხადა, სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტები ზოგადია, ამიტომ უმჯობესი იქნება, სამინისტრომ კომიტეტს ერთწლიან მუშაობაზე გაწერილი გეგმა წარუდგინოს.

გადაწყდა, რომ ორ კვირაში გაიმართება კომიტეტის სხდომა, რომელზეც სამინისტრო უკვე უახლოესი ერთი წლის განმავლობაში დარგის განვითარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების ზუსტ გეგმას წარმოადგენს.

გუშინვე აგრარულ კომიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციაზე იმსჯელეს. **"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია რთული პროცესია, რომელიც, სავარაუდოდ, ორ წელიწადში დასრულდება. ამას თან უნდა ახლდეს მთელი რიგი სხვა ღონისძიებები, მათ შორის - მიწის ატლასის შექმნაც,"** - განაცხადა ხევიაშვილი.

აგრარულ საკითხთა კომიტეტი კანონპროექტის პრინციპებს მხარს უჭერს, თუმცა დეტალებს დასაზუსტებლად მიიჩნევს.

"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ" კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 465 ათასი ჰექტარი მიწის პრივატიზაციას. აქედან, 300 ათასი ჰექტარი მიწა იჯარით არის გაცემული, კანონპროექტით მეიჯარეებს მიწის გამოსყიდვის უპირატესი უფლება გააჩნიათ.

რიჩარდ მაილსი - მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციის წინააღმდეგ

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა მოსაზრებით, გაზსადენის გასხვისება ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაა

აშშ-ს ხელისუფლება საქართველოს ღიად და გასაგებად უფიქსირებს, რომ მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციის კატეგორიული წინააღმდეგია. გუშინ, "შერატონ მეტეხი პალასში" ნავთობის, გაზის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მე-4 საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. კონფერენციის პირველ დღეს მსჯელობის მთავარი თემა სწორედ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზაცია იყო.

დიანა ჩაჩუა

აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, რომ იგი მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციის წინააღმდეგია. მისი თქმით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა მოსაზრებით, გაზსადენის გასხვისება ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაა.

"ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამიტომ მასთან დაკავშირებით არსებული საიდუმლობები უნდა გაიფანტოს. საუბარი იმაზე, რომ ჩრდილო-სამხრეთის გაზსადენმა კომერციული და სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა, უსაფუძვლოა, რადგან საქართველომ გაზსადენზე კონტროლი უნდა შეინარჩუნოს და ენერგოპოლიტიკის საკითხი ნათელი და გამჭვირვალე უნდა გახადოს," - განაცხადა მაილსმა და იქვე საქართველოს მთავრობას ენერგოსექტორში დროში რაციონალურად გაწერილი და გამჭვირვალე პრივატიზაციის განხორციელებისკენ მოუწოდა.

საქართველოში ამერიკის ელჩმა სხვა ენერგოობიექტების პრივატიზაციაზეც ისაუბრა. **"ენერგოაქტივების პრივატიზაცია სწორად უნდა განხორციელდეს, ერთი ხელის მოსმით ამის გადაწყვეტა არ შეიძლება. მთელი პროცესის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელია დროში სწორად გათვლილი პრივატიზაციის განხორციელება, რათა ინვესტორებს, რომლებიც საქართველოში შემოვლენ, დახურული გზები არ დახვდეთ,"** - განაცხადა რიჩარდ მაილსმა.

გაზის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელმა დავით ინგოროყვამ კი განაცხადა, რომ გაზსადენი იმ შემთხვევაში არ გაიყიდება, თუ საქართველო სისტემის სარეაბილიტაციოდ სახსრების მოძიებას შეძლებს.

თავად კონფერენცია კი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გახსნა. **"საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ამგვარი საერთაშორისო კონფერენციების მოწყობა, რათა ინვესტორებმა ქვეყნის ენერგოსექტორისადმი ინტერესი გამოიჩინონ,"** - განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას. გუშინვე, ნოღაიდელმა კონფერენციაში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და რეფორმები გააცნო. მან საგადასახადო კოდექსის ცვლილებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ კოდექსის შეცვლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნესის განვითარებას. **"შესაბამისად განვითარდება ინფრასტრუქტურა, რაც ენერგოსექტორის წინსვლისათვის მნიშვნელოვანია. პრობლემები ჯერ კიდევ გვაქვს რეგიონებში, ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურის განვითარებას,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

გუშინდელ კონფერენციაზე, პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ საქართველოს მდგრადი პოლიტიკა გააჩნია ევროკავშირთან და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან მიმართებაში. ამასთან, მან აღნიშნა, რომ საქართველოს, ქვეყნის რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიაჩნია კარგი ურთიერთობების დამყარება მეზობლებთან, განსაკუთრებით - როცა საქმე ენერგეტიკას ეხება.

ნავთობის, გაზის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მე-4-ე საერთაშორისო კონფერენცია დღეს დასრულდება. კონფერენციის მეორე დღის მთავარი თემები ნავთობი და გაზსადენები, ტრანსპორტირების მარშრუტები, ენერგიის წყაროები და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ინვესტირება, ასევე ქვეყნის შიგნით ნავთობის საბადოების ექსპლუატაცია იქნება.

ეკონომიკის სამინისტროს ობიექტები "ჩაუვარდა"

გასაყიდად გამოტანილი ცხრა ობიექტიდან გუშინ მხოლოდ ორი გაიყიდა

ბექა ევგენიძე

ეკონომიკის სამინისტროს მიერ გასაყიდად გამოტანილი ცხრა ობიექტიდან გუშინ მხოლოდ ორი გაიყიდა. ერთი მათგანი - "გამომცემლობა "ნაპირი", რომლის საწყისი ფასიც 1 750 000 დოლარი იყო, 1 800 000 დოლარად "ცენტრ-პოინტის" პრეზიდენტმა მაია რჩეულიშვილმა იყიდა; 100 000 დოლარად შეფასებული "ადამიანის რესურსების ცენტრი" კი 142 ათას დოლარად ანონიმურმა კერძო პირმა შეიძინა.

მზიკო ბუხაიძის ფოტო

24 მარტს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 17 ობიექტს გაყიდის.

შეგახსენებთ, რომ შპს "გამომცემლობა "ნაპირსა" და "ადამიანის რესურსების განვითარების ცენტრთან" ერთად, გასაყიდად გატანილი იყო: შპს "შულავერის არამადნეული მასალების ქარხანა" (საწყისი ფასი 280 000 დოლარი), "საქრუსმანქანას" კაპიტალიდან ამოღებული, ბაზალეთის დასასვენებელი კომპლექსი (35 000 დოლარი), შპს "მელიორატორი 21" (120 000 დოლარი), შპს "ვაზიანი-2000" (220 000 დოლარი), შპს "მერქანი" (90 000 დოლარი), არასაცხოვრებელი ფართი აღმაშენებლის გამზირზე (250 000 დოლარი) და სს "ვარკეთილის ღვინის ქარხანა" (750 000 დოლარი).

გუშინვე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ იმ 17 სახელმწიფო ობიექტის ნუსხაც წარმოადგინა, რომელთა გაყიდვასაც 24 მარტს, აუქციონის წესით გეგმავს. ესენია: შპს "აგროფირმა მუხროვანი", რომლის საწყისი ფასია 290 000 დოლარი, შპს "გამართვა" (70 000 დოლარი), სს "მარმარილო" (113 000 დოლარი), სს "ჰიდროენერგომონტაჟი" (77 000 დოლარი), შპს "საქმეორეული" (57 000 დოლარი), შპს "კულტმშენი" (85 000 დოლარი), დასასვენებელი სახლი დაბა კიკეთში (240 000 დოლარი), ქალაქ ფოთში მდებარე შენობა (20 000 დოლარი), დაუმთავრებელი ორსართულიანი შენობა ქობულეთში (25 000 დოლარი), შპს "კრწანისი 2000" (20 000 დოლარი), სს "საჩხერგაზი" (180 000 დოლარი), შპს "ზაზა" (50 000 დოლარი), სს "ბეტონოკონსტრუქცია" (135 000 დოლარი), თბილისში, ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე შენობა (105 000 დოლარი), თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე შენობა (1 500 000 დოლარი), თბილისში, ქაიროს ქუჩაზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართი (10 000 დოლარი).

ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის კახა დამენიას განცხადებით, 17 ობიექტიდან 16 - აუქციონის წესით, ხოლო თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე საცურაო აუზი შპს "მონიო" – კონკურსის წესით უნდა გაიყიდოს. მისი თქმით, "დაგეგმილი პრეზენტაციებით სამინისტრო დამატებით მექანიზმებს ქმნის იმისთვის, რომ საზოგადოებას მუდმივად ჰქონდეს საშუალება, პრივატიზაციის მიმდინარეობა აკონტროლოს, რაც თავისთავად გულისხმობს პოტენციური მყიდველების რაოდენობის ზრდას და, შესაბამისად, მაღალ კონკურენციას გასაყიდ ობიექტებზე."

ეროვნულ ბანკს რომან გოცირიძე უხელმძღვანელებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე დეპუტატ რომან გოცირიძის კანდიდატურის დასახელება უკვე ოფიციალურად გადაწყვეტილია.

ნინო ბურჯანაძის შეფასებით, რომან გოცირიძე **"კომპეტენტური პიროვნებაა, პროფესიონალია და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე გასაკეთებელი რეალური გეგმები აქვს."** მან იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი რომან გოცირიძის კანდიდატურას მხარს დაუჭერს.

რომან გოცირიძე ამ პოსტზე ირაკლი მანაგაძეს შეცვლის. მანაგაძის 7-წლიანი მოღვაწეობის ვადა ამ პოსტზე 25 მარტს იწურება. 25 მარტს ბანკის დირექტორთა საბჭომ ახალი პრეზიდენტის კანდიდატურა უნდა განიხილოს. ეს კანდიდატურა, სავარაუდოდ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე იქნება.

პრეზიდენტმა 20 მარტამდე პარლამენტს უნდა წარუდგინოს ეროვნული ბანკის დირექტორთა საბჭოს ცხრაკაციანი შემადგენლობა, ხოლო საბჭომ ამ შემადგენლობიდან ერთი კანდიდატურა პრეზიდენტად უნდა დაასახელოს. საბჭოს მიერ შერჩეულ კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტი დაამტკიცებს.

უკვე გარკვეულია, ვინ დაინიშნება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარედ, როცა მოქმედი თავმჯდომარე რომან გოცირიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდება.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, შესაძლოა, ირაკლი კოვზანაძე გახდეს. **"ირაკლი კოვზანაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით უმრავლესობაში კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს და საუბარი პრეზიდენტთანაც იყო,"** - აღნიშნა მან.

ირაკლი კოვზანაძე პარლამენტში "ნაციონალების" პარტიული სიით შევიდა. იგი ე.წ. ბურჯანაძის კვოტის წარმომადგენელია.

24 საათი

რა არის „კრედიტინფო საქართველო"?

დღეიდან საქართველოში არაკეთილსინდისიერ გადამხდელებთან ბრძოლა ერთ-იორად გაიოლდება. „საქართველოს ბანკის", „თიბისი ბანკის" და „პროკრედიტ ბანკის" თანამშრომლობის და უცხოელი პარტნიორების დახმარების შედეგად საქართველოში პირველი საკრედიტო საინფორმაციო ბიურო – „კრედიტინფო საქართველო" შეიქმნა. მაინც, რა არის „კრედიტინფო საქართველო"? როგორც ბიუროს დამფუძნებლები გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე აცხადებდნენ, „ეს არის რეალური რისკის განსასაზღვრავად დროისა და რესურსების მინიმალური დანახარჯებით სწრაფი და სანდო ინფორმაციის მიღება."

დიანა ჩაჩუა

„თანამედროვე წარმატებული ფინანსური ბაზრები წარმოუდგენელია საკრედიტო საინფორმაციო სააგენტოების გარეშე. ეს სააგენტოები კრედიტორს აწვდიან ინფორმაციას არაკეთილსინდისიერ გადამხდელებზე. ახალგანვითარებულ ბაზარზე კი ასეთი ტიპის ინფორმაცია ლიმიტირებულია ან საერთოდ არ არსებობს. შედეგად, ხშირია კონტრაქტის დარღვევის შემთხვევები. „კრედიტინფო საქართველოს" სერვისები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ფულის, სერვისის ან საქონლის გაცემას კრედიტში აწარმოებს," – აცხადებდნენ გუშინ პირველი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს დამფუძნებლები. როგორც "კრედიტინფო საქართველოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ სიგი ავგუსტსონმა განაცხადა, საინფორმაციო ბიუროს ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია ქვეყნის საბანკო სექტორის განვითარებისათვის, რადგან საინფორმაციო ბიუროს არსებობის შემთხვევაში შემცირდება კრედიტების გაცემის რისკი, რაც, თავის მხრივ, სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას გამოიწვევს.

"კრედიტინფო საქართველო", როგორც საინფორმაციო საცავი, შეაგროვებს და შეინახავს კრედიტორებისაგან მიღებულ ინფორმაციას საკრედიტო გადასახადების ისტორიის შესახებ და დაიცავს მონაცემთა კონფიდენციალურობისა და შეზღუდული სარგებლიანობის პრინციპებს. ბიურო აწარმოებს საქართველოს წევრ ფინანსურ დაწესებულებებთან ინფორმაციის გაცვლას იმ საკრედიტო რისკების მონიტორინგის, კონტროლის და შემცირებისათვის, რომელიც დაკავშირებულია სამომხმარებლო და ბიზნეს-კრედიტებთან. **"აღნიშნული საქმიანობა გაზრდის ხელმისაწვდომობას სამომხმარებლო და კომერციულ სესხებზე,"** - განაცხადა ავგუსტსონმა.

ამგვარი საინფორმაციო სააგენტოები თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს, ისინი კრედიტორებს აწვდიან ინფორმაციას არაკეთილსინდისიერ გადამხდელებზე.

აღსანიშნავია, რომ როგორც პროექტის პრეზენტაციაზე „პროკრედიტ ბანკის" გენერალურმა მენეჯერმა ფილიპ ზიგუარტმა განაცხადა, დროთა განმავლობაში ის და მისი პარტნიორები საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე დაიწყებენ მუშაობას.

„კრედიტინფო საქართველოს" შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტმა (GEGI), რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერაა დაფინანსებული. როგორც საინფორმაციო ბიუროს წევრებმა აღნიშნეს, **„აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს შექმნის ინიციატივას ყველა დაინტერესებული მხარის მობილიზაციითა და საქართველოში საკრედიტო ისტორიის ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემის მნიშვნელობის პოპულარიზაციით."**

"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ტრანსფორმატორების უკანონო ჩართვას აპროტესტებს

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) ზეწოლას აპროტესტებს. ამჯერად, "ზემწოლებს" შორის ის სუბიექტები მოიაზრებიან, რომლებიც დენის საფასურის გადაუხდელობის გამო გამორთული ფიდერების ჩართვას ან ენერგოკომპანიის თანამშრომლებს აძალებენ, ან ფიზიკური ანგარიშსწორებით იმუქრებიან და ან თვითნებურად, ძალით აერთებენ "დასჯილ" ტრანსფორმატორებს.

ნიკა მარიამიძე

გუშინ "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" გაავრცელა მოსახლეობისადმი მიმართული გაფრთხილება, რომელშიც ნათქვამია, რომ ტრანსფორმატორების თვითნებური მიერთებისა და ფილიალის თანამშრომლების დაშინების შემთხვევაში კომპანია სამართალდამცველ უწყებას დაუყოვნებლივ მიმართავს. "ტრანსფორმატორების მიერთების ან თანამშრომლებზე ზეწოლის მცდელობის ფაქტების დაფიქსირებისთანავე საქმე რეაგირებისათვის შესაბამის სამართალდამცველ უწყებებს გადაეცემა. ენერგოკომპანიის ოფიციალური პოზიცია და რეაგირება უმკაცრესი იქნება. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე თანამშრომლების და ძვირადღირებული ელექტროტექნიკის მუშაობის უსაფრთხოებას ეხება," – აცხადებენ ენერგოკომპანიაში.

აღნიშნული განცხადების გაკეთების მოტივაცია კი მარტის თვეში მცხეთა-მთიანეთის ფილიალში მოსახლეობის მიერ ტრანსფორმატორების თვითნებური მიერთების და ფილიალის თანამშრომლების დაშინების შემთხვევების გახშირება იქცა. ენერგოკომპანიაში განმარტავენ, რომ მსგავს უკანონო ქმედებებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მას შემდეგ მიმართავს, რაც ადგილობრივმა ფილიალმა არგადამხდელი ტრანსფორმატორების გათიშვა აქტიურად დაიწყო.

"ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალი ოფიციალურად აცხადებს, რომ დენის მიწოდებას ამოღების მაჩვენებლის მიხედვით განსაზღვრავს და, გადამხდელი ტრანსფორმატორებისთვის დენის სტაბილური მიწოდების მიზნით, არგადამხდელი ტრანსფორმატორების ჩაჭრას გააგრძელებს. კერძოდ, სოფელ დიღომში ტრანსფორმატორები ხელმეორედ ჩაიჭრება და ქსელში მხოლოდ დავალიანების გადახდის შემდეგ ჩაირთვება," – ამბობენ კომპანიაში.

უახლოეს მომავალში, ტრანსფორმატორების დონეზე დენის მოხმარების და ამოღების მაჩვენებლების გამჭვირვალობის მიზნით, კომპანია ტრანსფორმატორებზე კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებასაც დაიწყებს. ამის შემდეგ აბონენტებს საშუალება ექნებათ, დენის საფასური კომუნალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადაიხადონ. "ენერგოკომპანია არ ცნობს ფიქსირებულ გადასახადს, კომპანიის პოზიცია გადახდაზე ცალსახაა - ტრანსფორმატორზე მოხმარებული დენის საფასური სრულად უნდა იქნას გადახდილი," – დასძენენ ენერგოკომპანიის მენეჯერები.

საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევების ცენტრი
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

ბიუჯეტის დაგეგმვაში დაშვებულია სერიოზული ხარვეზები

2005 წლის პირველი კვარტლის დასრულებამდე სულ 11 სამუშაო დღე დარჩა, ამიტომ, არსებული მონაცემების საფუძველზე, გარკვეული ტენდენციები უკვე გამოკვეთილია და, შესაბამისად, გარკვეული დასკვნების გაკეთებაც შესაძლებელია. 15 მარტის მონაცემებით, საბაჟო დეპარტამენტს კვარტლის გეგმის შესასრულებლად აკლია 12,6 მილიონი ლარი. ანუ გეგმა შესრულებულია 92 პროცენტით. საგადასახადო დეპარტამენტს აკლია 32,65 მილიონი ლარი, ანუ შესრულებულია 80 პროცენტით. არასაგადასახადო შემოსავლების შესრულებას აკლია 30,4 მილიონი ლარი, ანუ შესრულებულია 45 პროცენტით, ხოლო პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები გადაჭარბებულია 3,37 მილიონი ლარით.

რაც შეეხება გრანტებს - კვარტლის ბოლომდე შემოსასვლელია 1,14 მილიონი ლარი, რაც გეგმის 14 პროცენტია. ასეთია შემოსავლების გეგმის შესრულების მაჩვენებელი, რაც, წინასწარი მონაცემებით, ნიშნავს, რომ ბიუჯეტის შესრულებას პრობლემა არ უნდა შეექმნას.

თუმცა, საინტერესოა ხარჯვითი ნაწილი - პირველი კვარტლის ხარჯვის გეგმა არის 596 მილიონი ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ დღემდე გაწეული ხარჯი 348,4 მილიონი ლარია. ანუ ხარჯების ნაწილში შესრულებულია გეგმის 58,5 პროცენტი. გამოდის, რომ 11 დღეში უნდა დაიხარჯოს 247,6 მილიონი ლარი. საინტერესო დეტალი - შემოსავლების გეგმის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლებში დარჩენილ პერიოდში დაგეგმილია მხოლოდ 76,8 მილიონი ლარის მობილიზება.

ანუ, თუ ეს, წინასწარ დაგეგმილი მაჩვენებელი გადაჭარბებით არ შესრულდება, გამოდის, რომ ხარჯების დაფინანსება დეფიციტის დაფინანსების წყაროების ხარჯზე მოხდება და საფინანსო ორგანოებს 140 მილიონი ლარის მობილიზება სწორედ ამ მუხლით მოუწევთ. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ დეფიციტის დაფინანსების წყაროების წლიური გეგმა 293,25 მილიონ ლარს შეადგენს, საფინანსო ორგანოებმა დეფიციტის დაფინანსების წყაროებიდან მისაღები თანხების 73 პროცენტი წლის პირველ კვარტალში უნდა ამოიღონ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გეგმა 2005 წელი (მლნ ლარი)

	საბაჟო დეპარტამენტი	საგადასახადო დეპარტამენტი*	არასაგადასახადო შემოსავლები	პრივატიზაციის შემოსავლები	გრანტები	დეფიციტის დაფინანსების წყარო	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები
შემოსავლების წლიური გეგმა (მლნ ლარი)	744.00	729.70	143.25	94.20	101.55	293.25	2105.95
შემოსავლების I კვარტლის გეგმა	151.93	160.65	55.73	6.00	7.88	213.81	596.00
შემოსავლები დღემდე (მლნ ლარი)	139.33	128.00	25.33	9.37	6.74	74.80	383.57
შემოსავლები დღემდე (პროცენტული)	92%	80%	45%	156%	86%	35%	64%
გეგმის შესრულებამდე (მლნ ლარი)	-12.60	-32.65	-30.40	3.37	-1.14	-139.01	-212.43
წლის ბოლომდე შესასრულებელი (მლნ ლარი)	604.67	601.70	117.92	84.83	94.81	218.45	1,722.38

შეგახსენებთ, რომ დეფიციტის დაფინანსების წყაროებში შედის სახაზინო ვალდებულებები 20 მილიონი ლარი, სესხი ეროვნული ბანკისგან 27 მილიონი ლარი, მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი კრედიტები - 36 მილიონი ლარი, გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტები - 210 მილიონი ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ ორივე წყაროს მიღება გაწერილია დროში და ასე სპონტანურად მისი მიღება ვერ მოხდება. ამიტომ, საინტერესოა, საიდან აპირებს ხელისუფლება ამ თანხის მობილიზებას. პროგნოზი ასეთია - ან წინასწარი გეგმის მაჩვენებლების გადაჭარბება უნდა მოხდეს, ან ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი პირველ კვარტალში ვერ შესრულდება.

ეს კი ცალსახად ნიშნავს, რომ არა მხოლოდ პრივატიზაციასთან მიმართებაში, არამედ ზოგადადაც, ბიუჯეტის დაგეგმვაში ძალიან სერიოზული ხარვეზებია დაშვებული.

ვულფოვიცის კანდიდატურას ცივად შეხვდნენ

საერთაშორისო საზოგადოებრიობა საკმაოდ ცივად შეხვდა აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოლ ვულფოვიცის წარდგენას მსოფლიო ბანკის მეთაურის თანამდებობაზე. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ოფიციალურად წარადგინა მისი კანდიდატურა. 61 წლის ვულფოვიცს ნეოკონსერვატორი "შევარდენის" რეპუტაცია აქვს. კერძოდ, ის ერაყში კოალიციური ძალების შესვლის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო. მისი კანდიდატურის შესახებ ცნობას საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები კრიტიკით შეხვდნენ. სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სამთავრობო პირების რეაქცია ურთიერთსაპირისპირო იყო. "ევროპა ამასთან დაკავშირებით დიდ ენთუზიაზმს არ განიცდის," - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაიდემარი ვიჩორეკ-ცოილმა. სკეპტიციზმი გამოხატა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა "გაითვალისწინა" ვულფოვიცის წარდგენა, ამბობს შირაკის წარმომადგენელი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ მხარი დაუჭირა ვულფოვიცს და "დიდი დამსახურებისა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე" უწოდა. ვულფოვიცის სასარგებლოდ გამოვიდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძუნიტირო კოიძუმიც. ბუში აშკარად შეკავებულ რეაქციას ელოდა ყოველივე ამაზე. თეთრი სახლის ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტმა პირადად დაურეკა რამდენიმე სახელმწიფოს მეთაურს, რათა მათთან ვულფოვიცის კანდიდატურაზე ემსჯელა. "ასოშიეიტედ პრესის" ინფორმაციით, ბუში ამის შესახებ ესაუბრა შირაკს, კოიძუმის, ტონი ბლერს, გერჰარდ შროდერსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს ტაბო მბეკის. მსოფლიო ბანკის თანამშრომელთა ნაწილი და ამ ორგანიზაციის რიგი წევრ-ქვეყნებისა შიშობს, რომ ვულფოვიცი - მსოფლიოში დემოკრატიის ფორსირებული გავრცელების მომხრე - ბანკის პრიორიტეტების აქცენტს ჰუმანიტარული მისიიდან უფრო პოლიტიზირებულ საკითხებზე გადაიტანს. "ის არის ადამიანი, რომელსაც კარგი გამოცდილება აქვს, მან იცის მსხვილი ორგანიზაციის მართვა," - ასე დაახასიათა ბუშმა ვულფოვიცი. მსოფლიო ბანკის ახლანდელი მეთაურის ჯეიმს ვულფენსონის უფლებამოსილების ვადა წელს სრულდება. კერძო საუბრებში ვულფენსონი ამბობს, რომ მსოფლიო ბანკიდან წასვლის სურვილი არა აქვს, მაგრამ თეთრი სახლის მხრიდან მხარდაჭერის მოპოვებას ვერ ახერხებს.

მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურაზე ვულფენსონი ბილ კლინტონის დროს იყო წარგდენილი. ვულფენოსნმა ამ თანამდებობაზე ათი წელი იმსახურა. მსოფლიო ბანკის წევრი 184 სახელმწიფოა. ამ ორგანიზაციის ძირითად ამოცანებს შორის არის მთელს მსოფლიოში ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობა და სიღარიბესთან ბრძოლა. ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, მსოფლიო ბანკის მეთაური – ამერიკელია, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდს ევროპული ქვეყნის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს.

ახალი „პრიშტინის მარში"?

აშშ-ს სახელმწიფო მდივნამდე პეკინში რუსეთის გენშტაბის უფროსი ჩადის

"რუსეთ-ჩინეთის მომავალი ერთობლივი სამხედრო წვრთნები მესამე მხარის წინააღმდეგ მიმართული არ არის," - განაცხადა პეკინში ვიზიტით მყოფმა რუსეთის გენშტაბის უფროსმა. გუშინ იური ბალუევსკი ყველა ღონეს ხმარობდა შემოდგომაზე დაგეგმილი ერთობლივი წვრთნების მიზნების თაობაზე წარმოშობილი ეჭვების გასაფანტად. ხოლო მედიაში გავრცელებულ ხმებს, თითქოს წვრთნების დროს ტაივანში შეჭრის სცენარი იქნება გათამაშებული, ბალუევსკი "გამონაგონს" უწოდებდა.

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი იური ბალუევსკი რუსეთ-ჩინეთის მოსალოდნელ ერთობლივ წვრთნებს ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობაში წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს. "ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა პირველი ოფიციალური ვიზიტის ამ ქვეყანაში განხორციელება. ჩემ მეგობრებთან იმ ქვეყანაში ჩასვლა, რომელთანაც ჩვენ პარტნიორული ურთიერთობები გვაკავშირებს," - განაცხადა ბალუევსკიმ გუშინ პეკინის აეროპორტში ჩასვლისას.

წინასწარი ინფორმაციით, რუსეთის გენშტაბის უფროსი ჩინეთში 20 მარტამდე დარჩება და ქვეყნის უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან გამართავს მოლაპარაკებებს. ვიზიტის დროს დაგეგმილია შეხვედრა ჩინეთის პრემიერ-მინისტრთან, ვენ ძიაბაოსთანაც. ოფიციალური განცხადებით, რუსი გენერლის სტუმრობის მთავარი მიზანი 2005 წლის შემოდგომაზე ყვითელი ზღვის სანაპიროზე დაგეგმილი ერთობლივი წვრთნების დეტალების შეთანხმებაა.

გაზეთ "კომერსანტის" ცნობით, ბალუევსკის ვიზიტს ერთობლივ წვრთნებთან დაკავშირებული სკანდალური სიტუაცია უძღოდა წინ. საქმე ისაა, რომ, თავდაპირველად, აღნიშნული სწავლება ტერორიზმის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანი გეგმის დამუშავებას ისახავდა მიზნად. თუმცა, როგორც გაზეთი აღნიშნავს, პეკინმა შეცვალა სამხედრო სწავლების ფორმატი და იგი, ფაქტობრივად, ტაივანის დაპყრობის გეგმის დამუშავებად გადააქცია.

გასული წლის დეკემბერში რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი პეკინში ვიზიტისას ერთობლივი ანტიტერორისტული წვრთნის ინიციატივით გამოვიდა. წვრთნების ადგილს დიდი ხნის განმავლობაში არჩევდნენ. ჩინეთი დათანხმდა თავისი ტერიტორია დაეთმო მანევრებისთვის, მაგრამ, ამავდროულად, კატეგორიული უარი თქვა მოსკოვის წანადადებაზე სწავლება სინძიან-უიღურის ავტონომიაში ჩაეტარებინათ. რუსეთის გენშტაბს იმედი ჰქონდა, რომ ერთობლივი წვრთნებისას ყირგიზეთში გასულ წელს პუტინის მიერ გახსნილ კანტეს რუსულ სამხედრო ავიაბაზასაც გამოიყენებდა.

თუმცა, ოფიციალურმა პეკინმა სანაცვლოდ, ზღვის სანაპიროზე ჩჟეძიანის პროვინცია შესთავაზა. საგულისხმოა, რომ ამ პროვინციის მეზობლად კუნძული ტაივანი მდებარეობს.

ჩინეთთან ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარების ფაქტი, რუსეთის სამხედრო "დიპლომატიის" საკმაოდ პროვოკაციული ნაბიჯია. ორიგინალობითა და მნიშვნელობით მას, ერთ დროს რუსი სამხედროების მიერ განხორციელებულ "პრიშტინის მარშს" თუ შევადარებთ (შეგახსენებთ, 2001 წელს რუსმა სამხედროებმა ნატო-ელ კოლეგებს დაასწრეს და პრიშტინაში პირველები შევიდნენ). ჩინეთთან ერთობლივი წვრთნები, თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ აშშ-სა და დანარჩენი მსოფლიოსთვის გამოწვევად. ნიშანდობლივია, რომ ეს ინიციატივა რუსეთის თავდაცვის მინისტრისგან მოდიოდა. რასაკვირველია, ჩინეთის მხარეც სიამოვნებით გამოეხმაურა მოსკოვის წინადადებას, მით უმეტეს მაშინ, როცა ცოტა თუ გაბედავდა ისეთ ქვეყანასთან ერთად ერთობლივი სამხედრო წვრთნების გამართვას, რომელიც, პრაქტიკულად, საომარი სამზადისის პირობებში იმყოფება (საუბარია ტაივანზე, რომლის მისაერთებლადაც ჩინეთი მზადაა "არამშვიდობიანი საშუალებებიც" გამოიყენოს, რაც, სხვათა შორის, 14 მარტს მიღებული კანონითაც დაადასტურა.).

ბალუევსკის პეკინში ვიზიტს პროვოკაციულ ელფერს ისიც მატებს, რომ რამდენიმე დღეში ჩინეთს, აზიური ტურნეს ფარგლებში, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი უნდა ესტუმროს. სავარაუდოოდ, ამერიკელები აღფრთოვანებული არ დარჩებიან ტაივანის ნაპირებთან სამხედრო წვრთნების გამართვის პერსპექტივით, მით უმეტეს - რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით. კონდოლიზა რაისმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ აშშ-ს დიდად აშფოთებს ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტის გაზრდა.

24 საათი

ნავთობმოპოვებაზე კვოტები იზრდება - ერთი ბარელის ფასი კი მაინც არ მცირდება

ისფაჰანში "ოპეკ"-ის 135-ე კონფერენცია, რომელშიც ორგანიზაციის 11 წევრი-ქვეყნის სანავთობო კომპანიების ხელმძღვანელები და დამკვირვებლები მონაწილეობდნენ, 16 მარტს გაიმართა. ფორუმის გახსნამდე კი დახურულ კარს მიღმა ირანის, კუვეიტისა და ნიგერიის ნავთობრესურსების მინისტრთა კომიტეტის სხდომა ჩატარდა. აღნიშნულ სხდომაზე განიხილეს ნავთობბაზარზე შექმნილი მდგომარეობა, რის შემდეგაც ნავთობექსპორტიორი ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ნავთობის მოპოვებაზე არსებული კვოტების გაზრდა დღეში 500 000 ბარელით, ანუ 1.9 პროცენტით (დღემდე დღიური კვოტა 27 მლნ ბარელი იყო). ეს, ცხადია, უჩვეულოა "ოპეკ"-ისთვის, რადგან გაზაფხულზე წესისამებრ ეკონომიკური ვარდნა შეიმჩნევა.

კვოტების ამგვარმა ზრდამ, სავარაუდოდ, ნავთობის რეკორდული ფასის შემცირება უნდა გამოიწვიოს. "ოპეკ"-ის კონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე ნავთობის ფასმა ბარელზე 55 აშშ დოლარსაც მიაღწია, რასაც შემდგომში მცირეოდენი ვარდნა მოჰყვა, კერძოდ, აზიურ ბაზარზე აშშ-ს მსუბუქ ნავთობნედლეულზე ბარელის ფასმა 54.85 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ლონდონში ბრენდის (საუკეთესო ხარისხი) ტიპის ნავთობზე ფასმა – 53.62 აშშ დოლარი.

სავარუდოდ, კვოტების აწევა ერთჯერადი აქცია არ იქნება. ასეთივე მასშტაბით კვოტების ზრდას "ოპეკი" აპრილ-ივნისშიც აპირებს. საუდის არაბეთის ნავთობმრეწველობის მინისტრის ალი ნაიმის თქმით, საჭიროა ფასების 40-50 აშშ დოლარამდე დაწევა. "ნავთობბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება ახლა უკვე დაბალანსებულია, ხოლო ნავთობრესურსები - საკმარისი. თუმცა, უკანასკნელ კვარტალში მოთხოვნასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ შეუძლებელი იქნება მესამეოთხე კვარტალში მოთხოვნის მასშტაბების ცვლილების თავიდან აცილებაც," - აღნიშნა ალი ნაიმიმ.

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "ოპეკ"-ის პრეზიდენტის შეიხ აჰმად ფაჰთ საბაჰის წინადადებას კვოტების ზრდის შესახებ ორგანიზაციის ყველა წევრი-ქვეყანა დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. მოწინააღმდეგეთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ალჟირი და ლიბანი. მეორე კვარტალში ფასების მკვეთრად ვარდნის თავიდან აცილების მიზნით მაისამდე კვოტების აწევის გადავადების წინადადებით გამოვიდნენ ირანი, კუვეიტი და ნიგერია.

უშედეგოდ მიიჩნევენ კვოტების ზრდას ექსპერტებიც. მათი აზრით, ეს არასაკმარისია ფასების ზრდის ტენდენციის შესაჩერებლად. საუკეთესო შემთხვევაში, "ოპეკ"-ის ამგვარი გადაწყვეტილება მხოლოდ ფასების სტაბილიზებას შეუწყობს ხელს. დეფიციტის აღმოფხვრისათვის კვოტების გაზრდა სულ მცირე 2 მლნ ბარელითაა საჭირო. სააგენტო "Fitch Ratings"-ის პროგნოზით, ამჟამად არსებული სახიფათო ტენდენციის მიუხედავად, 2005 წელს ნავთობზე ფასის ზრდა გასულ წელთან შედარებით საგანგაშო სხვაობით არ მოხდება. ექსპერტთა ვარაუდს ამართლებს ისფაჰანის კონფერენციის მეორე დღესვე ნიუ იორკის ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობის ფასის 57.23 აშშ დოლარამდე აწევა. თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ბრენდის ტიპის ნავთობზე ერთი ბარელის ფასის საშუალო მაჩვენებელი წლის განმავლობაში 43 აშშ დოლარი იქნება, ხოლო ურალის ნავთობის ფასი კი საშუალოდ 39 აშშ დოლარი.

"ოპეკ"-ის მომავალი კონფერენცია 7 ივნისს ვენაში გაიმართება.

24 საათი

„სხვა" ჩეჩენი

გასაოცარი არ არის, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ასლან მასხადოვის მოკვლას ჩეჩნეთის ომში დიდი გამარჯვება უწოდა. გასული წლის სექტემბერში ბესლანის სკოლაში სისხლისღვრის შემდეგ, რუსეთს წარმატება ძალზე სჭირდებოდა. ამიტომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყოფითად შეაფასა, რომ დანარჩენმა სამყარომ მასხადოვის სიკვდილი ისე არ აღიქვა, როგორც ეს რუსეთმა უჩვენა – "საერთაშორისო ტერორისტის ლიკვიდაცია".

სინამდვილეში კი, რუსებმა ერთადერთი ჩეჩენი ლიდერი მოკლეს, ვისთანაც პოლიტიკური პროცესის დაწყება შეეძლოთ. და თუ ბატონ პუტინს მართლა სურს ამ ომის დასრულება, აუცილებლად სჭირდება იმ სასტიკ პიროვნებაზე უკეთესი ვინმეს პოვნა, რომელსაც ამჟამად კრემლი უპირატესობას ანიჭებს (საუბარია რამზან კადიროვზე, მოკლული მარიონეტული ლიდერის შვილზე). როდესაც რუსები ჩეჩნეთიდან გავიდნენ და 1997-1999 წლებში მას მასხადოვი მართავდა, მისი ხელისუფლება სრულებით არაეფექტური გამოდგა, პირველ რიგში, შამილ ბასაევთან ბრძოლაში, რომელიც ნამდვილი საერთაშორისო ტერორისტია, ვისაც ბესლანში დატრიალებული სისხლისღვრის პასუხისმგებლობა აკისრია. ეს სიმართლეა. დღეს უკვე ნამდვილად არ იქნება ბასაევთან მოლაპარაკება რაიმე შედეგის მომტანი – მას განადგურებამდე უნდა სდიონ. თუმცა, ისიც მართალია, რომ იმისათვის, რათა ჩეჩნეთს რამდენამე დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება მიეცეს, კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი; და ეს პირველ რიგში წარმოუდგენელი მასშტაბებით გატარებული ნგრევისა და მსხვერპლის შედეგია, რომელიც რუსეთმა მას მიაყენა, ჩეჩნური წინააღმდეგობის უხეში ძალით ჩახშობის მცდელობისას. ჩეჩნებისთვის დღეს უფრო ძნელია საკუთარ საზოგადოებაში რაიმე ტრადიციის გამომუშავება და სამოქალაქო ინსტიტუტების შექმნა, ხოლო დღევანდელ ჩეჩნეთში ყველაზე სერიოზულ ძალებად დამნაშავეები და ექსტრემისტები იქცნენ. იმისათვის, რომ ჩეჩნეთში სამოქალაქო ინსტიტუტები გაჩნდეს, მას დრო, მშვიდობა და დახმარება სჭირდება. დღეს, როდესაც მასხადოვი ცოცხალი აღარ არის, პუტინმა უნდა გაიგოს, რომ მისივე ინტერესებშია ასეთი ინსტიტუტების ორგანიზების პროცესის დაწყება, თანაც კარგი იქნებოდა, დაეწყო ღია და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნებიდან, რომლის შედეგებსაც საერთაშორისო დამკვირვებლები მოიწონებდნენ და აღიარებდნენ.

"ნიუ იორკ თაიმსის" სარედაქციო კომენტარი

ევროკავშირი თავის ტერორისტებს ითვლის

ხუთი წამყვანი ევროპული ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო ევროპაში მცხოვრებ პირთა სიას შეადგენს, რომლებიც ჩეჩნეთში, ავღანეთში ან ერაყში იბრძოდნენ, ან იქ სამხედრო წვრთნას გადიოდნენ. ამის შესახებ გადაწყვეტილება საფრნაგეთის შს მინისტრის დომინიკ დე ვილპენის წინადადებით მიიღეს, გრენადაში ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის შს მინისტრების არაოფიციალურ შეხვედრაზე. გარდა ამისა, გადაწყდა ოპერატიული გაფრთხილების სისტემის შექმნა, ასაფეთქებლების, ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური მასალების ძარცვის შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა, ტერაქტებში გამოიყენონ.

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (ქ. ფოთი 4401, დ. აღმაშენებლის ქ. N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის N23 ფილიალი, ა/ა N623607, ბ/კ N220101606) აცხადებს კონკურს დიზელის საწვავის (L-62)-ის შესყიდვაზე.

1.1 მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა: **დიზელის საწვავი (L-62) - 2500 ტონა.**

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: ეტაპობრივად 2005 წლის 15 აპრილიდან 2006 წლის 15 აპრილამდე.

1.3 მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს **ცენტრალურ საწყობში.**

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), 2005 წლის 28 მარტის 1700 საათამდე.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ). ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.3 **იურდიული და ფიზიკური პირებისათვის**

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქონლის მიწოდება და ღირებულება.

დ. უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების ფორმები (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, აუდიტორული დასკვნები).

ე. გააჩნია თუ არა მიმწოდებელს ფოთში ავტოგასამართი სადგურები ან/და სხვა სახეობის რეზერვუარები (ტევადობის მითითებით).

ვ. საწვავის მოსაწოდებელად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები.

ზ. კონკურსშიი მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის გაცემა იწარმოებს 2005 წლის 30 მარტის 1000 საათიდან 2005 წლის 04 აპრილის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება.

საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: **2005 წლის 04 აპრილის 1800 საათი.**

8. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში დასაშვებია ერთი ალტერნატიური წინადადების წარმოდგენა.

10. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

11. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

12. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის სერთიფიკატი შესაბამისობის სერთიფიკატი, წარმოშობის სერთიფიკატი და შესაბამისი ლიცენზია დიზელის საწვავის მოწოდებაზე.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ხოხობაია

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1 შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (ქ. ფოთი 4401, დ. აღმაშენებლის ქ. N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის N23 ფილიალი, ა/ა N623607, ბ/კ N220101606) აცხადებს კონკურს ბენზინის შესყიდვაზე.

1.1 მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:
ბენზინი ათ - 92 **132 ტონა.**
ბენზინი ათ - 98 **54 ტონა.**

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: ეტაპობრივად 2005 წლის 15 აპრილიდან 2006 წლის 15 აპრილამდე.

2 მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), 2005 წლის 28 მარტის 1700 საათამდე.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.3 **იურდიული და ფიზიკური პირებისათვის**

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქონლის მიწოდება და ღირებულება.

დ. უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების ფორმები (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, აუდიტორული დასკვნები).

ე. გააჩნია თუ არა მიმწოდებელს ფოთში ავტოგასამართი სადგურები.

ვ. საწვავის მოსაწოდებელად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები.

ზ. კონკურსშიი მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

თ. თბილისიდან ფოთამდე ბენზინგასამართი სადგურების ქსელის (მიუთითეთ ჩამონათვალი).

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის გაცემა იწარმოებს 2005 წლის 30 მარტის 1000 საათიდან 2005 წლის 04 აპრილის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება.

საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: **2005 წლის 04 აპრილის 1800 საათი.**

8. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში დასაშვებია ერთი ალტერნატიური წინადადების წარმოდგენა.

10. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

11. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

12. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის სერთიფიკატი შესაბამისობის სერთიფიკატი, წარმოშობის სერთიფიკატი და შესაბამისი ლიცენზია ბენზინის მოწოდებაზე.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ხოხობაია

გიწვევთ უჩვეულო გამოფენა - "მ.ო.დ.ი"

ალვერდ ჩანქსელიანი

დღეს გალერეა TMS-ში გამოფენა იხსნება. უცნაური სათაური უნებლიედ ბადებს კითხვას - სად და რატომ უნდა მივიდეთ? არადა, იქ მისვლა მართლაც აუცილებელია, რადგან წარმოდგენილი ფოტოექსპოზიციის სახელწოდება ("მ.ო.დ.ი") ასე იშიფრება - მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის, თითქმის, ყველა რეგიონში უხვადაა აღმოჩენილი და დიდ საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას; ამის შესახებ კი ჩვენ - საზოგადოების დიდმა ნაწილმა, პრაქტიკულად, არაფერი ვიცით...

ნინო სვანიძე

ბოლო წლებში ქიმიური ნივთიერებების წარმოების ტემპების განვითარება და მათი მოხმარების სფეროების გაფართოება, რა თქმა უნდა, ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ხშირად უარყოფითი მხარეც ახლავს. ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება ტოქსიკურ რეაქციებს იწვევს, დაშლის მიმართ ძლიერ მდგრადობას ავლენს, ათასობით კილომეტრზე გადაადგილების უნარი აქვს და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქიმიური ნივთიერებების კლასი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (მ.ო.დ.ი) სახელწოდებით. მ.ო.დ-ები გამოიყენება როგორც ძლიერ მოქმედი პესტიციდები; ასევე, მათ იყენებენ მრეწველობის სფეროში; ზოგიერთი მათგანი კი სხვადასხვა სამრეწველო პროცესის დროს გარემოში წინასწარ დაუგეგმავადაც გამოიყოფა.

მ.ო.დ-ები წამლავენ ადამიანსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს, ახდენენ ფართო დიაპაზონის ტოქსიკურ ზემოქმედებას, აზიანებენ ორგანიზმის, თითქმის, ყველა სისტემას (პირველ რიგში - იმუნურ და რეპროდუქციულ სისტემებს), იწვევენ სიმსივნურ დაავადებებს; ფეხმძიმობისა და ძუძუთი კვების დროს კი მ.ო.დ-ები გადაეცემა მომავალ თაობებს და ბავშვებში თანდაყოლილ დეფექტებს იწვევს...

ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხოების სამთავრობათაშორისო ფორუმმა აღნიშნული საკითხი საგანგაშოდ მიიჩნია და რეკომენდაციები და შესაბამისი მანდატი მისცა გაეროს გარემოსდაცვით პროგრამას (UNEP). სამთავრობათაშორისო მოლაპარაკებებს შემდეგ, 2001 წელს მიღებულ იქნა მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენცია, რომელსაც ხელი მოაწერა საქართველომაც.

სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში საქართველოში 2003 წელს შემუშავდა და დამტკიცდა პროგრამა - "მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება", რომელიც ფინანსდება გლობალური ეკოლოგიური ფონდის (GEF) მიერ. აღმასრულებელ სააგენტოდ შერჩეულია გაეროს გარემოს განვითარების პროგრამა (UNDP). პროგრამა ხორციელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კოორდინაციითა და ხელმძღვანელობით.

აღნიშნულ საკითხებსა და ამასთან დაკავშირებით გამართული გამოფენის შემეცნებით აუცილებლობაზე გვესაუბრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სამმართველოს უფროსი, პროექტის ეროვნული დირექტორი, ბატონი **ალვერდ ჩანქსელიანი**:

"პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით, პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ეროვნული მაკოორდინირებელი კომიტეტი კომპეტენტური სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით. გაეროს წესების შესაბამისად, მოწვეულები არიან საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები. ინვენტარიზაციის ჩატარებისთვის რეგიონების მიხედვით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც ჩაუტარდათ სათანადო სწავლება; შერჩეულია ლაბორატორიები, სადაც მოდების შემცველობასთან დაკავშირებული ანალიზები ტარდება. ჩვენი სამუშაო ჯგუფების მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა საქართველოს ბევრ რეგიონში მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების არსებობა ცხადყო. ამასთან დაკავშირებით, საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით, ჩავატარეთ არაერთი სემინარი, პრობლემა ბევრჯერ გაშუქდა პრესაშიც; საერთოდ, ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადებისას უსაფრთხოების საკითხი და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება პრიორიტეტული გახლდათ, რადგან ჯგუფის მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ ეს ნივთიერებები, ნარჩენების სახით, ამორტიზირებულია ყოფილ, მიტოვებულ საწყობებში, სადაც ადამიანები თავისუფლად მიმოდიან, იქვე ძოვს პირუტყვი; სამწუხაროდ, ხშირია მომწამვლელი ნივთიერებების სოფლის მეურნეობაში გამოყენების შემთხვევებიც. ამიტომ, აუცილებლად მივიჩნიეთ მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირება. მომწამვლელი ნივთიერებების ინვენტარიზაციის პროცესში ჯგუფმა გადაიღო მრავალი ფოტო, დაგვიგროვდა საინტერესო ფოტომასალა და გაგვიჩნდა იდეა, რომ მ.ო.დ-ებთან დაკავშირებით გაგვეკეთებინა ფოტოგამოფენა, რომელიც უფრო თვლსაჩინოდ და გასაგებად ასახავდა აღნიშნული პრობლემის მთელ სიმწვავეს. გამოფენის მხატვრული გაფორმებისთვის საგანგებოდ მოვიწვიეთ ცნობილი მხატვარ-დიზაინერი გუგა კოტეტიშვილი და რეჟისორი დათო ქაჯაია და, ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით ძალიან გაგვიმართლა, რადგან იმედი გვაქვს, მათი ოსტატობის წყალობით, ეს გამოფენა უდავოდ მიაღწევს იმ მიზანს, რაც ჩვენ დავისახეთ - საზოგადოება მ.ო.დ-ების შესახებ მეტს შეიტყობს და დაფიქრდება".

გაუსაძლისი პირობები და სრული განუკითხაობა

თამარ მაისურაძე

უცხოელმა სტუდენტებმა ხმა ამოიღეს.

პაკისტანელმა ასამ ოდინმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მის სამშობლოში სწავლა გაცილებით ძვირი ღირს. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტი სწავლის საფასურში იმის ერთ მესამედს იხდის, რაც თავისი ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა გადაეხადა. ასამ ოდინს, შეიძლება ითქვას, ამ კუთხით გაუმართლა. სამაგიეროდ გამართლება არ აქვს მის გადაწყვეტილებას საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების შესახებ, თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რა პირობებშიც უწევს ცხოვრება.

პაკისტანელი, ინდოელი, შრილანკელი, თურქი, მაროკოელი, პალესტინელი და ქართველი სტუდენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქში ერთად, ერთნაირ პირობებში ცხოვრობენ. მათი ყოფა, როგორც თავად ამბობენ, ენით აუწერელია. მართალია, სტუდქალაქში არსებული მდგომარეობა ბოლო წლების განმავლობაში უცვლელია, მაგრამ მისი დროებითი მკვიდრნი აქამდე პირში წყალის დაგუბებას იმით ხსნიან, რომ მათი ყოფის შესახებ პროტესტის გამოთქმის შემთხვევაში, სტუდენტებს სტუდქალაქიდან გასახლებითა და ფიზიკური ანგარიშსწორებითაც კი ემუქრებოდნენ.

სხვა დანარჩენების მსგავსად ცხოვრებაში სიახლე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქართველი და უცხოელი სტუდენტები ერთად ელოდნენ, მაგრამ მათთან არაფერი შეცვლილა: სტუდქალაქში მცხოვრები ყველა სტუდენტი ადმინისტრაციას წლების განმავლობაში უხდიდა გარკვეულ გადასახადებს.

სტუდქალაქში, ე.წ. ბინის ქირის წლიური გადასახადი 60 ლარია. ე.წ. მომსახურების გადასახადი – ერთი ლარი, ხოლო ყოველთვიურად 14 ლარის გადახდა სტუდენტთა ელექტროენერგიით უზრუნველყოფისთვის არის საჭირო. ბინის ქირის გარდა, რაშიც ქართველებისგან განსხვავებით უცხოელი სტუდენტები წელიწადში 300 დოლარს იხდიან, ფასები ყველასთვის საერთოა.

არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, მათ დღემდე ვერ მიიღეს პასუხი კითხვაზე, თუ რომელი დოკუმენტი არეგულირებს საერთო საცხოვრებელში სტუდენტთა განთავსების საკითხებს და შესაბამისად განსაზღვრავს გადასახადების რაოდენობას.

გაუსაძლისი პირობები და სრული განიკუთხაობა – ეს გახლავთ სტუდქალაქში არსებულ დარღვევათა შემსწავლელი ჯგუფის შექმნის ინიციატივა.

"ჩვენი ინფორმაციით, დღესდღეობით, სტუდენტები არ არიან ვალდებულნი, სტუდქალაქში განთავსების სანაცვლოდ რაიმე სახის გადასახადები გაიღონ, რადგან არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც მათ დაუწესებს ამგვარ ვალდებულებას," – აცხადებენ "დარღვევათა შემსწავლელი ჯგუფის წევრები".

მათ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ არცერთ ქართველ სტუდენტს ამა თუ იმ თანხის გადახდის შემდეგ არანაირ ქვითარს არ აძლევენ. მათი თქმით, გადახდილი ფული მხოლოდ სტუდქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლების კეთილდღეობას ხმარდება. როგორც ისინი აცხადებენ, პროტესტის შემთხვევაში, სტუდენტებს ფიზიკური ანგარიშსწორებითაც კი ემუქრებოდნენ.

საფასურის გადახდის მიუხედავად, სტუდქალაქს ელექტროენერგია (საუკეთესო შემთხვევაში) დღე-ღამეში, მხოლოდ 6 საათის განმავლობაში მიეწოდება.

"ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივმართავთ უნივერსიტეტის რექტორს, რომ გარემონტდეს სტუდქალაქის საცხოვრებელი კორპუსი და დამყარდეს სანიტარიული წესრიგი. გაუქმდეს ზემოთჩამოთვლილი უკანონო გადასახადები. შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის სტუდქალაქში შექმნილ სიტუაციას, " – აცხადებენ სტუდენტები და რუსუდან ლორთქიფანიძეს შესაბამისი რეაგირებისთვის 10 დღიან ვადას აძლევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი აცხადებენ, თუ ახალ რექტორსაც, მისი წინამორბედის მსგავსად არ აღელვებს სტუდენტების კეთილდღეობა, მის წინააღმდეგაც იგივე მეთოდებს გამოვიყენებთ, რითაც როინ მეტრეველს გავუსწორდითო.

ორი სიტყვით

თბილისი. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ინფორმაციით, არსებობს ეგრეთ წოდებული კერძო სანიტარიული სამსახურები, რომლებიც გაურკვეველი დასახელებისა და მოქმედების ფხვნილებით მოსახლეობაში გარკვეულ საფასურად ვითომდა დეზინფექციას ატარებენ, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანების ჯანმრთელობას.

სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩაატარა შესაბამისი მოკვლევა და აღმოაჩინა ერთ-ერთი ასეთი სამსახური, რომელიც თავს აცხადებს კერძო სანიტარიულ სამსახურად. ამ საკითხს დღეს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი დავით მესხიშვილი სპეციალურ პრესკონფერენციას მიუძღვნის. **მედიანიუსი**

■ ■ ■

მცხეთა. ყაზბეგის რაიონში დიდთოვლობის გამო რეგიონში წყალდიდობას ვარაუდობენ.

მცხეთის რაიონში არაგვის მიმდებარე ტერიტორიაზე მალე კალაპოტის გამაგრებითი სამუშაოები დაიწყება. ამ სამუშაოებისთვის 250 ათასი ლარი გამოიყო.

სამუშაოები ძირითადად ჩასატარებელია არაგვის ხეობაში.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, "ყველა ღონისძიება გატარდება, რომ წყალდიდობის შემთხვევაში მაქსიმალურად უმნიშვნელო დანაკარგი იყოს. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ მოსახლეობის ევაკუაცია არ იყოს საჭირო", - განაცხადა გუბერნატორმა. **მედიანიუსი**

სარეგისტრაციო პუნქტები აბიტურიენტთათვის

ეს იმ სარეგისტრაციო პუნქტების სიაა, რომელშიც აბიტურიენტებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია. არ არის აუცილებელი საცხოვრებელი ადგილის ან სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით. შეგახსენებთ, რომ რეგისტრაცია გაგრძელდა ათ აპრილამდე და თბილისში შეიქმნა კიდევ ერთი სარეგისტრაციო პუნქტი – მაჩაბლის ქუჩა 16.

ასევე, ივნისის ბოლომდე მოქმედებს მორიგე სარეგისტრაციო პუნქტი – ტოვსტონოგოვის 2.

რაიონები	მისამართი
ბათუმი	ნინოშვილის 37
ქობულეთი	აღმაშენებლის 141
ხელვაჩაური	დ. აღმაშენებლის 21
შუახევი	თამარ მეფის 2
ხულო	დაბის ცენტრი
ქედა	მ.კოსტავას 1
ლანჩხუთი	ჟორდანიას 37
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის 1
ჩოხატაური	დუმბაძის 25
ფოთი	გორგასლის 37
აბაშა	თავისუფლების 12
სენაკი	რუსთაველის 112
ზუგდიდი	რუსთაველის 90
ხობი	დ.აღმაშენებლის 18
წალენჯიხა	სალიას 3
ჩხოროწყუ	გობეჩიას 7
მარტვილი	მშვიდობის 31
მესტია	თამარ მეფის 99
ვანი	თავისუფლების 65
ბაღდათი	წერეთლის 2
თერჯოლა	ჭანტურიას 7
ზესტაფონი	დ.აღმაშენებლის 61
ხარაგაული	სოლომონ მეფის 48
ჭიათურა	ტოლსტოის 11
საჩხერე	თავისუფლების 4
სამტრედია	რესპუბლიკის 6
ხონი	კაკაბაძის 15
წყალტუბო	შანიძის 1
ტყიბული	კალიმაძის მოედ. 3
ქუთაისი	1. სადგურის მოედანი 3
	2. წმ.ნინოს 3
ლენტეხი	თამარ მეფის 34
ცაგერი	რუსთაველის 21
ონი	აღმაშენებლის 8.1
ამბროლაური	ვ.კობახიძის 8
ადიგენი	მესხეთის 19
ასპინძა	რუსთაველის 7

რაიონები	მისამართი
ახალციხე	კოსტავას 18
ბორჯომი	რუსთაველის 1
ახალქალაქი	თავისუფლების 97
ნინოწმინდა	თავისუფლების 10
გორი	სტალინის 31
კასპი	სტალინის 68
ქარელი	ნინოშვილის 3
ხაშური	გ. ტაბიძის 5
ახალგორი	თავისუფლების 14
დუშეთი	სტალინის 43
თიანეთი	რუსთაველის 67
მცხეთა	გმირის 15
ყაზბეგი	ყაზბეგის 58
ბოლნისი	სულხან საბას 106
გარდაბანი	დ.აღმაშენებლის 129
დმანისი	წმ.ნინოს 41
თეთრიწყარო	თამარ მეფის 35
მარნეული	რუსთაველის 69
რუსთავი	ფიროსმანის 7
წალკა	რუსთაველის 68
ახმეტა	ზ.ჩოლოყაშვილის 49
გურჯაანი	კოსტავას 63
დ/წყარო	9 ძმის 18
თელავი	ერეკლე მეორის 16
ლაგოდეხი	26 მაისის 20
საგარეჯო	დ.აღმაშენებლის 15
სიღნაღი	ე.ბუკურაშვილის 26
ყვარელი	კედიგორის 1
გლდანი/ნაძალადევი	1.სარაჯიშვილის 1
	2.თორნიკე ერისთავის №3
ისანი/სამგორი	1. კახეთის გზატკ.76
	2. წურწუმიას №16
ვაკე/საბურთალო	1. კოსტავას 69
	2. ვაჟა-ფშაველას 66
მთაწმინდა/კრწანისი	1. გულიას 8
	2. ათონელის №5
დიდუბე/ჩუღურეთი	1. დ.მასხია III კვ
	2. ტოვსტონოგოვის 2

„საქწყალკანალის" მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და გამოსავალი

სამი წლის წინათ, ფრანგული კომპანია "ჯენერალ დეზოსთან" მოლაპარაკების დაწყებამდე, მსოფლიო ბანკის დახმარებით, თბილისის წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციის 25-მილიონიანი პროგრამა შეიქმნა. ეს პროგრამა დღეს, ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო, გამოუყენებლად დევს. წელს ქართული წყალგაყვანილობა-მომარაგების მდგომარეობის შესწავლა და გამოსავლის ძიება ხელახლა დაიწყო, ოღონდ, ამჯერად მთელი საქართველოს მასშტაბით. კვლევებს, ქართველ ექსპერტებთან ერთად, დანიური ორგანიზაცია COWI აწარმოებს. გამოკვლევის დასრულების შემდეგ კი, უკვე ახალი ინვესტორის მოძიებაზეც შეიძლება ფიქრი.

ნანა ქადაგიშვილი

COWI-მ (რომელმაც საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა) კვლევის პირველი ეტაპის შედეგები "საქწყალკანალის" წარმომადგენლებს გუშინ გააცნო. **"წყალგაყვანილობის ინფრასტრუქტურის მდგომარეობა სატირალია,"** – მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთია ექსპერტების ხატოვანი, მაგრამ რეალობის ამსახველი დასკვნა. უფრო კონკრეტულად კი - 1990 წელს აშენებული საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობა ძალზე მოძველდა; სათავე ნაგებობების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია; მათ 60 პროცენტს ექსპლუატაციის ვადა უკვე გასული აქვს; ბევრ მათგანს არ აქვს სანიტარიული დაცვის ზონა. წყლის არხების სარემონტო სამუშაოები დიდი ხანია, არ ჩატარებულა, რაც ხშირად ავარიების, სასმელი წყლის დალვრის, დაბინძურებისა და, შესაბამისად, მოსახლეობის ნაწლავური ინფექციებით დაავადების მიზეზი ხდება. ქვეყანაში წყლის დანაკარგების მაჩვენებელი 30-50 პროცენტს აღწევს. ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის იმისა, რომ საქართველოს დასახლებული პუნქტების დიდ ნაწილს სასმელ წყალი არარეგულარულად მიეწოდება. მომსახურების დაბალი ხარისხი კი მომხმარებელს ტარიფის გადახდის სურვილს უკარგავს.

რაც შეეხება ტარიფს, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში სასმელი წყლის ტარიფის ოდენობა დაუსაბუთებლად არის დადგენილი. მასში გათვალისწინებული არ არის წყალგაყვანილობის ქსელის ამორტიზაციის ხარჯები. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, დაბალი შემოსავლის წყალობით მოსახლეობას, გაზრდილის კი არა, არსებული ტარიფის გადახდა უჭირს.

არასწორად არის გათვლილი ერთ მოსახლეზე მოხმარებული წყლის რაოდენობა. თბილისში ერთი ადამიანი დღე-ღამეში 800 ლიტრ წყალს მოიხმარს, რაიონებში – 60-500 ლიტრს. მაშინ როცა, დასავლეთ ევროპაში ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული წყლის ოდენობა 110-140 ლიტრს არ აღემატება.

კვლევის საბოლოო დასკვნა და კონსულტაციები ივნისის შუა რიცხვებში იქნება მზად. თუმცა, ერთ უტყუარ გამოსავალზე საუბარი უკვე შეიძლება. როგორც COWI-ის კონსულტანტი ალექსანდრე მარტუსევიჩი გვირჩევს, არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, უპირველესად, ერთიანი სახემწიფო პოლიტიკის შემუშავება და სისტემის სწორად მართვაა საჭირო, შემდეგ კი - არსებული შემოსავლების მიზნობრივად ხარჯვა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დაფინანსების მოძიება.

ქუთაისში ადამიანის გამტაცებლები გაასამართლეს

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისი

ქუთაისის საოლქო სასამართლომ, საქმის ერთწლიანი განხილვის შემდეგ, ადამიანის გამტაცებლების ექვსკაციან ჯგუფს განაჩენი გამოუტანა. სს "ავტოქარხნის" ყოფილი გენერალური დირექტორის, ამირან ნაცვლიშვილისა და ზესტაფონელი ბიზნესმენის, დიმიტრი სარდანაძის მცირეწლოვანი ვაჟის გატაცების გამო, სასამართლომ აღნიშნული ჯგუფი დამნაშავედ ცნო. თუმცა, მართლმსაჯულების წინაშე დამნაშავეთა ჯგუფის მხოლოდ ნახევარი წარდგა, ანუ ის პირები, რომელთა დაკავებაც ადგილობრივმა სამართალდამცავებმა შეძლეს.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ ადამიანის გამტაცებლები გაასამართლა.

მოსამართლის განაჩენით, კონსტანტინე ჭრელაშვილს, მეტსახელად "ცხოველას" 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ლევან ბერუჩაშვილს, მეტსახელად "ბაჩოს" - 13 წლით, გოჩა ბრეგაძეს - 9 წლით, რამაზ შალიკიანს, მეტსახელად "ჭუპის" - 8 წლით, ზეზვა სანიკიძეს - 3 წლით და 6 თვით, ზაალ კახნიაშვილს კი - 3 წლით.

თავის დროზე, ორი წლის წინ, როცა ეს დანაშაულები მოხდა და პოლიცია გამტაცებლების კვალზე გავიდა, იმერეთის სამხარეო პროკურატურამ ექვმიტანილთა თორმეტკაციანი სია გამოაქვეყნა. ერთ-ერთი მათგანი, 25 წლის გიორგი ბაბუნაშვილი პოლიციამ 2003 წლის 26 თებერვალს თბილისში დააკავა. 2 მარტს ბაბუნაშვილი შსს წინასწარი დაკავების იზოლატორში მკვდარი იპოვეს. ოფიციალური ინფორმაციით, ეჭვმიტანილმა თავი მოიკლა. ადვოკატისა და ახლობლების მტკიცებით კი, ბაბუნაშვილი პოლიციის მხრიდან წამების შედეგად გარდაიცვალა. მანამდე, 5 თებერვალს, გიორგი ბაბუნაშვილი ვასილ ლოსაბერიძესთან და დავით ქოჩიაშვილთან ერთად ქუთაისის პოლიციასაც ჰყავდა დაკავებული, მაგრამ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის შედეგად, მათ სამართალდამცავებისაგან თავის დაღწევა შეძლეს. ლოსაბერიძე და ქოჩიაშვილი ადგილობრივი სამართალდამცავების მიერ დღემდე იძებნებიან, ისევე როგორც გამტაცებლების სხვა წევრები, მათ შორის, ამ ჯგუფის სულის ჩამდგმელი - გელა ბარაბაძე.

სს "ავტოქარხნის" გენერალური დირექტორი ამირან ნაცვლიშვილი 2003 წლის დეკემბერში გაუჩინარდა. გამტაცებლების ჯგუფმა ის მას შემდეგ გაათავისუფლა, რაც მისმა ბიზნეს-პარტნიორებმა დამნაშავეებს 48 000 დოლარი და 2000 ევრო გადაუხადეს. ნაცვლიშვილის გატაცების საქმე მხოლოდ მას შემდეგ გაიხსნა, რაც დამნაშავეთა იმავე ჯგუფმა კიდევ ერთი ადამიანის, ამჯერად ბავშვის გატაცება მოახერხა. 12 წლის გიორგი სარდანაძე 2003 წლის 12 თებერვალს გაიტაცეს. დიმიტრი სარდანაძის მტკიცებით, მან შვილი გამოსასყიდის გარეშე დაიბრუნა. ბავშვის დაბრუნებაში, ისევე როგორც ნაცვლიშვილის შემთხვევაში, პოლიციას რაიმე წვლილი არ შეუტანია. შესაბამისად, გამოძიებასთან თანამშრომლობაზე ორივე დაზარალებულმა იმთავითვე უარი თქვა. ამის მიუხედავად, თებერვლის ბოლოს ადგილობრივმა სამართალდამცავებმა საქმის გახსნა მოახერხეს. უფრო მეტიც, გამოძიებასთან "ურჩობა", მოგვიანებით, "ავტოქარხნის" გენერალურ დირექტორს ბუმერანგივით შემოუბრუნდა. 2004 წლის 15 მარტს იმერეთის საოლქო პროკურატურამ ამირან ნაცვლიშვილი და "ავტოქარხნის" აღმასრულებელი დირექტორი შიო ობოლაძე დააკავა. თუმცა, 6 თვის შემდეგ ქარხნის დაკავებულმა დირექტორებმა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმებას მიაღწიეს. ამჯერად ამირან ნაცვლიშვილს თავისუფლება 5 მილიონი ლარის ღირებულების, "ავტოქარხნის" აქციების დათმობის ფასად დაუჯდა. ამას გარდა, მას ბიუჯეტში 35 000 ლარი ნაღდი ფული შეატანინეს, ობოლაძეს კი - 30 000 ლარი.

ორიოდე დღის წინ ქუთაისის საოლქო სასამართლოში დასრულებული პროცესის შედეგად, ამირან ნაცვლიშვილი გარკვეულ ფულად კომპენსაციას მიიღებს. სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე, გასამართლებულ გამტაცებელთა ექვსკაციან ჯგუფს, სასჯელთან ერთად, დაზარალებულების სასარგებლოდ 65 000 ლარის გადახდა დაეკისრა. თუმცა, საბოლოო სიტყვა უზენაეს სასამართლოზეა, სადაც მსჯავრდებულების ადვოკატებმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი უკვე გაასაჩივრეს.

ჩუბაისმა იცის თავდამსხმელთა ვინაობა, თუმცა მას საიდუმლოდ ინახავს

გუშინ, დილით, აგარაკიდან სამსახურში მიმავალი ანატოლი ჩუბაისის მანქანაზე თავდასხმა განხორციელდა. ტრასაზე გამოსულ ჩუბაისის კორტეჟს, რომელმაც მინსკის მოსახვევთან მოძრაობა შეანელა, აფეთქება მოუწყვეს. მანქანა, რომელშიც ჩუბაისი იმყოფებოდა, დაუყოვნებლივ გაეცალა შემთხვევის ადგილს, ხოლო კორტეჟის შემადგენლობაში მყოფი ორი მანქანა, რომელშიც მისი პირადი დაცვის წევრები იმყოფებოდნენ, ადგილზე დარჩა. მანქანიდან გადმოსულ დაცვის წევრებს კალაშნიკოვის სისტემის ავტომატებიდან ცეცხლი გაუხსნა თეთრ ნიღაბ-ხალათში გამოწყობილმა ორმა პირმა. საპასუხო ცეცხლი გახსნა ჩუბაისის დაცვამაც და ორმხრივი სროლის შედეგად დაიჭრა შემთხვევით გამვლელი მანქანის მძღოლი. თვითმხილველთა განცხადებით, თავდამსხმელებმა მოახერხეს ტყის მასივით ტრასაზე გასვლა, სადაც უცხოური მარკის, მუქი ფერის მანქანაში ჩასხდნენ.

თავდასხმის ადგილზე ძალოვანთა გაძლიერებული ჯგუფი გავიდა. შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიები აფეთქებიდან რამდენიმე წუთში გადაიკეტა, მაგრამ სამართალდამცველებმა ორი ქილერის დაკავება მაინც ვერ შეძლეს. იძებნება მანქანა, რომელშიც თავდამსხმელები ჩასხდნენ.

ჩუბაისზე მომხდარი თავდასხმის გამო მოსკოვის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც საქმეს გამოიძიებს. ჯგუფის წევრებმა უკვე დაკითხეს მოწმეები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ და რომელთაც, რამდენიმე უცხოური მარკის მანქანის მოძრაობის გარდა, საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ.

თავად ანატოლი ჩუბაისის განცხადებით, მასზე მეოთხე თავდასხმა განხორციელდა და მისთვის ცნობილია, თუ ვინაა ამ თავდასხმების ორგანიზატორი. ჩუბაისმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რამდენიმე თვით ადრე ჰქონდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მასზე იგეგმებოდა თავდასხმა, სწორედ ამის გამო, მან დაცვაც კი გააძლიერა. "მე ვიცი, ვინაა ორგანიზატორი, მაგრამ მის ვინაობას არ დავასახელებ, რადგან მე მისი დაჭერა მინდა," – განაცხადა ჩუბაისმა. გაზეთ "T"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ჩუბაისმა განაცხადა, რომ "ჩემთვის ცნობილია სამივე თავდასხმის დეტალები, ორგანიზატორთა ვინაობა. ბოლო ასეთი შეკვეთა მათ ნახევარი წლის წინ გასცეს და მას სუფთა პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა," – განაცხადა ჩუბაისმა.

სახალხო დამცველი შსს-ს უკანონობაში ადანაშაულებს

თამარ მაისურაძე

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი შინაგან საქმეთა სამინისტროს უპირისპირდება და ქისტი წარმოშობის ძმების ცათიაშვილების უკანონო დეპორტაციაში ადანაშაულებს. როგორც სახალხო დამცველის ოფისში გუშინ გამართულ შეხვედრაზე სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა, ძმებმა ცათაშვილებმა, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები არიან და აქამდე გროზნოში ცხოვრობდნენ, 7 მარტს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად მიმართეს. სამინისტროში მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დახვდნენ, ისინი ჯერ დაკითხვაზე წაიყვანეს, შემდეგ კი, აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის ნეიტრალურ ზონაში გადაიყვანეს. "ძმები დღემდე იქ იმყოფებიან და საქართველოში ვერ ბრუნდებიან," - აღნიშნა ომბუდსმენმა.

აღსანიშნავია, რომ ეს ოპერაცია ფარულად, რეგისტრაციის გავლის გარეშე ჩატარდა და ძმების მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის ფაქტი დოკუმენტურად არსად არ არის დაფიქსირებული. სახალხო დამცველის თანამშრომელმა ორჯერ მოინახულა დეპორტირებული ცათიაშვილები და ახსნა-განმარტებები ჩამოართვა. უფროსი ორი ძმა საქართველოშია დაბადებული, ხოლო მესამე, 14 წლისა – გროზნოში. უფროს ძმას შენგელი ცათიაშვილს 2004 წლის 18 დეკემბერს მიღებული აქვს სტატუსის მაძიებლის ცნობა, რაც მისი დეპორტაციის უკანონობას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის.

მართალია, ცათიაშვილებს საქართველოს ტერიტორია არალეგალურად აქვთ გადმოკვეთილი, მაგრამ სახალხო დამცველი თვლის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ყოველგვარი განმარტების გარეშე და შესაბამისი პროცესუალური ნორმების გვერდის ავლით მათი ქვეყნიდან გაძევების უფლება არ ჰქონდათ.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ სამინისტროს თანამშრომლები ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ. მომხდართან დაკავშირებით არც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო რეაგირებს.

"პირადად ვთხოვე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს კორნელი სალიას და ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენელს გია გაბუნიას, აღეკვეთათ ძმების მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედება, მაგრამ ამ შუამდგომლობას შედეგი, ჯერჯერობით, არ მოჰყოლია," - განაცხადა სუბარმა.

კანონის თანახმად, დეპორტირებულთა დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უნდა აიღოს, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჯერჯერობით, არანაირ ქმედებას არ ახორციელებს.

მოკლედ

ქართველები აფხაზებისგან მკვლელობის გამოძიებას ითხოვენ

ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ 12 მარტს, გალის რაიონის სოფელ თაგილონში მომხდარი მკვლელობის სასწრაფოდ გამოძიება მოითხოვა.

როგორც გაირკვა, ამ დღეს, შეიარაღებული აფხაზები ძარცვის მიზნით თავს დაესხნენ შალერ ჯანჯღავას ოჯახს და მისი მეუღლე ზოია ჯოლოგუა მოკლეს. გატაცებულია 5 ათასი რუსული რუბლი და 200 ლარი.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, ამ საქმის გახსნით თავადაც არიან დაინტერესებული და გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს.

ამასთან, რუსულმა მხარემ შეხვედრაზე განაცხადა, რომ სოფელ ჭუბურხინჯთან მდებარე 201-ე საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიიდან აფხაზი შეიარაღებული მესაზღვრეების გაყვანის შესახებ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. მათივე თქმით, ისინი ამ საკითხზე მოლაპარაკებებს მართავდნენ და ჭუბურხინჯის წინა ორ შეხვედრაზე ამიტომ ვერ გამოცხადდნენ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კვლავ დააყენეს ენგურის ხიდზე უფასო სამგზავრო ავტობუსის მოძრაობის საკითხი, თუმცა იგი კვლავ ღიად დარჩა. როგორც აფხაზები განმარტავენ, ავტობუსის მოძრაობისთვის აუცილებელი გზის შეკეთების სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა.

მედიანიუსი

ბრალდება ბრალდების სანაცვლოდ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სატყეო დეპარტამენტის უფროსს 100 ათასიანი ბრალდება გამოუძებნა

საქართველოს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანი პირველი აღმოჩნდა, ვინც გაბედა ხმამაღლა, საჯაროდ განეცხადებინა იმ დევნის შესახებ, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილისგან და მისი ქვეშევრდომებისგან განიცდიდა.

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანი, რომელიც ამ თანამდებობაზე, ცხრაწლიანი ემიგრაციის შემდეგ, "ვარდების რევოლუციის" შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ დანიშნა, კვლავ ემიგრაციაში წავიდა. თუმცა, საქართველოს დატოვების წინ მის მიერ გაკეთებულმა ვიდეოჩანაწერებმა სკანდალური ელფერი შეიძინა. გიორგობიანმა თანამდებობის დატოვებისა და ემიგრაციაში წასვლის მიზეზად შინაგან საქმეთა მინისტრისა და მისი ქვეშევრდომების მხრიდან დევნა დაასახელა.

"სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე ჩემი მუშაობის დროს დეპარტამენტიდან ეგრეთ წოდებული, "წილების" გაცემის გზები გადაიკეტა, რამაც გამოიწვია კიდეც დაპირისპირება," - აცხადებს გიორგობიანი გუშინწინ გამოქვეყნებულ ჩანაწერში. უკვე გუშინ კი, უკვე მეორე ვიდეოჩანაწერი გავრცელდა, სადაც ბიძინა გიორგობიანი საქართველოდან სამაჩაბლოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ხე-ტყისა და ფულის უკანონო მოძრაობის იმ სქემებს შიფრავს, რომელშიც უშუალოდ არიან ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები. ბიძინა გიორგობიანმა დაასახელა კონკრეტული გვარებიც, კერძოდ, უშიშროების სამსახურის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია.

თუ სატყეო დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარის ბრალდებებს გუშინწინ ირიბი პასუხი გასცა გენერალურმა პროკურატურამ, გუშინ უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებიც ალაპარაკდნენ.

გენერალური პროკურატურის კომენტარი იმ სისხლის სამართლის საქმეს ეხებოდა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან დიდი რაოდენობის ხე-ტყის უკანონო გატანის ფაქტზეა აღძრული და რომლის გამოც ბიძინა გიორგობიანს ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი დააწერინეს.

გუშინ კი, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ, როდესაც გიორგობიანი საქართველოში იმყოფებოდა, ის გენერალურ პროკურატურასთან და სამართალდამცველ ორგანოებთან არ თანამშრომლობდა. მისივე თქმით: **"ახლა ის უცხოეთშია და უმჯობესია, ამ საკითხით გენერალური პროკურატურა დაკავდეს."**

ვანო მერაბიშვილმა უარყო გიორგობიანის მიერ გუშინ გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ თითქოს, მან სატყეო დეპარტამენტის უფროსს გერმანიაში დაურეკა და უთხრა, რომ მის მიერ ვიდეოჩანაწერებში ნაამბობი ფაქტების შესახებ არაფერი იცოდა.

არც გენერალურ პროკურატურას, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე საუბრობდა, არც შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც გენერალურ პროკურატურას გიორგობიანთან ურთიერთობისკენ მიანიშნებდა, არ დაუკონკრეტებიათ, რომ ზემოთ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს არა გენერალური პროკურატურის, არამედ უშიშროების სამსახურის გამომძიებლები იძიებენ. უშიშროების სამსახურშივე დაიბარეს გუშინ დაკითხვაზე გიორგობიანის თანაშემწე მზევინარ ანსიანი, რომელმაც პირველმა განაცხადა, რომ ბიძინა გიორგობიანზე ზეწოლას შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ახორციელებდა.

"ჩემი ტელევიზიით გამოსვლისთანავე დაიწყეს უშიშროებიდან რეკვა. მე იქ მისვლას მხოლოდ ადვოკატის თანხლებით დავთანხმდი," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მზევინარ ანსიანმა.

ანსიანის თქმით, გამოძიებას აინტერესებდა, იცოდა თუ არა მან წინასწარ გიორგობიანის საქართველოდან წასვლის შესახებ, გაქცევის კონკრეტული დეტალები და მიზეზები.

როგორც ანსიანი აცხადებს, გიორგობიანს წასვლის თაობაზე არაფერი უცნობებია და მისი გერმანიაში გამგზავრება, როგორც ყველა დანარჩენისათვის, მისთვისაც მოულოდნელი იყო.

"პერიოდულად იყო საუბრები, რომ მუშაობა ძალიან უჭირდა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები გასაქანს არ აძლევდნენ. როგორც თავად ამბობდა, ეს ყველაფერი ხე-ტყის ბიზნესს უკავშირდებოდა," - განაცხადა ანსიანმა.

მისივე თქმით, გიორგობიანი ორშაბათიდან სამსახურში არ გამოჩენილა, ოთხშაბათს კი ემიგრაციაში წასვლის შესახებ ტელეფონით აცნობა.

ზემოთ ნახსენები პასუხების მიღების შემდეგ გამოძიება ბიძინა გიორგობიანის მიერ დატოვებული ვიდეოჩანაწერებით დაინტერესდა, რომელშიც გიორგობიანი ხე-ტყის უკანონო ბიზნესში ჩართულ უშიშროების მაღალჩინოსნებს ამხელს და ფულის გათეთრებაზე მიუთითებს. კერძოდ, ანსიანის თქმით, გამომძიებელს აინტერესებდა, გააჩნდა თუ არა პირადად მას აღნიშნული ვიდეოდოკუმენტები ან, საერთოდ, რაიმე სხვა სახის დოკუმენტაცია.

"მე რომ მოგვიანებით პრობლემები არ შემქმნოდა, გიორგობიანი აღნიშნულ კასეტებს არც დამიტოვებდა, - ამბობს ანსიანი, **- მაგრამ, ჟურნალისტების თხოვნით, მე დავინტერესდი კასეტების ადგილსამყოფელით, თუმცა, მინიშნებებით მითითებულმა პირებმა მითხრეს, რომ კასეტები არ აქვთ, რაც მაფიქრებინებს, რომ საჭიროდ ჩათვალეს მათი დამალვა."**

დაბოლოს, გუშინწინ გენერალურ პროკურატურაში აცხადებდნენ, რომ ისინი არც გიორგობიანის დაპატიმრებას აპირებდნენ, მეტიც, შუამდგომლობაც კი არ აღუძრავთ მისი თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე. უკვე გუშინ, შინაგან საქმეთა მინისტრისა და ძალოვანი უწყებების სხვა მაღალჩინოსნების მისამართით გიორგობიანის მიერ წარდგენილი ბრალდებების გამოქვეყნების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბიძინა ბრეგაძემ განაცხადა, რომ ბიძინა გიორგობიანს 100 ათასი დოლარის სახელმწიფო სახსრების მითვისება ბრალდება, რისთვისაც მან შესაბამისად უნდა აგოს პასუხი.

ორი სიტყვით

თბილისი. შსს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი, 28 წლის ოთარ ძიძიკაშვილი დააკავეს. ძიძიკაშვილის დაკავება რუსთავის გზატკეცილზე მდებარე სუპერმარკეტ "ბაიას" მიმდებარე ტერიტორიაზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა.

პირადი ჩხრეკისას მას დიდი ოდენობით (0,22 გრ) ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" აღმოაჩნდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ბათუმში მცხოვრები, 30 წლის როინ ბოლქვაძე, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბერში ავტომანქანა „გაზ-24"-ით დაეჯახა ბათუმში მცხოვრებ, 55 წლის ბულბულ დუმბაძეს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-6 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, მრავალჯერ ნასამართლევი, სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლისთვის და თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევისთვის ვანის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 27 წლის აბესალომ ხელაძე, მეტსახელად "ვანსკი", რომელიც პირთა ჯგუფთან ერთად გეგუთის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაიქცა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს მცხეთის რაიონის სოფელ გლდანში მცხოვრები, 40 წლის მალხაზ პაპუაშვილი, 44 წლის სოლომონ ალიმბერაშვილი, ძმები, 42 წლის გიორგი და 40 წლის მიხეილ მაისურაძეები და თბილისში მცხოვრები, 39 წლის მიხეილ ბიჩინაშვილი, რომლებმაც სოფელ გლდანში მცხოვრები რობიზონ ხახნელიძის სახლი გაქურდეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის, გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდაში დააკავეს ავტომანქანა "ტოიოტას" მძღოლი, ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში მცხოვრები, 41 წლის გიორგი გარუჩავა, მგზავრები - ბაღდათში მცხოვრები, 45 წლის ამბროსი ჟორჟოლიანი და ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში მცხოვრები, 37 წლის არჩილ ახვლედიანი, რომლებმაც ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს ბათუმში მცხოვრები, 39 წლის გია შველიძე. ავტომანქანიდან ამოღებულია ნომერწაშლილი პისტოლეტი "მაკაროვი" მჭიდით და 8 ვაზნით, და 0.1537 გრამი ჰეროინი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოში არსებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე, თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს პირველი განყოფილებისა და თბილისის საპატრულო პოლიციის სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის პირველი ოცეულის თანამშრომლებმა მეტროსადგურ "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს 28 წლის ირაკლი გელენიძე, რომლისგანაც ამოიღეს "ლუგერის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდით და 6 ვაზნით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 27 წლის სერგო ფერაშვილმა განაცხადა, რომ ორმა პირმა დანის მუქარით გასტაცა 264 ლარი. სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს 31 წლის ლაშა ვასაძე. დანა ამოღებულია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისან-სამგორის შს სამმართველოს მე-6 განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა "ცხელ კვალზე" რუსთავის გზატკეცილზე დააკავეს ე.წ. "სვანური დაჯგუფების" წევრები, ქურდული ტრადიციების აქტიური მიმდევრები, გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერაში მცხოვრები ძმები, 25 წლის ლონდერ და 22 წლის ლევან მიქიანები, რომლებიც ორხევის დასახლებაში ყაჩაღურად თავს დაესხნენ 48 წლის იური კამკამიძეს, დანის მუქარით გასტაცეს ავტომანქანა "გაზ-2410", 40 ლარი და მობილური ტელეფონი. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილები, ძმები - 21 წლის შოთა და 30 წლის ხვიჩა წიფურიები, რომლებიც ყაჩაღურად თავს დაესხნენ ქობულეთში მდებარე კაფე-ბარ "ყაზბეგის" მეპატრონე ირაკლი ჯიჯავაძეს. **მედიანიუსი**

გასწორება

გაზეთ "24 საათის" 11 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სახელწოდებით "სამართალდამცველებისგან განსხვავებით, ყალბი ვიზების დამამზადებლებს და მათ მფარველებს მართლმსაჯულება არ ინდობს". ამ წერილის გამო რედაქციას მომართა მასში მოხსენიებულმა ქალბატონმა. წერილში იგი ნახსენებია, როგორც საბერძნეთის კონსულის მდივანი, საბერძნეთის მოქალაქე მადლენა (ოფიციალური დოკუმენტაციით – ელენე) ტატაროვა. როგორც აღმოჩნდა, ქალბატონი საქართველოს მოქალაქეა და საბერძნეთის საელჩოსთან მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში თანამშრომლობს, როდესაც მათ თარჯიმნის დახმარება სჭირდებათ.

დაშვებული უზუსტობის გამო რედაქცია ბოდიშს იხდის.

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____
____
____
____
____
____
____
____
____

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..............................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................

საკონტაქტო ტელეფონი..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "ხოფშმენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ქონების გადასახადი

საგადასახადო კოდექსის სიახლეები

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება და მისი ყოველმხრივი ხელშეწყობა დაისახა. სწორედ აღნიშნულის მისაღწევად გარკვეული ზომები იქნა გატარებული, რომელთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, უდავოდ, 2005 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება წარმოადგენს. ეს ფაქტი ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუმცა, რაც შეეხება კოდექსის კონკრეტულ მოთხოვნებს, ამ საკითხებში მოსახლეობის უმრავლესობა არცთუ კარგად ერკვევა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი ბუნდოვანებით არის მოცული.

ახალმა კოდექსმა ბევრი სიახლე შემოიტანა, ბევრი ძველი ნორმა ხელახლა გამოიყენა, ბევრისაც - სხვაგვარად ინტერპრეტირება მოხდა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა, თავისთავად, გამოიწვია ის, რომ ახალ ნორმატიულ აქტში გარკვევა მეწარმეთა უმრავლესობისათვის (და არა მხოლოდ მათთვის) საკმაოდ რთული აღმოჩნდა. საგადასახადო კოდექსში ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის არსებობა პირდაპირ და, თანაც, ნეგატიურად აისახება მეწარმეობის განვითარებაზე, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს მთლიანად ქვეყნის წინსვლაზე.

როგორც ცნობილია, ახალმა საგადასახადო კოდექსმა დააწესა ხუთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი და ორიც - ადგილობრივი: ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი. ადგილობრივი გადასახადი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადისგან, ძირითადად, იმით განსხვავდება, რომ მისი გადახდა ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამჯერად, გვინდა, მოსახლეობას მივაწოდოთ გარკვეული ინფორმაცია **ქონების გადასახადზე.**

ქონების გადასახადი წარმოადგენს ყველაზე აქტუალურ გადასახადს - იგი ვრცელდება მოსახლეობის ფართო ფენებზე და მისი გადახდა უწევს თითქმის ყველა მოქალაქეს. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ინტერესი ამ გადასახადის მიმართ საკმაოდ დიდია. უნდა აღინიშნოს, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში ქონების გადასახადმა გააერთიანა წინა კოდექსში არსებული შემდეგი გადასახადები: ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეთა გადასახადი და გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისთვის.

რა არის ქონების გადასახადი?

ქონების გადასახადი არის პირდაპირი გადასახადი, რომლის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს მოძრავი და უძრავი ქონების ღირებულება.

ვინ უნდა გადაიხადოს ქონების გადასახადი?

ქონების გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ამ გადასახადით დასაბეგრი ობიექტის მესაკუთრეები არიან. ასევე, ის პირები, ვინც სარგებლობენ ან, ფაქტობრივად, ფლობენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწას.

რა იბეგრება ქონების გადასახადით?

ქონების გადასახადით იბეგრება:

საქართველოს საწარმოსათვის:

■ (მიწის გარდა) ამ საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებები და არამატერიალური აქტივები;

■ საკუთრებაში არსებული მიწა;

■ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწა, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა.

უცხოური საწარმოსათვის:

■ ქონება (მიწის გარდა), რომელიც ირიცხება საქართველოს ტერიტორიაზე;

■ საკუთრებაში არსებული მიწა;

■ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწა, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა.

ორგანიზაციებისათვის:

■ ქონება (მიწის გარდა), რომელიც ირიცხება ბალანსზე ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

■ საკუთრებაში არსებული მიწა;

■ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწა, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა.

ფიზიკური პირებისათვის:

■ უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), რომელიც არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

■ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება;

■ საქართველოში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილები;

■ საქართველოში რეგისტრირებული იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები;

■ საკუთრებაში არსებული მიწა;

■ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწა, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა.

ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად.

ფიზიკური პირისათვის ქონების (მიწის გარდა) გადასახადის განაკვეთები, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

რა განაკვეთებით იბეგრება ფიზიკური პირის ქონება?

უძრავი ქონების (გარდა ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული ქონებისა) გადასახადი განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ გადასახადის გადამხდელმა ოჯახმა წლის განმავლობაში რა რაოდენობის შემოსავალი მიიღო:

■ თუ ოჯახის შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 40 000 ლარიდან 60 000 ლარამდეა – გადასახადი შეადგენს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტს და არა უმეტეს 0,2 პროცენტს;

■ თუ ოჯახის შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 60 000 ლარიდან 100 000 ლარამდეა – გადასახადი შეადგენს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,2 პროცენტს და არა უმეტეს 0,4 პროცენტს;

■ თუ ოჯახის შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში აღემატება 100 000 ლარს – გადასახადი შეადგენს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,4 პროცენტს და არა უმეტეს 0,8 პროცენტს.

2. **ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების** გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით;

N	მოძრავი ავტომობილის სამუშაო ძრავის მოცულობის ზღვრები	ავტომობილის ხნოვანება	გადასახადის ოდენობა (ლარებში)
1	2000 სმ³-მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	60
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	40
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	30
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	20
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	10
		6 წელზე მეტი	5
2	2000-იდან 3000 სმ³-მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	150
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	100
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	80
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	60
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	25
		6 წელზე მეტი	5
3	3000 სმ³-ზე მეტი მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	300
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	250
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	200
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	100
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	50
		6 წელზე მეტი	5

3. **საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილებისათვის** გადასახადის განაკვეთს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და იგი განისაზღვრება ავტომობილის სახეობის ძრავის მოცულობისა და ხნოვანების მიხედვით. განაკვეთები შეადგენს არა უმეტეს:

საქართველოში რეგისტრირებული იახტების (კატარღები), თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისათვის გადასახადის განაკვეთებს ადგენს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და იგი განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალებათა სახეობების და ძრავის სიმძლავრის მიხედვით:

სატრანსპორტო საშუალების სახეობა	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კოდი	გადასახადის განაკვეთი ძრავის 1 ცხენის ძალაზე წელიწადში
1. იახტა (კატარღა)	8903 10 000 8903 92 100 8903 92 910 8903 99 990	არანაკლებ 3 ლარისა და არა უმეტეს 7 ლარისა
2. თვითმფრინავი	8802 20 8802 30 8802 40	არანაკლებ 2 ლარისა და არა უმეტეს 5 ლარისა
3. შვეულმფრენი	8802 11 8802 12	არანაკლებ 2 ლარისა და არა უმეტეს 5 ლარისა

როგორ ხდება გადასახადების გამოანგარიშება და გადახდა?

■ **უძრავ ქონებაზე (მიწის გარდა), რომელიც სამეწარმეო საქმიანობისათვის არ გამოიყენება,** გადასახადის განაკვეთს გამოიანგარიშებს გადამხდელი. მას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საანგარიშო წლის 1 მაისამდე საგადასახადო ორგანო გაუგზავნის ქონების გადასახადის დეკლარაციის ფორმას, რომელიც პირმა უნდა შეავსოს და წარადგინოს შესაბამის საგადასახადო ორგანოში საანგარიშო წლის 1 ივნისამდე. აღნიშნულმა პირმა გადასახადი უნდა გადაიხადოს ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, ორ თანაბარ ნაწილად. პირველი ნაწილი გადახდილ უნდა იქნეს არა უგვიანეს საანგარიშო წლის 15 ივლისისა, მეორე ნაწილი კი – 15 ნოემბრისა;

■ **საქართველოში რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილებისათვის** გადასახადს გამოიანგარიშებენ საგადასახადო ორგანოები. *2007 წლის 1 იანვრამდე* გადამხდელებს საგადასახადო შეტყობინება უნდა წარედგინოთ საანგარიშო წლის 1 აგვისტომდე, ხოლო გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს 15 ნოემბრამდე. *2007 წლის 1 იანვრიდან* კი გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს ყოველწლიურად - სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის (თუ სატრანსპორტო საშუალების წინა მესაკუთრეს მოცემული წლის გადასახადი არა აქვს გადახდილი) ან ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების დროს. რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია და ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერება არ ხორციელდება გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე;

■ **საქართველოში რეგისტრირებული იახტების (კატარღების), თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისათვის** გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო, რომელმაც გადამხდელებს საგადასახადო შეტყობინება უნდა წარუდგინოს საანგარიშო წლის 1 აგვისტომდე, ხოლო გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს 15 ნოემბრამდე;

■ **ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისათვის** გადასახადის გადახდა ხდება დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, მიმდინარე გადასახადების სახით და ბიუჯეტში ჩაირიცხება თანაბარ ნაწილებად ყოველ კვარტალურად, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. მიმდინარე გადასახდელების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები ჩაითვლება საანგარიშო წლის მიხედვით გამოანგარიშებული გადასახადის თანხად. ამასთან, თუ გადასახადის გადამხდელი არსებობს მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში, იგი გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად. ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადამხდელი ქონების გადასახადის შესახებ გაანგარიშებას გასული წლის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს წარუდგენს საანგარიშო წლის 1 აპრილამდე.

საქართველოს ან უცხოური საწარმოსათვის და ორგანიზაციებისათვის ქონების (მიწის გარდა) გადასახადის განაკვეთები, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

რა განაკვეთებით იბეგრება საქართველოს ან უცხოური საწარმოს და ორგანიზაციის ქონება?

გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით (საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება გამოიანგარიშება იმის მიხედვით, თუ რა ღირებულება ჰქონდა აქტივებს წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის).

როგორ ხდება გადასახადების გამოანგარიშება და გადახდა?

საქართველოს საწარმოსათვის, უცხოური საწარმოსათვის და ორგანიზაციებისათვის (მიწის გარდა) გადასახადის გადახდა ხდება დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, მიმდინარე გადასახადების სახით და ბიუჯეტში ჩაირიცხება თანაბარ ნაწილებად ყოველ კვარტალურად, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. მიმდინარე გადასახდელების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები ჩაითვლება საანგარიშო წლის მიხედვით გამოანგარიშებული გადასახადის თანხად. ამასთან, თუ გადასახადის გადამხდელი არსებობს მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში, იგი გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად. ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადამხდელი ქონების გადასახადის შესახებ გაანგარიშებას გასული წლის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს წარუდგენს საანგარიშო წლის 1 აპრილამდე.

საქართველოს ან უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის მიწის გადასახადის განაკვეთები, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი გამოიანგარიშება ლარებში წელიწადში ერთ ჰექტარზე. გადასახადის ოდენობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობს მიწის ნაკვეთი და როგორი ხარისხისაა იგი:

■ **საქალაქო (სადაბო) ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებს გარეთ არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის ქონების გადასახადი განისაზღვრება:**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები	საბაზისო განაკვეთი (ლარებში): მიწის ხარისხი: სახნავი	მრავალწლიანი
1. [illegible]	57	31
2. [illegible]	52	27
3. [illegible]	51	27
4. [illegible]	51	27
5. [illegible]	44	24
6. [illegible]	40	22
7. [illegible]	34	19
8. [illegible]	36	20
9. [illegible]	36	20
10. [illegible]	34	19
11. [illegible]	34	18
12. [illegible]	34	19
13. [illegible]	33	17
14. [illegible]	33	17
15. [illegible]	30	16
16. [illegible]	30	16
17. [illegible]	24	13
18. [illegible]	22	12
19. [illegible]	18	11
20. [illegible]	17	9
21. [illegible]	10	

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად ითვლება საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის – მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე.

■ **ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის ქონების გადასახადი განისაზღვრება:**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები	საბაზისო განაკვეთი (ლარებში): სათიბები	საძოვრები	გაკულტურებული: სათიბები	საძოვრები
1. [illegible]	6	3	8	4
2. [illegible]	4	2	7	3
3. [illegible]	2,5	1,5	4	2

იგივე საგადასახადო განაკვეთები გამოიყენება სახელმწიფოს კუთვნილი მიწისათვის, რომელიც გამოყოფილია პირზე სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;

ცხრილში მოცემული საბაზისო განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთზე ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს არა უმეტეს 50%-ით. ეს საკითხი წყდება იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხარისხისაა მიწა და სად მდებარეობს იგი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების არა უმეტეს 0,24 ლარის ოდენობით.

როგორ ხდება გადასახადების გამოანგარიშება და გადახდა?

მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა და გადასახადის დარიცხვა წარმოებს ყოველწლიურად 1 მარტის მდგომარეობით. თუ პირმა სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული მიწა შეისყიდა ან იჯარით აიღო 1 მარტის შემდეგ, მას საგადასახადო ვალდებულება დაეკისრება წლის ბოლომდე, დარჩენილი დროის პროპორციულად. ის მიწის ფართობი, რომელიც იბეგრება ქონების გადასახადით, მოიცავს: შენობა-ნაგებობებით დაკავებულ, ასევე, მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობების სანიტარულ-ტექნიკურ ზონას. მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის საფუძველია საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, იჯარის (ქირავნობის) ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწაზე სარგებლობის უფლებას, ასევე, თუ პირი ფაქტობრივად ფლობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას.

■ **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის** გადასახადის გამოსაანგარიშებლად გადასახადის განაკვეთი უნდა გამრავლდეს მიწის ნაკვეთის ფართობზე (ჰექტარებში). გადასახადი გადაიხდება საანგარიშო წლის 15 ნოემბრამდე.

■ **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის** გადასახადის გამოსაანგარიშებლად გადასახადის საბაზისო განაკვეთი უნდა გამრავლდეს ტერიტორიულ კოეფიციენტსა (განისაზღვრება მიწის ადგილმდებარეობის და ზონის მიხედვით) და მიწის ფართობზე. გადახდა ხდება ორ თანაბარ ნაწილად, პირველი ნაწილი – 15 აგვისტომდე და მეორე – 15 ნოემბრამდე.

ქონებაზე საკუთრების რეგისტრაცია ხორციელდება მხოლოდ საგადასახადო ორგანოს ცნობის საფუძველზე, რომლითაც დასტურდება ქონების გადასახადის გადახდის ან საგადასახადო ვალდებულების არარსებობის ფაქტი.

ვინ თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან?

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

- **უძრავი ქონების (მიწის გარდა) მესაკუთრე ფიზიკური პირი, რომლის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს. აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;**
- **2007 წლის 1 იანვრამდე ჟურნალ-გაზეთების საგამომცემლო საქმიანობით დაკავებული პირების ბალანსზე არსებული ქონება, რომელიც უშუალოდ ამ საქმიანობისათვის გამოიყენება;**
- **მიწის ის ფართობი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითად საქმიანობას. მიწის გადასახადისაგან არ თავისუფლდება რკინიგზის ვაგზლის შენობის ქვეშ არსებული მიწის ფართობი;**
- **ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა;**
- **მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო და ელექტროგადამცემი ხაზები;**
- **საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტეოროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების საეტალონო და სასტენდო მოწყობილობები;**
- **ორგანიზაციის ქონება, გარდა მიწისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;**
- **"ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გამოყენებული ქონება და საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთი (თუ სხვა მიზნით არ გამოიყენება);**
- **სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწებისა;**
- **ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ და/ან არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომლებშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;**
- **ბუნებრივი პარკებით, ბაღებით, სასაფლაოებით დაკავებული მიწები, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;**
- **ქალაქის წყალსაცავებით და მათი აკვატორიებით დაკავებული მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის და არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;**
- **ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;**
- **სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის და ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები, ამ ობიექტების სანიტარულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;**
- **საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემები, გარდა ფიზიკური პირების მიერ საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტების, თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისა;**
- **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად;**
- **ქურთის, ერედვის და თიღვის თემები, სოფლები ავნევი და ნული – დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგებამდე;**
- **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;**
- **მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის. აგრეთვე, ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;**
- **ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალ ასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;**
- **ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე, განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;**
- **2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰა-მდე ფართობის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;**
- **"მიწების მელიორაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრების სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე, 2014 წლის 1 იანვრამდე ძმიწების მელიორაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სამელიორაციო ასოციაციებისათვის გადაცემული მათი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;**
- **მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები – პრივატიზაციის წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;**
- **"მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე გადასახადი უმცირდებათ 50%-ით;**
- **სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებათა ქონება, გარდა მიწისა;**
- **სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება არასამედიცინო ეკონომიკური საქმიანობისათვის;**
- **ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის;**
- **მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება უსინათლოების, ყრუ-მუნჯების, გონებრივად ჩამორჩენილი და ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვების, ომის ვეტერანთა საზოგადოების, მოხუცებულთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადაპტაციისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის და ფინანსდება ბიუჯეტიდან; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სახლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწევიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის;**
- **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზე მოწეული მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიისა და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ - სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ;**
- **სამონადირეო მეურნეობის მიერ დაკავებული მიწები;**

აღნიშნული შეღავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შეღავათების მქონე ფიზიკური და იურიდიული პირი მის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს) ან/და შენობა-ნაგებობებს (ან მის ნაწილს) იჯარით გადასცემს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

სტატია მომზადებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Centeri ის ფინანსური მხარდაჭერით (ხელშეკრულება N114-C-00-01-00136-00). სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს USAID ის თვალსაზრისს.

ღიმილის ტრადიცია

B2

თორმეტნი ჰონკონგში შვიდკაცას სათამაშოდ

B5

აფროსანი გემების ერა ბრუნდება

B6

დაგვიბრუნეთ ივო შუშაკი!

მიხეილ აბაიშვილი

უმადური საქმეა მწვრთნელობა. რაც არ უნდა დიდ წარმატებებს მიაღწიო, წარუმატებლობათა მცირე სერიაც საკმარისია იმისთვის, რომ უმუშევრად დარჩე. თან, რაც უფრო დიდ სიმაღლეს მიაღწევ, მით უფრო მტკივნეულია იქიდან დაშვება და მიწაზე დანარცხება. გიორგი გეგუჩაძე ამ წარმატება-წარუმატებლობის მონაცვლეობის კლასიკური მაგალითია. საქართველოში არ მეგულება ფეხბურთის გულშემატკივარი, რომელიც არ დამეთანხმება ამ მოსაზრებაში: გეგუჩაძემ "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობის არასრული ერთი წლის განმავლობაში იმდენი სიხარული მოგვანიჭა, რამდენიც ქართულ ფეხბურთს დამოუკიდებლობის 14 წლის განმავლობაში ერთად აღებული არ მოუტანია. მაგრამ გეგუჩაძე გადადგა (ან გადააყენეს), რაც პირადად მე, ახალგაზრდა მწვრთნელისადმი დიდი პატივისცემისა და მადლიერების მიუხედავად, სავსებით ლოგიკურად, შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ სწორ გამოსავლად მიმაჩნია.

როდესაც გეგუჩაძე გუნდში მოვიდა, "დინამოში" შემუშავდა განვითარების სამწლიანი გეგმა. ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო გეგმის განსახორციელებლად, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ გუნდს საერთაშორისო ასპარეზზე ჯეროვანი ადგილი უნდა დაეკავებინა. ამ ადგილში ნამდვილად არ იგულისხმებოდა, რომ "დინამო" თუნდაც 1981 წლის მიღწევას გაიმეორებდა - ამას არც არავინ ითხოვდა. საუბარი იყო იმაზე, რომ "დინამო" სისტემატურად მიიღებდა მონაწილეობას უეფას ტურნირებში, პირველივე ეტაპებიდან არ გამოვარდებოდა და უეფას თასის ან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა ვარდისფერი ოცნება აღარ იქნებოდა. ამ გეგმიდან დამატებით ის იყო ცნობილი, რომ "დინამო" სატრანსფერო ბაზარზე სოლიდურ ხარჯებს მოერიდებოდა და ადგილობრივი ნიჭიერი ახალგაზრდა თაობის დაოსტატებაზე გააკეთებდა აქცენტს. რაც მთავარია, დაიდო პირობა, რომ "დინამო" იმ გუნდის ხერხემალს, რომლის გარშემოც ახალი გუნდი უნდა ჩამოყალიბებულიყო, აუცილებლად შეინარჩუნებდა, რა მომხიბვლელი სატრანსფერო შემოთავაზებაც არ უნდა მოსულიყო უცხოური კლუბებიდან. ხოლო თუ რომელიმე ფეხბურთელს მაინც გაყიდიდნენ, ეს იქნებოდა მხოლოდ გამონაკლისი, ცალკეული შემთხვევა და სხვა ფეხბურთელის მოყვანით კომპენსირებას მოახდენდნენ.

თავიდან ასეც იყო: გეგუჩაძემ "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტი მაისის დასაწყისში დაიკავა და "დინამო 2"-იდან, სადაც მანამდე მთავარ მწვრთნელად მუშაობდა, ერთბაშად რამდენიმე ყმაწვილი პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში გადაიყვანა. კანკავა, კაშია, გრიგალაშვილი, დვალი - ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებრიობამ სწორედ გეგუჩაძის წყალობით გაიცნო. გეგუჩაძემ სეზონი ჩაამთავრა და, მართალია, ჩემპიონის ტიტული ვეღარ შეინარჩუნა, მაგრამ თასი მოიგო და უეფას თასზე გაიყვანა გუნდი. "ბატე", "სლავია" და "ვისლა" ის გუნდებია, რომელთა ჩამოცილებაც გეგუჩაძის "დინამომ" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის გზაზე მოახერხა. თანაც, სამივე მეტოქესთან გამარჯვებას რევანშის ხასიათი ჰქონდა, რაც დამატებით დატვირთვას სძენდა ამ წარმატებებს. "ბატეზე" გეგუჩაძემ სამი წლის წინანდელი წაგებისთვის (0:4) იძია შური, "ბატეს" მერე ძლეულ ჩეხეთის "სლავიას" სწორედ ის მწვრთნელი თავკაცობდა, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩეხეთისავე "ლიბერეცმა" "დინამო" უეფას თასის ტურნირს ორი წლის წინ გამოთიშა, ხოლო "ვისლას" დამარცხება რევანშიზმის მართლაც დამაგვირგვინებელი აკორდი გამოდგა. ამ პოლონურმა გუნდმა ხომ "დინამოსთან" შეხვედრამდე თბილისში საქართველოს ჩემპიონი "ვიტ ჯორჯია" გაგვიმასხარავა კატასტროფული ანგარიშით - 8:2.

თითქოს გუნდმაც რაღაც სახე მიიღო, რომელსაც ჰყავდა თავისი ლიდერები. ამ ფეხბურთელთა ჯგუფი სამართლიანად მოიაზრებოდა ხერხემლად, რომლის გარშემოც უნდა აწყობილიყო გუნდი და მიღწეულიყო ის სტაბილურობა, რაც "დინამოს" რეალურ ანგარიშგასაწევ ძალად აქცევდა საერთაშორისო ასპარეზზე.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, 3-წლიანი გეგმები, დაპირებები (რომ ფეხბურთელებს მასობრივად არ გაყიდიდნენ, და თუ გაყიდიდნენ, მხოლოდ გამონაკლისის სახით და ისეთ კლუბებში, რომ იქ გადასვლა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საპატიო იქნებოდა, ხოლო მიღებული თანხა - სოლიდური, რაც ისევ "დინამოს" მოხმარდებოდა) მხოლოდ მითი და თვალის ახვევა ყოფილა.

იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ამ პერიოდში გაუშვეს "დინამოდან", ორ ჯგუფად დავყოფ. პირველში ის ფეხბურთელებია, ვინც გეგუჩაძის სათამაშო კონცეფციაში ვერ ჩაჯდა, თუმცა, კვალიფიკაცია ნამდვილად არ დაეწუნებათ (ისინი გაუშვეს, რადგან მთავარმა მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ ამ ფეხბურთელების სამსახური არ სჭირდებოდა, მათი გაშვების საბაბი თითქოს არსებობდა). ამათგან გამოსარჩევია იმ პერიოდისთვის ეროვნული ნაკრების წევრი გოგობერიშვილი, რომელიც, ამავე დროს, საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელთა რეიტინგში მეორე ადგილზე გავიდა, სანდრო იაშვილი, რომელსაც "გლაზგო რეინჯერსი" იწვევს, ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი ლადო ახალაია, რომელიც "ციურიხში" გაუშვეს, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ლადო ბურდული. შეიძლება სხვა ფეხბურთელების მოხსენიებაც (ვთქვათ, მიხეილ ბობოხიძის), მაგრამ ეს ძალზე შორს წაგვიყვანს. მეორე ჯგუფი იმ ფეხბურთელებისგან შედგება, რომლებსაც გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშათ 21-ე საუკუნის დასაწყისის "დინამოს" ფორმირებაში: ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე, გიორგი შაშიაშვილი. მათგან სამი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, ერთი - ახალგაზრდულში, თუმცა, ისიც ეროვნულის კანდიდატად მოიაზრება.

დასაწყისში ვთქვი, გეგუჩაძე გადადგა ან გადააყენეს-მეთქი. იგი უნდა გადამდგარიყო, თუ ეს ტრანსფერები მის დაუკითხავად ან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ხორციელდებოდა. იგი უნდა გადაეყენებინათ, თუ ამ ფეხბურთელებს მისი რეკომენდაციით უშვებდნენ გუნდიდან. მაგრამ მარტო გეგუჩაძის განტევების ვაცად გამოყვანა არ შეიძლება - პასუხისმგებლობა "დინამოს" სხვა მმართველებმაც უნდა გაინაწილონ. ყოველ შემთხვევაში, იგივე საკადრო-სატრანსფერო შეცდომები აღარ უნდა გაიმეორონ.

დღეს "დინამოს" მომავალი უკვე ძალზე ბუნდოვანია. თუ სეზონის დასაწყისში გუნდის წევრთა საშუალო ასაკი 23 წელს არ აღემატებოდა, "ზესტაფონთან" მატჩში ეს ნიშნული ლამის 30 წელს გადასცილდა (საუბარია ძირითად შემადგენლობაზე). საუბარი იმაზე, რომ ახალგაზრდული, პერსპექტიული გუნდი ყალიბდება, არა მხოლოდ სასაცილო, სირცხვილიცაა. მთავარი მაინც ის არის, ამ უმძიმეს ვითარებაში ვინ გარისკავს "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოსვლას. თუმცა, გარისკვას წინ რა უდგას - საქმე არ გამოგივა, გადადგები ან გადაგაყენებენ. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ვისი ექსპერიმენტების რიგია?

გეგუჩაძის ექსპერიმენტმა აშკარად არ გაამართლა. ლოკალური წარმატების მიუხედავად, მან ვერ შეინარჩუნა გუნდი, რასაც მკვეთრად უარყოფითი შედეგები და ლოგიკური დასასრული - მისი გადადგომა-გადაყენება მოჰყვა. ვის მოიწვევენ მთავარი მწვრთნელის პოსტზე? ეს შეკითხვა ქართულ საფეხბურთო სამყაროს ნაკლებად აღელვებს, რადგან ყველას ფიქრი მხოლოდ ეროვნული ნაკრების გარშემო ტრიალებს. შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ სწორედ ამ პერიოდში გადაწყდეს "დინამოს" მთავარი მწვრთნელის საკითხი და სანამ ნაკრები ბერძნებთან და თურქებთან ურთიერთობას გაარკვევს, უსიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდეთ - "დინამო" ხელში ჩაუგდონ რომელიმე ახალბედა ამბიციურ მწვრთნელს. სახელდება კანდიდატურებიც, რომელთა საწინააღმდეგო არაფერი მაქვს (ზოგთან მეგობრობაც კი მაკავშირებს), მაგრამ... კმარა ექსპერიმენტები! არ შეიძლება საქართველოს ყველა დროის საუკეთესო გუნდი საგამოცდო პოლიგონი იყოს.

საქართველოში საუკეთესო, გამორჩეულ მწვრთნელად თემურ მახარაძე მიმაჩნია. შეიძლება ვილაცამ არაობიექტურობა დამწამოს, მაგრამ მე სტატისტიკას მოვიშველიებ: მახარაძე ერთადერთი ქართველი მწვრთნელია, რომელმაც ოთხ სხვადასხვა გუნდს, სადაც კი უმუშავია, უეფას ტურნირების საგზური მოაპოვებინა. თანაც, არა ისეთ გუნდს, როგორიც თბილისის "დინამოა". მახარაძემ ეს წარმატება მოუტანა "მერანს", "ლოკომოტივს" და იმ დროისთვის უსახელო "ვიტ ჯორჯიას" და ბოლნისის "სიონს". ისეთი პირი უჩანს, მახარაძე ამ სიას კიდევ ერთი გუნდით, "ზესტაფონით" გაამდიდრებს, "ზესტაფონით", რომელიც პირველი წრის შემდეგ ბოლო ადგილზე ჩაიბარა და რომელიც, დარწმუნებული ვარ, საპრიზო სამეულში დაასრულებს ტურნირს. თუ ვინმეს საწინააღმდეგო აზრი აქვს, ნაძლევსაც შევთავაზებ. ამის თქმის საფუძველს კი აი, რა მაძლევს: მესამე წრის განახლების შემდეგ 6 ტურში "ზესტაფონმა" 5 მატჩში გაიმარჯვა და ერთი ფრედ დაასრულა. თან, სატურნირო ცხრილის ლიდერი სამეულის სამივე წარმომადგენელი - "თბილისი", "ტორპედო" და "დინამო" დაამარცხა. არ დაგავიწყდეთ, რომ ამავე პერიოდში "ზესტაფონმა" ჯერ თბილისის "დინამო" გამოთიშა თასის გათამაშებას, შემდეგ - ბათუმის "დინამო" და ტურნირის ნახევარფინალში გავიდა!

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, არ ვარ დარწმუნებული, თემურ მახარაძემ "დინამოს" შეთავაზება მიიღოს. როგორც პროფესიონალს, მას პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს. ამიტომ არ შეეჭიდება ისეთ საქმეს, სადაც შეიძლება მარცხი განიცადოს, კონტრაქტორის, ანუ კლუბის შეფის პირობა ვერ შეასრულოს. "დინამოს" მთავარ მწვრთნელად ვინც დაინიშნება, უნდა იცოდეს, რომ გულშემატკივარს საქართველოს ჩემპიონის ტიტული, პირდაპირ ვთქვათ, არ აინტერესებს.

"დინამოს" გულშემატკივარს ნაკლებად აწუხებს ის საკითხი, მისი სათაყვანო გუნდი ქუთაისის "ტორპედოს" მოუგებს თუ ვერა. ბრწყინვალე მაგალითი არსებობს კიევის "დინამოს" სახით, რომელიც არათუ სისტემატურად მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში, არამედ ქვეჯგუფის ბარიერიც არაერთხელ დაუძლევია. "დინამოს" ყველა ქომაგის მთავარი მოთხოვნაც სწორედ ეს არის - წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე.

მაგრამ ასე რომ მოხდეს, მართლაც რეალური ბიზნესგეგმა და ის კაცია საჭირო, ვისაც ამის განხორციელება შეუძლია. "დინამოს" ვინც ჩაიბარებს, უმაღლესი კლასის პროფესიონალი უნდა იყოს, რომელსაც მდიდარი, თანაც წარმატებული საერთაშორისო გამოცდილება გაუმაგრებს ზურგს.

ასეთი უკვე გვყავდა, მაგრამ გავუშვით. მიხვდებით ალბათ, ხორვატ ივო შუშაკზე მოგახსენებთ. იმის ახსნას აღარ შევუდგები, თუ რა დონის პროფესიონალია შუშაკი, რომელმაც ბლაჟევიჩთან ერთად ხორვატიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოაგებინა.

ივო შუშაკი ერთადერთი მწვრთნელია, რომელმაც, 1981 წლიდან მოყოლებული, საქართველოს საერთაშორისო ტურნირი - თანამეგობრობის თასი მოაგებინა. შუშაკი ზოგს იმიტომ არ მოსწონს, რომ უაღრესად პრინციპულია, მკაცრად იცავს თითოეული ფეხბურთელის ინტერესს, რამდენადაც მომთხოვნია თავისი ფეხბურთელების მიმართ, იმდენადვე - კლუბის ხელმძღვანელობის მიმართაც. "დინამოს" მმართველებს აღებული აქვთ კურსი - რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით გააკეთონ კონკურენტუნარიანი გუნდი. ამ ხალხისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვიტყვი, რომ ეს უტოპიაა. როდესაც ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს ხელფასად 300 დოლარს დაუნიშნავ, ის შენთან არ დარჩება, ხოლო თუ დარჩა, თვალი სულ გაქცევაზე ექნება. დიდი გუნდის გაკეთება თუ გინდა, თუ საპასუხოდ დიდ დივიდენდებს ელი, დიდი ფულიც უნდა დახარჯო. სხვა საქმეა, თუ კეთდება გუნდი, რომელსაც ლოკალური, ნაკლებად მასშტაბური მიზანი აქვს - წარმატებებს მიაღწიოს ადგილობრივ სარბიელზე. მაგრამ სწორი საკადრო, სასელექციო, სატრანსფერო პოლიტიკის გარეშე ესეც შეუძლებელია, რასაც მიმდინარე ჩემპიონატიც ადასტურებს.

შუშაკმა იცის, როგორ გააკეთოს გუნდი, მან იცის, ამისთვის რომელი ფეხბურთელები უნდა მოიწვიოს და რამდენი ფული უნდა დაიხარჯოს. მან ისიც იცის, თუ სად უნდა მოემზადოს, რა დატვირთვებით და რა სპარინგ-მატჩებით. შუშაკი თუ საქმეს ხელს მოკიდებს, იმ ფეხბურთელებს არ გაგაყიდინებს, რომლებიც მისი გუნდის საძირკველს წარმოადგენენ. შუშაკმა მოიგო თანამეგობრობის თასი, შუშაკმა მოუგო რუსეთის ეროვნულ ნაკრებს, შუშაკი ითხოვდა "ტორპედოდან" მალხაზ ასათიანის ნახევარ მილიონ დოლარად გადმოყვანას, იმ ასათიანისა, რომლის სატრანსფერო ღირებულება დღეს უკვე რვანიშნა რიცხვისგან შედგება, შუშაკს აქვს სერიოზული საერთაშორისო ავტორიტეტი, შუშაკს ძალიან უყვარს "დინამო" და საქართველო და, რაც მთავარია, შუშაკი დღეს არსად მუშაობს.

არაფერია სამარცხვინო იმაში, რომ მწვრთნელი, რომელიც ერთხელ გაუშვი გუნდიდან, უკანვე დააბრუნო. ასეთი რამ არაერთხელ გაუკეთებიათ "რეალებს", "ბარსელონებს", "მილანებს", "ბაიერნებს" და... რომელი ერთი ჩამოვთვალო...

ჰოდა, დაგვიბრუნეთ შუშაკი!

კონცერტები

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი
"იუმორინა-2005"
დას: 19:00 სთ.

თეატრები

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
პეტრე ჩაიკოვსკი
"გედების ტბა"
ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა
(ნადეჟდა გრაჩოვა - ოდეტა-ოდილია, ანდრეი უვაროვი - ზიგფრიდი,
დათო ხოზაშვილი - როტბარტი)
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ანტონ ჩეხოვი
"ძია ვანია"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
უილიამ შექსპირი
"ჯულიეტა და რომეო"
დამდგმელი რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ედუარდო დე ფილიპო
"აჩრდილები"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

თეატრი ათონელზე
"უჩვეულო რეპეტიცია"
რეჟისორი: გ. თოდაძე
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
"დუმილის პოეზია"
რეჟისორი: კ. მებუკე
დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები
ამირანი
"რეი"
დას: 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

რუსთაველი
"ჰიჩი"
დას: 17:00; 19:30; 21:30 სთ.

"სიახლოვე"
დას: 13:00; 15:00 სთ.

გალერეები

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

ეროვნული გალერეა
კულტურის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტთა საანგარიშო გამოფენა

ქარვასლა
ქეთი ფერაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

TMS
ფოტოგამოფენა "მ.ო.დ.ი."

ვერნისაჟი
ვანო მელიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ჰობი
"კალეიდოსკოპი"
(თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა)

თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

ორნამენტი
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ზღვისპირეთში გასტროლებზე

ქართული ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი "ალვანური" ქართულ დელეგაციასთან ერთად ერთთვიან გასტროლებზე გაემგზავრა. ანსამბლი ლატვიის საპატიო საკონსულოს პატრონაჟით კონცერტებს გამართავს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, შავიზღვისპირეთის რამდენიმე (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა) ქვეყანაში და ბელორუსიაში. პროექტი ხორციელდება ლატვიის საკონსულოს, ლატვიის ქართველთა სათვისტომო "სამშობლოს" ინიციატივითა და მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის (რომელიც საწვავის ხარჯებს იღებს საკუთარ თავზე) მხარდაჭერით. თბილისის მერიასთან ერთად პროექტის სპონსორები არიან: ქალაქ რიგის მერია და კომპანია "ჯეოსელი". გასტროლები 25 დღე გაგრძელდება.

ქართული ნეო-ნეორეალიზმი

კიდევ ერთი ახალი ქართული პრემიერა

ნინია კაკაბაძე

საქართველოში 10-12 წლის წინ დაწყებული ფილმების დასრულების პროცესი დასასრულს უახლოვდება. ეს ყველა კინომოყვარულს გაეხარდება, რადგან წლების მანძილზე გაყინული კინოსამყარო, ავად თუ კარგად, ალბათ თავიდან დაიწყებს არსებობას, ფილმის გადაღების პროცესიც უფრო სასიამოვნო იქნება და, რაც მთავარია, ხანმოკლე. ახალი ფილმის წარმოდგენისას იმას მაინც აღარ მოვისმენთ: "ნაწარმოებს წლების განმავლობაში ვქმნიდით და ძალიან მკაცრად ნუ შეგვაფასებთ". თუმცა, ჩვენს დღევანდელ გმირს ეს სიტყვები არ ეკუთვნის.

15 მარტს ლევან ზაქარეიშვილის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის "თბილისი - თბილისი" საპრემიერო ჩვენება კინოთეატრ "ამირანში" გაიმართა. ეს ფილმიც წლების განმავლობაში მზადდებოდა, გაიზარდნენ მსახიობები, შეიცვალა დრო, შეიცვალა დამოკიდებულებაც სხვადასხვა საკითხის მიმართ, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არ შეიცვალა ფილმის შექმნის ანუ მისი დასრულების სურვილი.

მთავარ, ახალგაზრდა კინორეჟისორის როლს ახალგაზრდა კინორეჟისორი გიორგი მასხარაშვილი ასრულებს - ბიჭი, რომელიც არეულ-დარეულ ქვეყანაში ფილმს ვერ იღებს, პატარა ვიდეოკამერით დადის და "ამ ცხოვრებას" აფიქსირებს - ისე, თავისთვის. ახალგაზრდა შეყვარებული ჰყავს, კონსერვატორიის პედაგოგი, რომელიც საღამოობით კაფეში უკრავს. ფული იმდენი აქვთ, მინიმალურ საარსებო მოთხოვნილებებს რომ აკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, გარემო ნაცნობია, ის ცხოვრებაა, რომელიც გავიარეთ და ბოლომდე არც გაგვივლია: უშუქობა, ნავთქურა, ქუჩაში ბანდიტობა, ჯიბის ქურდები, მათხოვარი ბავშვები, შვილმკვდარი დედა...

სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან მხოლოდ ნავთქურა ამოვარდა ჩვენი რეალობიდან. დანარჩენი ისევ არსებობს. ფილმის რეჟისორი ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმ "უსამართლობაზე", რაც ახალმა დრომ მოიტანა - ფიზიკოსი ბაზრობაზე გამყიდველად მუშაობს, განათლებული ადამიანი მარგარინს ყიდის, გამყიდველი მინისტრია, ჩვენი მეგობრის დედა კარაქს იპარავს, პროფესორს საკუთარი ჯიხური აქვს ბაზრობაზე და ა.შ. ეს თემა საქართველოში უკვე ნაკლებად აქტუალურია. შესაძლოა, ამით დასავლეთში უფრო დაინტერესდნენ, მათთვის უფრო უცხო და საინტერესო იყოს პროფესორის გამყიდველად გარდასახვის საკითხი, საქართველოში კი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ რამდენად პრობლემურია საკითხი, ეს დღევანდელ დღეს საკამათოა. ვფიქრობ, ყველა ადამიანი პატივისცემას იმსახურებს, ვინც გაჭირვების ჟამს გამყიდველობას არ ითაკილებს. დასავლეთში ამ თემით, ალბათ, დაინტერესდებიან - ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ დასავლეთში არც იმდენი პროფესორია და ვერც ისე ადვილად ხდებოდნენ პროფესორები, როგორც ჩვენ კომუნისტურმა წყობამ გვაჩუქა და როგორი მარტივი გზებიც შემოგვთავაზა პროფესორის მანდატის მოსაპოვებლად. ამ საკითხის აპელირებას ცდილობს რეჟისორი და ხშირად გამოსახულებას ტექსტუალურ "მარგალიტებს" ახმარს: "სად არის სამართალი", "ფიზიკოსი ბაზრობაზე?", "ვისღა სჭირდება ჩემი ნაწერები?!" - ნაწერი, რომელიც აღარავის სჭირდება, პირველ რიგში, დამწერის ბრალია და შემდეგ საზოგადოების. ეს ერთი, ოდნავ გაუგებარი პრობლემაა, რომელიც გამუდმებით თან სდევს ფილმს.



გარდა ამისა, რეჟისორი ნოველების სახით, შავ-თეთრი გამოსახულებით, პატარ-პატარა ამბებს გვიყვება, რომლებიც საბოლოოდ ერთმანეთს უკავშირდება. ყველა ნოველის მოქმედება ბაზრობაზე ხდება. ლტოლვილი და-ძმის ისტორია - უფროსი და, რომელიც მშობლების სიკვდილის შემდეგ დამუნჯდა. ისინი მატარებლის ვაგონში ცხოვრობენ და მათხოვრობით ირჩენენ თავს. მედოლე ბიჭი, რომელიც ბაზრობაზე უკრავს, შესაწირს ითხოვს და მუსიკოსობაზე ოცნებობს. კიდევ ერთი და-ძმა - და მეძავეობით შოულობს ფულს, ძმა კი ბაზრობაზე მყიდველებს "აყაჩაღებს" - ეს უკანასკნელი ყველაზე საინტერესო და კარგად მოფიქრებული მხატვრული სახეებია. თუ დანარჩენი ნოველების გმირები: პროფესორი, ლტოლვილი და-ძმა, შვილმკვდარი დედა საკმაოდ სწორხაზოვნად, ბანალურად არიან გამოყვანილნი, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სიკეთესთან და სიყვარულთან გვაქვს საქმე - აქ სისასტიკეც არის, სიყვარულიც, ბოროტებაც, თანადგომაც და სიძულვილიც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ შავ-თეთრი ნოველები გაცილებით კარგად არის შესრულებული, ვიდრე ფილმის მთავარი ხაზი, ახალგაზრდა კინორეჟისორი ბიჭის სახე, რომელიც ერთი შეხედვით ტიპური ქართველი ყმაწვილია, მაგრამ ფილმის მსვლელობისას აღმოვაჩენთ, რომ ის თითქმის იდეალურია - არც ნარკომანია, მიუხედავად იმისა, რომ ნარკომანი მეზობელი ჰყავს და არც იპარავს, მიუხედავად იმისა, რომ მეგობარი "საქმეში" მონაწილეობას სთავაზობს. გიორგი მასხარაშვილის გმირს საყვარელი საქმე აქვს და საყვარელი ქალი ჰყავს, რომელთანაც ხანდახან სექსიც აქვს. მოკლედ, მთავარი გმირის სახე საკმაოდ უინტერესოდ გამოიყურება, ის თითქოს ამ ცხოვრების დამკვირვებლად გვევლინება. ცხოვრება, რომელიც ნამდვილად საინტერესოა სინამდვილეში, ფილმში ნაკლებად საინტერესოდ გამოიყურება.

ერთი სიტყვით, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ, სავარაუდოდ, წლების წინ გადაღებული მასალის და შედარებით ახლო წარსულში დაფიქსირებული კადრების გაერთიანება თუ შეკვრა, ლევან ზაქარეიშვილმა ნაწილობირვ წარმატებულად მოახერხა. რეჟისორმა თითქოს ფილმში ფილმი მოათავსა; ისინი დამოუკიდებლადაც არსებობენ და ეპიზოდურად ერთიანდებიან. ფილმში ნაკლებად შეიმჩნევა "ქართული-ქაოსური განუკითხაობა", რომლითაც სხვა დანარჩენმა რეჟისორებმა გაგვანებივრეს - დრამატურგიული ხაზის გატარება ზაქარეიშვილმა მეტ-ნაკლებად მოახერხა. ეს, ალბათ, მთავარი ნიშანია, რაც მას გასულ ათწლეულში შექმნილი ფილმებისგან განასხვავებს.

ნოველები, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, იტალიური ნეორეალიზმის ესთეტიკას მოგვაგონებს. ქართული ნეო-ნეორეალიზმი ნაკლებად დამაჯერებლად და ყალბად გამოიყურება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი და მთავარი ის გახლავთ, რომ არა გამოსახულებით, არამედ ტექსტუალურად ავტორი გამუდმებით და პირდაპირ პათეტიკური ტონით სვამს კითხვებს "ყოფნა-არყოფნის" შესახებ: "განა ღირს ასეთი ცხოვრება?!" მთავარი სხვაობა იტალიურ და ქართულ ნეორეალიზმს შორის ის გახლავთ, რომ იტალიური ნეორეალისტური ფილმები ყოველთვის შეუმჩნევლად გვიტოვებს ოპტიმისტურ პასუხს, ქართული კი გამოუვალობაში ხედავს "გამოსავალს", რაც უმეტესწილად უინტერესოსა და სწორხაზოვანს ხდის მხატვრულ ნაწარმოებს.

ერთი სიტყვით, ფილმმა თანამედროვე ქართულ კინოს, რიცხობრივი ნამატის გარდა, არცთუ ისე მნიშვნელოვანი სიახლე შემატა: ნაწარმოებში ძველი უფრო მეჰტია, ვიდრე ახალი (ბუნებრივია, ხედვის სიახლეს ვგულისხმობთ და არა მხოლოდ თემატიკას). შესაძლოა, ერთ-ერთი ოპტიმისტური პერსპექტივა ზაქარეიშვილის მიერ მომავალში შექმნილი ფილმი იყოს, რადგან რეჟისორის მხატვრული აზროვნების ნიშნები ფილმში აშკარად შეიმჩნევა.

ღიმილის ტრადიცია

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ვერა ნეფარიძე

დაიმახსოვრეთ 17 მარტი, ყოველწლიურად ამ დღეს ქართული კინოსა და თეატრის უკვდავი არტისტები გაგვაცინებენ. ღიმილის ტრადიციას საფუძველი გუშინ, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ჩაეყარა. გიორგი შავგულიძე, ვასო გოძიაშვილი, ელენე ყიფშიძე, ეროსი მანჯგალაძე, იპოლიტე ხვიჩია, - ლეგენდარული მსახიობების ის მცირე ჩამონათვალია, ვისი გახსენებაც გუშინდელ ორსაათნახევრიან ღონისძიებაზე მოესწრო. "ისინი ბევრნი არიან", - თქვეს გუშინ, ეს კი საფუძვლიანი მიზეზია, რომ მსგავსი საღამოები გაგრძელდეს ყველა მათგანის მოსაგონებლად.

სიმართლე რომ ვთქვა, გუშინ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ ღონისძიებას დიდი ინტერესით არ ველოდი. ერთადერთი რისი იმედი მქონდა, იმ გენიალური მსახიობების დასი იყო, ვის გახსენებასაც ამ საღამოზე აპირებდნენ; ამიტომ, ვფიქრობდი, როგორი ორგანიზებულიც არ უნდა ყოფილიყო, კარგად შერჩეული და მოწოდებული კადრები მაინც გაამართლებდა ღონისძიების იდეას. საბოლოო ჯამში, მოლოდინი გამიცრუვდა (რასაკვირველია ძალიან გამიხარდა), რაც სცენაზე ფარდის ახდისთანავე აშკარა გახდა. სადად და გემოვნებიანად, შინაარსთან მიახლოებულმა დეკორაციამ მიმახვედრა, რომ საღამოზე რამდენიმე ადამიანს მაინც ჰქონდა ნამუშევარი (რაც ბოლო დროს არც ისე ხშირად ხდება ხოლმე). როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ღონისძიების რეჟისორი გოჩა კაპანაძე ყოფილა. ერთი სიტყვით, გუშინდელით თუ განვსაზღვრავთ, ტრადიცია ღირდა დამკვიდრებად. ბოლოს კი ამბობდნენ ორგანიზატორები, დროში ცოტა გაგვეწელაო, მაგრამ მაყურებელს ეს ნამდვილად არ უგრძვნია.

ტრადიციის (რომლის იდეის ავტორიც იპოლიტე ხვიჩიას შვილიშვილი, მანანა ხვიჩია გახლავთ) განხორციელება, მით უმეტეს, დამკვიდრება, ნამდვილად გაჭირდებოდა, რომ არა ყველანაირი მხარდაჭერა, რაც მსგავს ღონისძიებებს სჭირდება ყოველთვის. ინიციატივა საკუთარ თავზე ამ შემთხვევაში თბილისის მერიის კულტურისა და განათლების სამსახურმა აიღო; ქართული კინოსა და თეატრის მსახიობებისა და გულშემატკივრების გულწრფელი სამადლობელის ადრესატიც სწორედ ეს სამსახური იყო. იმედია, არც ინიციატივა და არც მხარდაჭერა ერთჯერადი არ იქნება და მოძალებული უგემოვნო და უხარისხო კინოპროდუქციის დროში იმგვარ ღონისძიებებს მოვაწყობთ, როგორსაც ჩვენი საამაყო მსახიობები იმსახურებენ.

"დაიმახსოვრეთ 17 მარტი. დღეს გავიხსენებთ ადამიანებს, რომელთაც სევდანარევი ღიმილი დაგვიტოვეს; სევდა, რომელიც ვერაფრით შეივსება. დავუთმოთ სცენა დიდებს", - დაახლოებით ასეთი იყო ტექსტი, რითაც საღამო მსახიობმა ზურაბ ყიფშიძემ გახსნა. აქვე ამ მსახიობის გუშინდელ დამსახურებაზეც ვიტყვი, რომ ორსაათნახევრიან საღამოს ზურა ყიფშიძე არაჩვეულებრივად გაუძღვა: არანაკლებ საინტერესო და დარბაზის სიცილის მიზეზი იყო ის ისტორიები, რაც საღამოს წამყვანმა სხვადასხვა მსახიობის შესახებ უამბო მაყურებელს. საღამოს ჰქონდა მუსიკალური ნომრებიც, რისთვისაც მიწვეულები იყვნენ: ეკა კვალიაშვილი, გურამ საღარაძე მეზურნეებთან ერთად, ვახტანგ კიკაბიძე და კვარტეტი "ფორტე".

გუშინდელ ღონისძიებაზე თითქმის არ ახსენებდნენ სიტყვას - კომიკოსი, რადგანაც თითქმის ყველა ის მსახიობი, ვინც გაიხსენეს, უფრო მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ამიტომაც გაიხსენეს, რამდენად მრავალფეროვანი იყო მათ მიერ შესრულებული გენიალური, განუმეორებელი როლები კინოსა თუ თეატრში.

"შესანიშნავი საღამოა. ისეთ ადამიანებს ვიხსენებთ, ექვსი საღამო არ მეყოფა მათ მოსაგონებლად, - რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ გუშინდელ ღონისძიებაზე გიორგი შავგულიძე გაიხსენა, - "გენიალური ადამიანი იყო. ბედნიერება მქონდა მასთან მემუშავა და მენახა ყველა მისი როლი სცენაზე". რეჟისორის მოგონებებიდან ზოგიერთი საკმაოდ ცნობილი იყო (მაგალითად, როგორ აღმოაჩინა 16-17 წლის ქუთაისელი ჟორა შავგულიძე გენიალურმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა), ზოგიერთი, ალბათ, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი (რამდენი იცინა "კოლმეურნეს ქორწინებაზე" ალექსეი პოპოვმა გიორგი შავგულიძის შესრულებულ ეპიზოდზე); თუ როგორ უყვარდა ხალხს მსახიობი, ამის საილუსტრაციოდ რეჟისორმა ისიც უამბო გუშინდელ აუდიტორიას, როგორ უპასუხა თბილისელმა სომეხმა (რომელსაც გიორგი შავგულიძე უნდა შეეცვალა ფილმში "განაჩენი") გადამღებ ჯგუფს: გიორგი შავგულიძე უნდა შევცვალო და ამაში ფულიც უნდა ავიღოო?.. ერთი სიტყვით, გასახსენებელი გუშინ ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ღონისძიების ფორმატი ყველაფერს ვერ დაიტევდა.

გიორგი შავგულიძეს მოჰყვა ეროსი მანჯგალაძის მოგონება, რაც რეჟისორისგან გურამ საღარაძეს დაეკისრა; გენიალურ მსახიობსა და კომენტატორზე და მის ადამიანურ "სისუსტეებზე" (ეროსი მანჯგალაძეს მიცვალებულების განსაკუთრებით, "ავადმყოფურად" ეშინოდაო) რამაზ ჩხიკვაძემ მოუთხრო აუდიტორიას; აქვე გაიჟღერა დაუვიწყარმა ფრაზებმა: "მკვდრებმა აღმართეს ცოცხალი კედელი" ან "ერთი ბურთი შემონახული მქონდა, უბრალოდ, არ გითხარით" (როგორ "ანუგეშა" დამარხცხებული თბილისის "დინამოს" გულშემატკივრები კომენტატორმა); საკუთარ დედაზე საუბრის გამო არაერთხელ მოიხადა ბოდიში ზურა ყიფშიძემ.

"შესანიშნავი საღამოა. ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ ვისი გორისანი არიან", - საღამოს კიდევ ერთი სტუმარი ვახტანგ კიკაბიძე იყო. განუმეორებელ იპოლიტე ხვიჩიას გახსენება და ორი მუსიკალური ნომერი ღონისძიების რეჟისორმა სწორედ მას მიანდო. თბილისში არც ისე ხშირად მყოფმა მსახიობმა და შემსრულებელმა ბულატ ოკუჯავას სიმღერა შეასრულა და გვაცნობა, რომ მოსკოვში ოკუჯავას სიმღერების ალბომზე მუშაობს. მოგონებებს ცვლიდა პროექტორით ეკრანზე გაშვებული კადრები ქართული ფილმებიდან და სპექტაკლებიდან; აქვე ვიტყვი, რომ კოლაჟიც საკმაოდ კარგად იყო გაკეთებული, რაც მაყურებელთა გულწრფელ ოვაციებს იწვევდა. საღამოს დასრულებაც "ფორტეს" ნომრით (რომელიც ქართული კინომუსიკის ერთგვარი პოპურია) ნამდვილად კარგი გადაწყვეტილება იყო. ბოლოს სიურპრიზის სახით ისიც გვაცნობეს, რომ ღიმილის დღის ტრადიცია იქნება სიცილის პრიზით - "იპო" მსახიობების დაჯილდოება. პირველი "იპოს" მფლობელი კი, რამაზ ჩხიკვაძე გახდა. როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, მსგავსი ღონისძიებების გამართვა დაგეგმილია საქართველოს რეგიონებში.

სიმღერები ჯეინზე

ინტელექტუალური პოპ-რომანტიკა წყნარი ოკეანის სანაპიროდან

ვიდეოები: This Life, She Will Be Loved, Sunday Morning.
ბიჭები: *ლოს ანჯელესიდან*
ჯილდოები: *"გრემი", როგორც საუკეთესო ახალ შემსრულებელს*

როცა ჯგუფი Maroon5 წინა თვეში გამართულ "გრემის" ცერემონიალზე დააჯილდოვეს, ყველას გაუკვირდა. ბიჭებმა ხომ იმ კატეგორიაში მიაღწიეს წარმატებას, რომელშიც კრიტიკოსების ფავორიტი კეინი ვესტი და შოტლანდიური როკ-ჯგუფი "ფრანც ფერდინანდი" ლიდერობდნენ.

არადა, სტეიპლზის საზეიმოდ მორთულ ცენტრში გაიხსნა კონვერტი, და აშკარად ამოიკითხეს სახელი Maroon5.

"ეს ნამდვილი შოკი იყო, მეტი არაფერი", - თქვა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც ცერემონიალს დარბაზიდან ადევნებდა თვალს.

"შემრცხვა", - დასძინა მეორემ.

"ვიფიქრე, ხომ არ შეეშალათ-მეთქი", - საერთოდ გადაიწურა იმედი მესამემ.

არა, Maroon5-ის ბიჭებს მორცხვები და საკუთარ ძალაში დაეჭვებულები ნამდვილად არ ეთქმით. უბრალოდ, ისინი რეალისტურად აღიქვამენ სიტუაციას და შეუძლიათ, საკუთარი მოღვაწეობა გვერდიდანაც შეაფასონ. ანუ დაინახონ, რომ: მუსიკალურ მაღაზიებში მათ ჩანაწერებს ფანები ერთბაშად იტაცებენ, კრიტიკოსები კი ტკბილი სიტყვებისგან მუდამ იკავებენ თავს.

მწარე კრიტიკას ან სულაც იგნორს ისინი მიჩვეულები არიან. Maroon5 ხომ პუბლიკის ყურადღების ცენტრში პირველად არ ხვდება. ათიოდე წლის წინ ჯგუფის ლიდერი ადამ ლევინი სასკოლო ასაკის ბიჭი იყო, ფლანელის პერანგი ეცვა და სცენაზე გრძელ თმას ზუსტად იმავე ტრაექტორიით იქნევდა, როგორც მისი კერპი - ედი ვედერი.

შემდეგ დრო გავიდა, ფლანელის პერანგმა ლევინის გარდერობიდან ძველმანების სკივრში გადაინაცვლა, ბიჭმა თმა შეიკრიჭა, ჯგუფი ახალი სახელწოდებით შეკრა და სადებიუტო ალბომიც ჩაწერა - Songs About Jane, სიმღერები ჯეინზე.

მათი სტილი ბევრ რამეს შეადარეს, ბოლოს კურტ კობეინისა და სტივი ვანდერის ნაზავი მოარგეს შირმად.

სტილის შეცვლამ გაამართლა. შტატებში Maroon5-ის პირველი ალბომის 3.7 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ძირითადად, ეს წარმატება ორიოდე რადიოჰიტმა - This Life-მა და Harder to Breathe-მა განაპირობა.

მერე იყო "გრემი" და დიდი სიურპრიზი რადიოში გაჰიტებული Maroon5-ის გამარჯვების სახით. ამ დღემ რამდენიმე მუსიკათმცოდნეს 1978 წელი გაახსენა. მაშინ ფავორიტი ელვის კოსტელო სიმღერამ A Taste of Honey-მ დაჩაგრა, რომელიც მსმენელმაც და კრიტიკოსებმაც მალევე დაივიწყა, კოსტელო კი "გრემის" გარეშე დარჩა- ანუ, უსამართლობა მოხდა.

თუმცა, Maroon5-მა წესით ასეთი მოსაწყენი მისია არ უნდა იკისროს. ისინი გაცილებით უფრო ენერგიულები და პოზიტიურები ჩანან და არც კეინი ვესტის დაჩაგვრა უფიქრიათ. ჯგუფი დიდი ხანია, შტატებს გარეთაც ძალიან პოპულარულია. ასე რომ, უნდა ვიცნობდეთ:

გიტარისტი: ჯეიმს ვალენტინი,
ქიბორდზე: ჯეს ქარმაიქლი,
ბასისტი: მიკი მადენი,
დრამერი: რაიან დიუსიკი.

და რა თქმა უნდა, სცენის შუაგულში დგას ადამ ლევინი, რომელიც იმ სახედ იქცა, ასეთი ჯგუფებისთვის გვენ სტეფანი რომ იყო No Doubt-იდან: ტელეგენური სახე და დასამახსოვრებელი ხმა.

ჯეიმს ვალენტინი ჯგუფში 2001 წელს მივიდა, ზუსტად მაშინ, როცა ბიჭებმა Maroon5 დაირქვეს. მანამდე მათ უფრო ტკბილი სახელი Kara's Flowers ერქვათ - კარას ყვავილები. ეს სათაური ბავშვობის ოთხმა მეგობარმა ერთად მოიფიქრა. მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ ჯგუფის შექმნა სურდათ. ძნელი გამოსაცნობი არ არის, ვინ იყო კარა - გოგონა, რომელიც ოთხივეს უყვარდა. და ბარემ აქვე გეტყვით - ჯეინი - ესეც საყვარელი გოგოა, ოღონდ ამჯერად მხოლოდ ლევინის და ოღონდ - უკვე წარსულს ჩაბარებული...

ბიჭები ხშირად სტუმრობენ ხოლმე იმ გარაჟს დიუსიკის სახლში, სადაც Kara's Flowers-ი შეიქმნა. ისინი თითით წმენდენ მტვერს ძველ ნივთებს და ძველ მოგონებებს და სიცილით იხსენებენ, რომ მაშინ, წლების წინ, დარწმუნებულნი იყვნენ - მათ კარიერასაც ისევე დაფარავდა მტვერი, როგორც გარაჟში შეყრილ ძველმანებს.

Kara's Flowers-მა დისკი The Fourth World 1997 წელს გამოუშვა. მათ ცნობილი როკ-პროდიუსერი რობ კავალო ეხმარებოდა. ბიჭები ისე ახალგაზრდები იყვნენ, რომ ჯერ ხმის მიცემის უფლებაც არ ჰქონდათ, მაგრამ ეს მუსიკალურ წარმატებას ხელს არ უშლიდა. ისინი ლოს ანჯელესის კლუბებში უკრავდნენ და წარმატებაზე ოცნებობდნენ. მათი ბგერა გრანჯიდან 60-იანების კეთილხმოვანებამდე იცვლებოდა, მაგრამ ეს ტრიუმფისთვის საკმარისი არ გამოდგა. დისკმა მუსიკალური მაღაზიების კარი ვერ შეაღო. ჯგუფი დაიშალა. ლევინი და კარმაიკლი ნიუ იორკში წავიდნენ, იქ მუსიკა თავიდან აღმოაჩინეს, უკან, ლოს ანჯელესში დაბრუნდნენ და Maroon5-ად გარდაიქმნენ.

თანდათან რადიოჰიტებიც გაჩნდა. სიმღერამ This Life კი ბიჭებს ტელეეკრანებიც დააპყრობინა - ნაწილობრივ ლევინის და მისი მოდელი გერლფრენდის სასიყვარულო სცენების გამო.

ასე დაიწერა Maroon5-ის პოპ-კულტურული ზღაპარი. დღეს ისინი "გრემის" მიერ აღიარებული საუკეთესო ახალბედა შემსრულებლები არიან. ბიჭები უკვე რამდენიმე ჟანრობრივ ნიშას ავსებენ - პოპ-ვარსკვლავებიც არიან და როკ-მეამბოხეებიც. თინეიჯერების ჟურნალ Seventeen-შიც იღებენ და High Times-შიც. ადამ ლევინი ყველასთან გულახდილად საუბრობს. ის ამბობს: "ძირითადად, პლანეტა "ადამზე ვცხოვრობ". კარმაიკლი კი დასძენს: "კონცერტის დაწყებამდე პლანის გაბოლება კარგია"...

ლევინს ახლა "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტი ჰყავს სტუმრად. მას თავის ახლად შეძენილ "მუსტანგ Mach 1"-ში სვამს (1971 წლის გამოშვება), რომელიც რამდენიმე კვირის წინ იყიდა, და იმ ქუჩების მოსანახულებლად მიდის, სადაც ბავშვობა გაატარა, თან ჰყვება:

"მოგწონთ თუ არა ეს, ფაქტია, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მსგავსი ჯგუფი არ არსებობს. ჩვენ ფრიად უცნაურ სივრცეს ვავსებთ... ჩვენ სუპერწარმატებული პოპ-ჯგუფი ვართ. ალბათ, მიმზიდველად გამოვიყურებით და იმიტომ. გთხოვთ, ნუ შეგვიძულებთ ამის გამო".

"ჰოი, საყურეო..."

მსოფლიო მხატვრობის მარგალიტები

ვაშინგტონი გაავსო ელიზაბეტ ტეილორის მარგალიტებმა და "ოქროს ხანის" ჰოლანდიელების ძვირფასმა ქვებმა..

პუბლიკა უცქერს სკარლეტ იოჰანსონის საყურეს, იხიბლება და მოდაში მარგალიტი შემოდის.

სკარლეტ იოჰანსონი მართლაც ძალიან ჰგავს ნამდვილ გოგონას მარგალიტის საყურით იოჰან ვერმეერის ტილოდან. თუმცა, ეს მსგავსება ამ მშვენიერი სამკაულის დღეს გახსენების მიზეზი არ ყოფილა.

საქმე ის გახლავთ, რომ ვაშინგტონში თითქმის ერთდროულად გაიხსნა ორი გამოფენა, რომელმაც ძვირფასი ნივთების მოყვარულები ფრიად ხალისიან განწყობაზე დააყენა. ხელოვნების ნაციონალურ გალერეაში 14 აგვისტომდე მიმდინარეობს ექსპოზიცია - "იან დე ბრეი და კლასიკური ტრადიცია". ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში კი 5 სექტემბრამდე გასტანს გამოფენა - "მარგალიტის ხიბლი".

ხელოვნებათმცოდნენი კი რატომღაც მაინც პირველ გამოფენას ამჯობინებენ და შთაგონებული სახით გვიამბობენ:

ეს გახლავთ ამბავი ორი მარგალიტისა. ორივე მათგანი უზარმაზარია და, შესაბამისად, ძვირიც. ორივე მათგანი მე-17 საუკუნის ჰოლანდიური მხატვრობიდან არის. ერთი ძალიან ცნობილია, მეორე - არა. რაღაც გაგებით ეს წყვილია.

მთელ ჰოლანდიურ ხელოვნებაში ყველაზე სახელგანთქმული მარგალიტი სწორედ ის გახლავთ, რომლის ასლიც სკარლეტ იოჰანსონს დაამაგრეს მარცხენა ყურზე ჰოლივუდურ ფილმში გადასაღებად; ანუ, მარგალიტი ვერმეერის ცნობილი ტილოდან.

მეორე, უფრო ჩრდილში შემალული მარგალიტი იან დე ბრეის ტილოდან გახლავთ - "ანტონიუსისა და კლეოპატრას ბანკეტი", რომელიც ვაშინგტონშია გამოფენილი და მთელი გამოფენის ერთ ძირითად ექსპონატად ითვლება.

თუმცა, ჯერ, როგორც წესი და რიგია, მნახველის ყურადღებას ვერმეერის გოგონა იპყრობს. მისი სილამაზე საინტერესო და უჩვეულოა, მზერაც - ღრმა და მეტყველი. გგონია, რომ მხოლოდ შენ, ერთადერთს გიცქერს.

ეს გოგონა ვერმეერის ტილოდან კიდევ უფრო პოპულარული გახდა ტრეისი შევალიეს რომანის "გოგონა მარგალიტის საყურით" გამოსვლის შემდეგ. წიგნის 2 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა, შემდეგ ის ფილმადაც აქციეს და სკარლეტ იოჰანსონის წყალობით დიდი აღიარება მოიპოვა.

ვერმეერის ტილოსგან განსხვავებით, დე ბრეის ნაწარმოებს შინაარსი აქვს. კლეოპატრა და ანტონიუსი დანაძლევდებიან: რომელი მათგანი მოუწყობს მეორეს უფრო პომპეზურ წვეულებას.

დე ბრეის ტილოზე ანტონიუსი სტუმრის რანგშია. ის იმედგაცრუებული ჩანს. გასაგებია რატომაც: მენიუშია ღორის ხორცი, მაგრამ არა ნაჭრებად დაჭრილი. სუფრაზე მხოლოდ შემწვარი ღორის თავი დევს და არც სოუსი მოჰყვება. ანტონიუსი ჟესტით ამბობს: "სულ ეს არის, რითაც უნდა გამიმასპინძლდეთ?"

მაგრამ ეს მხოლოდ ტრიუკია. კლეოპატრა ელის, როდის გაწბილდება ანტონიუსი და როცა მიხვდება, რომ წვეულება მას ძალიან არ მოეწონა, იხსნის უზარმაზარ მარგალიტს და წვრილად ფშვნის. შემდეგ ნამსხვრევებს ძმარში ურევს და ერთი ყლუპით სვამს.

არადა, ეს მარგალიტი უბრალო არ გახლავთ. პირველი საუკუნის ისტორიკოსების ცნობით, ეს "ისტორიაში უდიდესი მარგალიტია", რომლის ფასიც "15 ქვეყნის ფასს" უდრის.

...დე ბრაეის ტილოზე თვითონ კლეოპატრა ლამაზი არ გახლავთ, არც ჭაღარაშერეული კაცი ჰგავს მაინცდამაინც მუსუს რომაელს. სინამდვილეში კლეოპატრა მხატვრის დედაა, ანტონიუსი კი - მამა. ბავშვებიც - ოჯახის წევრები. ტილოზე თვითონ მხატვარიც ჩანს - მარცხენა უკიდურეს კუთხეში. ეს სევდიანი ტილო დე ბრეიმ მონატრებული ოჯახის გამო დახატა. მშობლები და ოთხივე და-ძმა შავი ჭირის ეპიდემიის დროს დაეხოცა.

ხელოვნებათმცოდნეები აცხადებენ, რომ ამ ტილოზე ბევრია სიმბოლო, მათ შორის ბიბლიურიც. თუმცა, დროა გადავიდეთ ვერმეერზე, რომელიც რემბრანდტის რანგში გადის, მაშინ, როცა დე ბრეი ჰოლანდიელი "მცირე მაესტროების" ჯგუფში შედის, ასეთები კი ჰოლანდიის ოქროს ხანას ბევრი ჰყავს.

"გოგონა მარგალიტის საყურით" ვაშინგტონმა ჰააგიდან გამოითხოვა გამოფენისთვის. სიუჟეტი ამ ტილოს მიღმა ტრეისი შევალიემ შეკრა. ის 19 წლის იყო, როცა საძინებელი ოთახის კედელზე ამ ცნობილი ნახატის უზარმაზარი რეპროდუქცია დაკიდა და წაიოცნება: ნეტავ, ვინ იყო ეს გოგონა? რა ამბავი იმალება ამ ტილოს მიღმა? რაზე მიმანიშნებს გოგონა ამ საოცარი მზერით?

კითხვებმა შევალიე დიდხანს არ მოასვენა, შთაბეჭდილებამ წლებს გაუძლო და ბოლოს მან წიგნიც დაწერა, სადაც ვერმეერის ტილოს ცქერისას გაჩენილ კითხვებს მხატვრული პასუხები მოუძებნა. მის რომანში გოგონა ვერმეერის მოახლეა, ის 16 წლის არის და გრიტი ჰქვია. შეიძლება ასეც იყო, არავინ იცის.

სინამდვილეში კი მთელი განძი ამ ტილოზე არის არა მარგალიტი, არამედ თვითონ მშვენიერი გოგონა მეტყველი სახით, მისი სინორჩე და სილამაზე, რომელიც კლეოპატრას უძვირფასესი მარგალიტივით წარმავალია.

თუ ვაშინგტონის მეორე გალერეაში გადავინაცვლებთ, იქ გაცილებით უფრო სიცოცხლით სავსე სიტუაცია დაგვხვდება. ამჯერად უკვე მარგალიტები პოპ-კულტურიდან.

ერთ დარბაზში გამოფენის ორგანიზატორებმა მსოფლიოს უძვირფასეს თვლებს მოუყარეს თავი. მათ შორისაა ელიზაბეტ ტეილორის სახელგანთქმული "ლა პერეგრინაც". როგორც თვითონ აცხადებენ, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა უიშვიათეს მარგალიტებს ერთად გამოფენენ და როცა ერთმანეთს კვლავაც შეხვდებიან მარგალიტი "ჰოუპი" (ის ბუნებაში არსებული ერთ-ერთი უდიდესი მარგალიტია) და ბრილიანტი "ჰოუპი". ამ ძვირფას ქვებს ჰოუპი ლორდ ჰენრი ფილიპ ჰოუპის გამო უწოდეს. იყო დრო, ორივეს მფლობელი სწორედ ეს დიდი ლორდი გახლდათ.

რაც შეეხება "ლა პერეგრინას", ის ელიზაბეტ ტეილორს რიჩარდ ბარტონმა 1969 წელს, ვალენტინობის დღეს აჩუქა. წინათ საყურეს ინგლისის დედოფალი მერი პირველი ფლობდა, მერე კი - ბონაპარტეების ოჯახიც. ის იმდენად ძვირფასია, რომ, ლეგენდის მიხედვით, მონას, რომელმაც ეს მარგალიტი აღმოაჩინა პანამის სანაპიროზე, თავისუფლება უბოძეს.

გამოფენაზე თავს იწონებს დედოფალ მერის გულსაბნევიც და ე.წ. "აზიის მარგალიტიც" - მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბუნებრივი მარგალიტი, რომელსაც ერთ დროს ტაჯ მაჰალის მშენებელი შაჰ ჯაჰანი ფლობდა.

ასე რომ, ვაშინგტონი გაზაფხულ-ზაფხულისთვის მარგალიტების ქალაქად იქცა. არ არის გამორიცხული, ამ ორმა გამოფენამ სკარლეტ იოჰანსონობა ბევრს მოანდომოს და მარგალიტის საყურეებიც მოდის ყველაზე ცხელ გამოძახილად აქციოს.

ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

ქალაქი	მისამართი
თბილისი	რუსთაველის გამზ. №38
	კოსტავას №37
	ბაქოს №2
	შეშელიძის №3
	ჯავახეთის №44
	ქ. წამებულის გამზ. №75
	კინოთეატრი "რუსთაველი"
	გამსახურდიას გამზ. №24
	რუსთაველის გამზ. №31
	მარჯანიშვილის №19
	წერეთლის გამზ. №141ა
	ყაზბეგის გამზ. №41
	მ.კოსტავას №22
	მ.კოსტავას №7
ზესტაფონი	ჭანტურიას № 2
ქუთაისი	თამარ მეფის №25
სამტრედია	რუსთაველის № 27
სენაკი	რუსთაველის № 211
ზუგდიდი	კოსტავას №5ა
ხობი	ლადიანის № 238
ფოთი	26 მაისის № 2
ბათუმი	ერას №54/62
ქობულეთი	აღმაშენებელის №135
ოზურგეთი	ჭავჭავაძის № 6
ჩოხატაური	ლუმბაძის №7
ლანჩხუთი	თავისუფლების №2
რუსთავი	ხალხთა მეგობრობის №10
გარდაბანი	რუსთაველის №37
ბოლნისი	ს.-ს. ორბელიანის № 44
თელავი	კოსტავას № 3
ყვარელი	ილია ჭავჭავაძის №64
ლაგოდეხი	26 მაისის №14
წნორი	სტალინის №11
დედოფლისწყარო	რუსთაველის № 4
მცხეთა	სამხედროს №11
კასპი	სტალინის №98
გორი	სტალინის №15
ცხინვალი	ცელნიკოვის №211/39
ხაშური	რუსთაველის №16
ბორჯომი	რუსთაველის № 121
ახალციხე	ნათენაძის № 76
ახალქალაქი	კლარა ცეტკინის №77

24 საათი 3

ლაი-ლაი

ამოჭერი

აქცია გრძელდება: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ინფოთეკა

ტაკინარდი და რონალდო ლიგიდან დაითხოვეს

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში "რეალთან" მოედნიდან გაძევებული იუვენტუსელი ალესიო ტაკინარდი ორივე მეოთხედფინალურ მატჩს გამოტოვებს. ტაკინარდი მეორე დამატებით ტაიმში გააძევეს მოედნიდან - მატჩის მთავარმა მსაჯმა მარკუს მერკმა არასათამაშო ეპიზოდში არასპორტული საქციელის გამო ტაკინარდს მოედნის დატოვება უბრძანა. თუმცა, მარტო ტაკინარდის არ დაუტოვებია მოედანი. იტალიელის ბედი "რეალის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა რონალდომაც გაიზიარა. "იუვემ" მატჩი 2:1 მოიგო (საერთო ჯამში 2:1) და მეოთხედფინალში გავიდა. ასე რომ, "იუვეს" 29 წლის ნახევარმცველი მიმდინარე სეზონში ორი თამაშითაა დისკვალიფიცირებული, ხოლო რონალდოს, რომელიც ანალოგიურად დაისაჯა, ორ მატჩს მაშინ გამოტოვებს, როდესაც "სამეფო კლუბი" ჩემპიონთა ლიგას დაუბრუნდება.

ბეკენბაუერი უეფას პრეზიდენტობისთვის მხარდამჭერებს ელის

ფრანც ბეკენბაუერი მზადაა, უეფას პრეზიდენტობისთვის წინასაარჩევნო რბოლაში ჩაებას. "როგორც "როიტერსი" ამბობს, ეს მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, თუ ბეკენბაუერს მხარში ამოუდგებიან გერმანიის საფეხბურთო კავშირი (DFB) და ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელობა.

"ჯერ იმაში უნდა დავრწმუნდეთ, რომ ლენარტ იუჰანსონი მართლაც აპირებს პრეზიდენტის სავარძლის დატოვებას, - ამბობს ბეკენბაუერი. - იმ შემთხვევაში, თუ DFB და უეფა მხარს დამიჭერენ, ასეთ შესაძლებლობას განვიხილავ".

უეფას სათავეში მოსვლის სურვილი გამოთქვა საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა მიშელ პლატინიმაც. აქედან გამომდინარე, მათი ძველი საფეხბურთო დაპირისპირება პორტფელებისთვის დაპირისპირებაში გადაიზრდება.

დევენპორტი ქალთა და ტურნირთა კეთილდღეობაზე ფიქრობს

WTA Tour-ის რეიტინგის პირველი ჩოგანი ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი ასოციაციის ხელმძღვანელობას მოუწოდებს, ტურნირებში მაღალი კლასის ჩოგბურთელთა მონაწილეობისთვის პრემიალურების პრაქტიკა დანერგოს.

მაგალითად, ვაჟთა ATP Tour-ის ორგანიზატორები ძლიერი მოთამაშეების მოსაზიდად დახმარებისთვის ღიად მიმართავენ. დამატებით პრემიალურებს, ქალთა შორის კი ასეთი პრაქტიკა არ არსებობს.

"ჩვენი შეჯიბრება ბევრად უკეთესი იქნებოდა, რაღაცები ვაჟებისგან რომ გადმოგვეღო. დიდი ტურნირებისგან განსხვავებით, ნაკლებად სანახაობრივი ასპარეზობებისთვის ეშხის შესაძენად დამატებითი პრემიალურებია საჭირო, რაც ძლიერ მოთამაშეებს ასეთი ტურნირების მიმართ ინტერესს აღუძრავს".

ამასობაში WTA Tour-ის წარმომადგენელი ლარი სკოტი თავის მხრივ აცხადებს, რომ უახლოეს ხანებში ორგანიზაციას არანაირი გეგმები არა აქვს, ATP Tour-ის კვალს გაჰყვეს: "ჩვენ გვაქვს სისტემა, რომელიც ბრწყინვალედ მუშაობს. რა თქმა უნდა, მოთამაშეების გარეშე ვერაფერს გავხდებით. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს, მათთვის შემოსავლის წყარო გამეზარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ იმისა, რომ რაიმე შევცვალოთ".

"სამეფო კლუბი" ბუფონში 35 მილიონ ევროს იხდის

მადრიდის "რეალი" მზადაა, "იუვენტუსის" 27 წლის მეკარე ჯანლუიჯი ბუფონში 35 მილიონი ევრო გადაიხადოს. იტალიურ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, "სამეფო კლუბის" წარმომადგენლები ოთხშაბათს სატრანსფერო პირობების შესათანხმებლად "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას შეხვდნენ. ამჟამად ბუფონს ტურინელებთან 2009 წლის 30 ივნისამდე კონტრაქტი აკავშირებს და, ამასთან, ჯამაგირის სახით წელიწადში 4,5 მილიონ ევროს იღებს.

"ბარსა" "რეალს" დაუპირისპირდა

ისევე როგორც "რეალს", "ბარსელონასაც" სურს, "არსენალის" მცველი ეშლი კოული შეიძინოს. აქედან გამომდინარე, "სამეფო კლუბთან" კონკურენციისთვისაც ემზადება.

Mirror-ის ცნობით კი, "ბარსას" ხელმძღვანელობა მზადაა, ფეხბურთელში 20 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადოს.

საფეხბურთო გალერეა

ოსტატთა სამჭედლო: "აიაქსის" ბავშვთა სკოლა

"აიაქსი"
(ამსტერდამი, ჰოლანდია)
დაარსდა 1900 წლის 18 მარტს
ჰოლანდიის ჩემპიონი: 1918, 1919, 1931, 1932, 1934, 1937, 1939, 1947, 1957, 1960, 1966, 1967, 1968, 1970, 1972, 1973, 1977, 1979, 1980, 1982, 1983, 1985, 1990, 1994, 1995, 1996, 1998, 2002, 2004
მეორე ადგილი: 1928, 1930, 1936, 1946, 1961, 1963, 1969, 1971, 1978, 1981, 1986, 1987, 1988, 1989, 1991, 1992, 2003
მესამე ადგილი: 1921, 1927, 1935, 1958, 1974, 1975, 1976, 1984, 1993, 2001

ჰოლანდიის თასი: 1917, 1943, 1961, 1967, 1970, 1971, 1972, 1979, 1983, 1986, 1987, 1993, 1998, 1999, 2002
ფინალისტი: 1968, 1978, 1980, 1981
ჰოლანდიის სუპერთასი: 1993, 1994, 1995, 2002
ჩემპიონთა თასი: 1971, 1972, 1973, 1995
უეფას თასი: 1992
თასების თასი: 1987
ევროპის სუპერთასი: 1972, 1973, 1995
საკონტინენტთაშორისო თასი: 1972, 1995

1995 წლის ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი გუნდი "აიაქსი."

"აიაქსის" სკოლის აღსაზრდელები.

ის, რომ ამსტერდამის "აიაქსის" ბავშვთა სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, ახალი ამბავი არაა. ჰოლანდიური კლუბი ათწლეულებია ნაცად გზას ადგას - მთელ მსოფლიოში კრებს ნიჭიერ ბავშვებს, ფეხბურთის ანბანს ასწავლის და მათგან გამორჩეულებს პირველ გუნდში უხმობს. საუკეთესონი ევროპულ გრანდებში იყიდებიან და მათ სანაცვლოდ აღებული თანხა "აიაქსს" არა მარტო გაწეულ დანახარჯს უნაზღაურებს, გვარიან მოგებასაც უტოვებს.

რამდენიმე წლის წინ "აიაქსის" ბავშვთა სკოლაში ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელებიც იყვნენ მიწვეულნი, თუმცა, ეს სხვა თემაა. ამჯერად უშუალოდ ამსტერდამულ სკოლაზე მოგითხრობთ.

აიაქსელები რომ ლაღ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ, ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. ამ წარმატებების საიდუმლო კი ბავშვთა სკოლაში დევს, ცოდნის ტაძარში, სადაც ყველაფერი შვეიცარიული საათივითაა აწყობილი და სადაც ყოველივე ერთ მიზანს - "აიაქსისთვის" ნიჭიერი ფეხბურთელების გაზრდას ემსახურება.

ახალგაზრდა აიაქსელები ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე თამაშობენ. მაგალითისთვის, დორტმუნდის "ბორუსიას" ახალგაზრდულ სკოლაში ნიჭიერ ბავშვებს ყოველთვიურად 1500 ევროს უხდიან, რაც ამსტერდამში წარმოუდგენელია.

გასახდელში შესვლისას უმალ თვალში მოგხვდებათ გაქათქათებული მაისურები და შორტები, გაპრიალებული ბუცები. "ისინი ამას თავად აკეთებენ, - ამბობს "აიაქსის" ბავშვთა სკოლის დირექტორი იან უპ ადრიანსე. - ბავშვმა უნდა ისწავლოს თავისი ნივთების მოვლა და გაფრთხილება. ამით ეყრება საფუძველი ფეხბურთელობას."

ადრიანსეს თავის სკოლაში აკრძალული აქვს გრძელი თმა, ყელსაბამები, სამაჯურები, საყურეები, დახეული ჯინსის შარვლები, თქვენ წარმოიდგინეთ, მოხატული ქურთუკებიც კი. დირექტორის პრინციპი ასეთია - მოსწავლეს უნდა ეტყობოდეს, რომ ის "აიაქსის" სკოლიდანაა. ბავშვებს სასტიკად ეკრძალებათ მსაჯებთან კამათი - ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდას ნიშანს უკლებენ.

სკოლის დერეფნებსა და გასახდელებში ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების რუუდ ვან ნისტელროის, როი მაკაის, პატრიკ კლუივერტის, არიენ რობენის, ედგარ დავიდსისა და სხვათა, ასევე იოჰან კრუიფის, მარკო ვან ბასტენის, რუუდ გულიტისა და ახლო თუ შორეული წარსულის სხვა ჰოლანდიელ ვარსკვლავთა პორტრეტები კიდია. მწვრთნელების აზრით, ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელია.

საინტერესოა, რომ ძირითადი გუნდის გასახდელის კარის გასაღები კოდირებულია, რათა პატარებმა უფროსები არ შეაწუხონ. ესეც ფსიქოლოგიური ხრიკია - ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ იქ მოხვედრა სურთ, ახლავე კარგად უნდა ისწავლონ და ივარჯიშონ.

უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის წევრებს არა აქვთ ახალგაზრდებთან შესვლის უფლება, ისევე როგორც ახალგაზრდებს ეკრძალებათ მათზე უფროსებთან ოთახში ყოფნა.

"აიაქსის" ბავშვთა სკოლაში ასევე განსაკუთრებულად ირჩევენ ფეხბურთელებს. წელიწადში ერთხელ სკოლა ორი ათასამდე მსურველს იღებს, თუმცა, მკაცრი ტესტირების შემდეგ სკოლაში სწავლის უფლება მხოლოდ სამოცდაათამდე ბედნიერს ეძლევა.

რაც შეეხება ტესტს, მას პირობითად ტიპს-ი ეწოდება: ტ - ტექნიკაა, ი - სკოლაში სიბეჯითე და ნიშნები, პ - შრომისმოყვარეობა, ს - სისწრაფე.

აქვე სკოლის მესვეურთა ერთი აზრი: სისწრაფე ბავშვს დაბადებიდან უნდა მოსდგამდეს, თორემ ვარჯიშით ამის მიღწევა შეუძლებელია.

მასწავლებლები შრომისმოყვარეობას ნიჭზე მაღლა აყენებენ. ბავშვს ბრძოლის ჟინი, წარმატებისკენ სწრაფვა უნდა ჰქონდეს. ნებისყოფიანი ბიჭები, რომლებსაც მცირე ნიჭი ჰქონდათ, რამდენიმე წელიწადში კარგ შედეგებს აღწევდნენ და მაღალი დონის ფეხბურთელებად ყალიბდებოდნენ.

ტექნიკა ის "დისციპლინაა", რომელიც ვარჯიშით შეიძლება დაიხვეწოს.

სკოლაში ბეჯითი სწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. "აიაქსს" საშუალო სკოლასთან მუდმივი კონტაქტი აქვს. ახალგაზრდა, რომელიც ცუდად სწავლობს, ავტომატურად თავისუფლდება ვარჯიშებიდან, რათა ნიშნები გამოასწოროს. თუ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, საფეხბურთო სკოლა მასზე უარს იტყვის: "ბავშვი განათლებული უნდა იყოს, რათა ადვილად მიაგნოს თავის ადგილს ცხოვრებაში. ცოდნა მას დაეხმარება, უკეთესად გაიგოს ფეხბურთის არსი და დაძლიოს მის წინაშე წამოჭრილი პრობლემები", - ამბობს ადრიანსე.

ახლა მწვრთნელებზეც: მასწავლებელი ახალგაზრდა უნდა იყოს, მას ყველაფრის კეთება უნდა შეეძლოს, რასაც პატარებს ასწავლის. ის მათთვის ცოცხალი მაგალითი უნდა იყოს. ამიტომ მას, ვისაც "აიაქსში" არ უთამაშია, ძალიან გაუჭირდება ბავშვთა სკოლაში სამსახურის შოვნა. ასევე აუცილებელია, რომ მწვრთნელმა თავის გუნდს შემტევი, სწრაფი ფეხბურთის თამაში ასწავლოს. თუ ეს არ გამოუვიდა, თანამდებობაზე დიდხანს არ გააჩერებენ. სხვათა შორის, დიდი "აიაქსის" თავკაცებიც ხშირად იგივე ბედს იზიარებენ.

შემტევი ფეხბურთი მეკარიდან იწყება. ის კარის ხაზზე კი არ უნდა იდგეს, არამედ საჯარიმო მოედნის წინა ხაზთან ლიბეროს პოზიცია უნდა ეკავოს. ამიტომაც მეკარეს მხოლოდ კვირაში ერთხელ ავარჯიშებენ ცალკე, დანარჩენ დროს კი გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ფეხბურთელის ნომერი აღნიშნავს მის პოზიციას 3-4-3-ის სისტემაში. "აიაქსის" ყველა ასაკობრივ ჯგუფში ამ სისტემით თამაშობენ. დაცვაში ნომერი 2, 3 და 5 ერთ ხაზზე დგანან, სამი ნომრის წინ წაწეული მცველი ნომერი 4-ია. მეათე ნომერი შემტევი ნახევარმცველია, 9 - ცენტრალური თავდამსხმელი, მისგან მარჯვნივ ნომერი 7-ია, მარცხნივ კი - მეთერთმეტე. რაც შეეხებათ მეექვსე და მერვე ნომრებს, შუა ხაზში პირველი მარჯვნივაა გამწესებული, მეორე - მარცხნივ.

ყველა გუნდში 16 ფეხბურთელია: ორი მეკარე, ოთხი - ძლიერი მარჯვენა ფეხით მეორე, მეექვსე და მეშვიდე ნომრებისთვის, ოთხი - ძლიერი მარცხენა ფეხით მეხუთე, მერვე და მეთერთმეტე ნომრებისთვის, სამი მოთამაშე მესამე და მეოთხე ნომრებისთვის, ამდენივე მეცხრე და მეათე ნომრებისთვის.

"აიაქსის" სკოლაში ერთი და იგივე ასაკის ფეხბურთელები არასდროს არ ეთამაშებიან ერთმანეთს. 6 წლის ბავშვები 8-წლიანებთან თამაშობენ საკონტროლო მატჩებს, 8-წლისები - 10-წლიანებთან და ასე შემდეგ. ვარჯიშისა და თამაშის მერე ბავშვები სადილობენ და საშინაო დავალებებს ასრულებენ. ამაში მათ მოწვეული მასწავლებლები ეხმარებიან.

ბურთის ფლობის ტექნიკას, პრაქტიკულ ვარჯიშებთან ერთად, 70 წლის მწვრთნელის ვილი კორვერის წიგნის მიხედვითაც ასწავლიან. კორვერმა დიდი ფეხბურთელის მოძრაობა გრაფიკულად შეისწავლა და საწვრთნელ პროგრამას დაუდო საფუძვლად.

"ფეხბურთელისთვის მთავარია ბურთის შეგრძნება და მასთან ერთად მოძრაობა", - ამბობს კორვერი. მისი მეთოდის მიხედვით, ბავშვები ფეხის გულით ატარებენ ბურთს წინ, უკან, გვერდზე, არტყამენ მარჯვნივ და მარცხნივ. ამით მათ ბურთის გრძნობა ავტომატურად უვითარდებათ.

გამძლეობის ასამაღლებლად პატარა აიაქსელები მარათონულ დისტანციაზე არ დარბიან. სკოლაში სხვა მეთოდი აქვთ: საჯარიმო მოედნისხელა სტადიონზე, სადაც ჩვეულებრივი სიდიდის კარებია, ცხრა ცხრაზე თამაშობენ. ეს კი ნიშნავს - მოედნის სიმცირის გამო მუდამ ორთაბრძოლაა, მუდამ ბურთთან კონტაქტია, წამებში პარტნიორის მონახვა და გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო.

მხოლოდ კვირაში ერთხელ ვარჯიშობენ აიაქსელი ბავშვები უბურთოდ. მთავარია ფეხბურთელს სასტარტო სიჩქარე ჰქონდეს. ახალგაზრდებს ამის მისაღწევად სპეციალურად წვრთნიან. მოედანზე პალოებს ასობენ 60-70 სანტიმეტრის დაშორებით. ფეხბურთელებმა სწრაფად და ერთი ზომის ნაბიჯით უნდა გადაირბინონ ეს დაბრკოლებები.

ვარჯიშის შემდეგ მოკლე კრიტიკული შენიშვნები კეთდება. ყველა მატჩის მერე მწვრთნელი წერილობით შეფასებას აძლევს ფეხბურთელებს. წელიწადში ორჯერ ახალგაზრდებს ნიშნებს უწერენ. ბავშვს აფასებენ 40(!) კრიტერიუმით: დრიბლინგი, ბურთის კონტროლი, პასები, კარში დარტყმა, სისწრაფე, აზროვნების სისწრაფე, სიგრძეზე ხტომა, თავური დარტყმა შეტევისა და დაცვის დროს, საგოლე ალღო, შრომისმოყვარეობა, ურთიერთობა თანაგუნდელებთან და ასე შემდეგ.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ფაქტი: "აიაქსი" ყოველწლიურად სამნახევარ მილიონ ევროს ხარჯავს ბავშვებზე და მაინც, ყოველთვის მოგებულია!

გერმანული პრესის მიხედვით მოამზადა ლაშა გელაშვილმა

ვალერი ჩოლარია: "სჯობს, ქულებზე ვისაუბროთ"

მიხეილ აბაიშვილი

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ქვეყნის ოფიციალურ სტრუქტურებს შორის კონფლიქტი ამოწურულია" - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ "24 საათთან" საუბარში.

"სამწუხაროა, რომ სხვადასხვა დონეზე აქტიურად საუბრობდნენ ლარებსა და თეთრებზე, როცა უპრიანი იქნებოდა, განგვეხილა ის შანსები და ქულები, რომელთა რეალიზაციაც საქართველოს ნაკრებს ამ ორ უმნიშვნელოვანეს მატჩში მოუწევს. ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ფედერაციამ ამ ორი მატჩის საორგანიზაციო ხარჯების აღსარიცხად შეადგინა, მრავალჯერ დათვლილი, გადამოწმებული, დაზუსტებულია და არანაირ ეჭვს არ იწვევს. საერთო ჯამში ორივე მატჩის ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად 260 ათასი ლარია საჭირო.

რაც შეეხება თბილისის მერიის დახმარებას, ამ უწყებიდან მივიღეთ ოფიციალური დადასტურება, რომ ხარჯების ნაწილს, კერძოდ, 60 ათას ლარს დააფინანსებენ. ამ დამხარებამ საშუალება მოგვცა, 15 ათას ბილეთზე ფასი 10 ლარამდე შეგვემცირებინა", - კიდევ ერთხელ განმარტა საკითხი ჩოლარიამ.

სფფ-ს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მერიიდან შემოთავაზებული 60 ათასი ლარი მთლიანად ქვეყნის ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას მოხმარდება.

"როგორც კი გაირკვა, რომ მერია ფინანსურად დაგვეხმარებოდა, სხვადასხვა უწყებაში დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ამ 60 ათასი ლარის ხარჯვის ნაწილი უნდა გაეკონტროლებინათ. არაფერი საწინააღმდეგო არ გვაქვს და დღესვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რას მოხმარდება ეს თანხა. მოგეხსენებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დანიის ნაკრებთან წარმატებით თამაშის შემთხვევაში ეროვნული გუნდისთვის დაწესებული ჰქონდა პრემიები. ამ პრემიებს, წესისამებრ, მომდევნო მატჩის ანუ საბერძნეთთან შეხვედრის წინ გავისტუმრებთ. ასევე ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალენ ჟირესს და მის დამხმარე მწვრთნელთა კორპუსს უკვე გავუსტუმრეთ მიმდინარე სახელფასო დავალიანება. სწორედ ამ თანხების დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშში, მერიიდან შეპირებულ 60 ათას ლარს სახელმწიფო ბიუჯეტში გადავრიცხავთ. ეს თანხა ფედერაციის ანგარიშზე საერთოდ არ მოხვდება და მერიიდან პირდაპირ ბიუჯეტში გადაირიცხება. ამის თაობაზე ოფიციალური წერილით უკვე მივმართეთ ქალაქ თბილისის მერიას", - აღნიშნა გენერალურმა მდივანმა.

გოგიტა გუხაიძის ფოტო

ვალერი ჩოლარია: "საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ქვეყნის ოფიციალურ სტრუქტურებს შორის კონფლიქტი ამოწურულია"

ინფოთეკა

შუმახერს მალაიზიაში საფრთხე ელის

"სამეფო რბოლების" ერთ-ერთი ნაკლებად გავლენიანი ექსპერტი გერმანელი ჰანს-იოახიმ შტუკი მიიჩნევს, რომ "ავსტრალიის დიდ პრიზზე" წარუმატებლობით "ფერარის" გერმანელმა მრბოლმა მიხაელ შუმახერმა სერიოზულად გაირთულა საქმე, დაეუფლოს მსოფლიო ჩემპიონის მერვე ტიტულს. და არა იმიტომ, რომ გერმანელმა "მელბურნ პარკის" ტრასა უქულოდ დატოვა, არამედ იმიტომ, რომ კარს მომდგარი "მალაიზიის დიდი პრიზის" პირველი კვალიფიკაციისთვის არცთუ სახარბიელო პოზიციიდან მოუწევს სტარტის აღება.

შტუკი თვლის, რომ ახლა მეტოქეები მიხაელის წინააღმდეგ გაერთიანდებიან და განსაკუთრებით აგრესიულადაც შეუტევენ.

"მალაიზია მიხაელისთვის საშიში იქნება. სხვა მრბოლებმა ნახეს, თუ რამდენად აგრესიულად მოქმედებდა შუმი მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე. მალაიზიაში იგივე ხერხს მიმართავენ ფერნანდო ალონსო ("რენო"), ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენ-მერსედესი"), ჯენსონ ბატონი ("BAR") და ნიკ ჰაიდფელდი ("უილიამსი").

TV-სპორტი

პარასკევი. 18 მარტი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ფუტზალი. რუსეთის სუპერთასი. "დინამო" - "ალმაზ-ალროსა"
13:55 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალებისა და ნახევარფინალების კენჭისყრა. პირდაპირი ტრანსლაცია
14:15 ლიბერტადორესის თასი. "პალმეირასი" (ბრაზილია) - "სანტო ანდრე" (ბრაზილია)
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 "ფეხბურთი ჭრილში"
16:45 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "ინტერი"
18:30 თავისუფალი დარტყმა
18:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 "საფეხბურთო კლუბი"
20:10 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
21:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:50 თავისუფალი დარტყმა
23:05 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:00 "საფეხბურთო კლუბი"

НТВ+ПЛЮС
10:00, 16:00, 17:55, 21:00 პრესცენტრი
10:20, 20:55 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:25 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა უელსში. (აშშ). მეოთხედფინალები. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
15:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
16:15 "მოტოვებული კვირა"
17:00 ტაილანდური კრივი
18:15 ჩვენი ჰოკეი პლუსზე. რუსეთის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. "AK ბარსი" - "ლოკომოტივი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები ნორვეგიასა და შვეიცარიაში
21:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
22:30 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა უელსში. (აშშ). მეოთხედფინალი
00:15 ახალი ამბები
00:30 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
01:00 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა უელსში. (აშშ). მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "მექსიკის რალი"
11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "მექსიკის რალი"
11:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:00 ფეხბურთი - უეფას თასი
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი სლოვენიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. პირდაპირი ტრანსლაცია
14:15 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:15 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:45 ფეხბურთი - უეფას თასი
18:30 ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
19:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ინდოეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 ჭიდაობა. ასპარეზობა აშშ-ში
02:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ჰოლანდიაში

რაგბი

თორმეტნი ჰონკონგში შვიდკაცას სათამაშოდ

პაატა თოთაძე

დღეს ჰონკონგში იწყება მსოფლიო ჩემპიონატი შვიდკაცა რაგბიში, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ქართველები მეორედ ხვდებიან ასეთი რანგის ტურნირზე. პირველად ეს იყო ოთხი წლის წინ არგენტინაში, სადაც ქართველმა მორაგბეებმა კლოდ სორელის ხელმძღვანელობით მე-10 ადგილი დაიკავეს.

დღეს გუნდს სხვა მწვრთნელი ჰყავს - ზაზა ლეჟავა, ამბიციები - არანაკლები. ქართველები ჰონკონგში სამი დღის წინ ჩავიდნენ (საქართველო-რუმინეთის მატჩის შემდეგ) და იქ განაგრძეს მზადება ტურნირისთვის. ქართველთა ყოფილი დამრიგებელი კლოდ სორელი ახლა ტუნისის ნაკრებს თავკაცობს და ლამის ეროვნულ გმირად შერაცხონ. ეს გუნდი პირველად გამოდის მსოფლიო თასზე. ასეთი რამ ტუნისური რაგბის ისტორიას არ ახსოვს. გუშინწინ სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს სპარინგ-მატჩში. ქართველები B ჯგუფში ასპარეზობენ ინგლისის, სამოას, საფრანგეთის, იტალიისა და ჩაინიზ ტაიპეის ანუ ტაივანის ნაკრებებთან ერთად, ტუნისელები კი D ჯგუფში მოხვდნენ.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

საფრანგეთის ნაკრები თბილისში დაგვიმარცხებია და დღეს იგივეს ჰონგ კონგშიც შევეცდებით.

ტრავმების გამო ლეჟავას სამი ცვლილების გაკეთება მოუხდა. "თხუთმეტკაცა ნაკრებში ასპარეზობისას სამი მორაგბე დაგვიშავდა. ყველაზე მეტად ურჯუკაშვილის არყოფნას განვიცდით. ის ჩვენი დამრტყმელია და გუნდს ძალიან დააკლდება", - განაცხადა მწვრთნელმა, - "მიუხედავად ამისა, გუნდში ყველა ის მოთამაშეა შეკრებილი, რომელსაც საკვალიფიკაციო ტურნირზე უთამაშია. შევეცადე, ყველაზე უფრო გამოცდილები მიმეწვია გუნდში. არის ერთი-ორი ახალგაზრდაც, მაგრამ მათ არაერთხელ უთამაშიათ ნაკრებში და იციან, რა როგორ გააკეთონ."

"ფიზიკურად კარგად ვიქნებით მზად ტურნირისთვის. შესაძლოა, მოსამზადებელ პერიოდში ყველაფერი ისე არ გვქონდა, როგორც გვინდოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში ტურნირისთვის კარგად მოვემზადეთ."

"სორელი ჩემი მწვრთნელი იყო. მან მასწავლა თითქმის ყველაფერი რაგბის შესახებ. ამას გარდა, მე მის თანაშემწედაც მიმუშავია და იქიდანაც ძალიან ბევრი მაქვს ნასწავლი. ძალიან ყურადღებიანი და თბილი ადამიანია. გუშინ საღამოს დამირეკა კლოდმა, მკითხა, გუნდში ყველაფერი რიგზეა თუ არა და რამე ხომ არ მჭირდება."

"მოთამაშეები დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს. არცთუ დიდი ხნის წინ მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. გუნდში ბევრი ჩემი მეგობარია და ვიცი, ვინ რისი გამკეთებელია. ძალიან ბევრს ვშრომობთ, ვემზადებით და ამან შედეგი უნდა გამოიღოს".

წესების თანახმად, თასისთვის ბრძოლას ჯგუფიდან ორი საუკეთესო აგრძელებს. ამდენად, ამ ეტაპზე ძნელია (თუმცა, არა შეუძლებელი), ინგლისსა და სამოას აჯობო. უფრო სწორად, სამოას ჯობნა არაა შეუძლებელი, თორემ ინგლისს, დარწმუნებული იყავით, ვერაფერს მოვუხერხებთ. დანარჩენებისთვს კი საქართველოს ნაკრებს არაერთხელ უჯობნია თბილისის შვიდკაცაზე და სხვა ტურნირებზეც.

ჯგუფური ეტაპის მატჩების ანრიგი. დრო თბილისისაა

18 მარტი

06:55 საქართველო - ინგლისი
09:51 საქართველო - საფრანგეთი
13:02 საქართველო - სამოა

19 მარტი

06:04 საქართველო - იტალია
10:57 საქართველო - ტაიპეი

პლეი-ოფი კვირას გაიმართება და იმ დღესვე გამოვლინდება მსოფლიოს ჩემპიონი. თუ ქართველებმა ჯგუფიდან გააღწიეს, კვირას თასის მეოთხედფინალში მეტოქედ B ჯგუფის წარმომადგენელი ეყოლება, თუ არადა, მესამე ან მეოთხე ადგილის აღების შემთხვევაში სინისთვის მოუწევთ ბრძოლა. აქაც პირველად B ჯგუფის წარმომადგენლის წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

იმ მოთამაშეთა სია კი, რომელთაც ჰონკონგში მოუწევთ თამაში, ასე გამოიყურება:

ირაკლი გუნდიშვილი, ვასილ კაცაძე, ლექსო გუგავა, გიორგი კაჭარავა, ირაკლი მაჩხანელი, თედო ზიბზიბაძე, გია ლაბაძე, ბადრი ხეხელაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, არჩილ ქავთარაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი, ელგუჯა იოვაძე.

სახელი ____
გვარი ____
ასაკი ____
სიმაღლე ____
მისამართი ____
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____ თარიღი ____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლოკური შრიფტით

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" / ინტელექტუალური გადაცემა "სუსტი რგოლი" / ვაჟა-ფშაველას 45, 0177 თბილისი

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

მაღალტექნოლოგიური ამუნიცია ამერიკელი ჯარისკაცებისთვის

ასეთ ეკიპირებას ამერიკელი ჯარისკაცი 2010 წლისთვის მიიღებს, კომპიუტერი მისი საბრძოლო იარაღი გახდება, რობოტიზებული კიდურები კი უფრო ამტანსა და ძლიერს გახდის

ამერიკული პროგრამა "ფიუჩა კომბატ სისტემსის" (მომავლის საბრძოლო სისტემები) ფარგლებში მომზადებულია და აშშ-ის კონგრესმენებისთვის საჩვენებლად წარდგენილია მომავლის ჯარისკაცების უნიფორმისა და ამუნიციის ორი კონცეპტუალური კომპლექტი, რომელთაგან ერთი ამერიკელი ჯარისკაცების ეკიპირებაში 2010 წლიდან შევა, მეორე კი - 2020 წლიდან. ორივე ეკიპირება ფანტასტიკური ფილმებიდან გადმოღებულს მოგვაგონებს, მათგან მეორე კი ალბათ "ვარსკვლავური ომების" პერსონაჟებსაც მოეწონებოდათ.

ეკიპირებაში შედის: ჯარისკაცის ინდივიდუალური დაცვა თავიდან ტერფამდე, შეიარაღება, ინდივიდუალური კომპიუტერული სისტემა, რომელიც ქსელშია ჩართული, პორტატული ენერგიის გამომმუშავებელი საშუალებები და ადამიანის ბრძოლისუნარიანობის გაზრდისთვის მოწოდებული სისტემები.

2010 წლის ამერიკელი ჯარისკაცის ეკიპირების შექმნისას გამოყენებულია ის გამოცდილება, რომლებიც ამერიკელებმა ავღანეთსა და ერაყში ბრძოლების დროს დააგროვეს. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ახალი ეკიპირება თითქმის 2.5-ჯერ მსუბუქია იმაზე, რომლებსაც ამერიკელი და მათი მოკავშირე ქვეყნების ჯარისკაცები ერაყსა და ავღანეთში იყენებენ. თანამედროვე ეკიპირების წონა რიგ შემთხვევებში 55 კილოგრამს აღწევს და ბუნებრივია, ბრძოლის დროს ის გარკვეულ პრობლემებს უქმნის ჯარისკაცებს. ახალი სისტემის მაქსიმალური წონა კი 22 კილოგრამია და რაც მთავარია, ის გაცილებით ეფექტურია ახლანდელზე.

პირველ რიგში, შევჩერდეთ ჯარისკაცის სხეულის დამცავ ჯავშანზე, რომელიც უფრო ეფექტურად შთანთქავს ტყვიის ენერგიას და აქედან გამომდინარე, ჯარისკაცს ტრავმისგანაც უფრო ეფექტურად იცავს. თანამედროვე ტყვიაგაუმტარი ჟილეტები ჯარისკაცის სიცოცხლეს კი იცავს, მაგრამ მათში ტყვიის მოხვედრა ხშირად ნეკნების მოტეხილობას და აქედან გამომდინარე, ჯარისკაცის მწყობრიდან გამოყვანას იწვევს. ახალი უნიფორმა უფრო კარგად შთანთქავს ტყვიის ენერგიას და გაცილებით ნაკლები ძალის დარტყმას აყენებს ჯარისკაცს.

ეკიპირებაში შედის კავშირის ულტრათანამედროვე სისტემა, რომლის მეშვეობითაც, ჯარისკაცებს თავისუფლად შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა მაშინაც კი, როცა ერთმანეთისგან მოშორებით, ჯუნგლებში ატარებენ ოპერაციას. კავშირის ამგვარი სისტემა დღეისათვის დიდ ფუფუნებას წარმოადგენს და მას მეტწილად მხოლოდ ელიტარული შენაერთები იყენებენ.

ახალი სისტემა კიდევ უფრო ეფექტური და მრავალმხრივია. მისი მეშვეობით, ჯარისკაცს მუდმივი თანამგზავრული კავშირი აქვს შენაერთის ხელმძღვანელობასთან და თავადაც ღებულობს უწყვეტ ინფორმაციას ბრძოლის ველიდან. ეს კი მას უკეთ ორიენტირებასა და დავალების შესრულებაში ეხმარება. მთელი ამ ინფორმაციის ჯარისკაცამდე მიტანა ევალება პორტატულ კომპიუტერს, რომელიც ეკიპირებაში შედის და ის ჯარისკაცის ზურგზე, ყველაზე დაცულ ადგილას თავსდება.

"ჩვენ, პროგრამის თანამშრომლები, 2010 წლის ამერიკელ ჯარისკაცს "ფეხოსან F-16-ს" ვუწოდებთ. ეს იმიტომ, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული სისტემა ადამიანს თითქმის იგივე შესაძლებლობებს აძლევს, რაც ავიაგამანადგურებელ F-16-ს გააჩნია", - ამ სიტყვებით წარუდგინა ამერიკელ კონგრესმენებს თავისი ჯგუფის შედევრი პროექტის წამყვანმა თანამშრომელმა ჟან-ლუი დეგაიმ. მისივე თქმით, თუ მაგალითად, "აპაჩის" ტიპის ვერტმფრენი დიდ მანძილზე მოიტოვებს თავის ჯარისკაცებს და ვიდეოკამერების საშუალებით, მტრის სიღრმეში, მათს განლაგებას დააფიქსირებს, მონაცემებს მაშინვე მიიღებენ მისი თანამებრძოლები, რომლებიც მიღებულ ინფორმაციას ბრძოლის დროს გამოიყენებენ.

მომავლის ჯარისკაცის ამუნიციის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი მისი მუზარადია. მუზარადის თვალსაცავი უბრალო შუშა აღარაა - მასში ჩამონტაჟებულია მინიატურული მონიტორი, რომელზეც ჯარისკაცს კომპიუტერიდან მისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინფორმაციის გამოძახება შეუძლია. თანაც, ამას ისე გააკეთებს, რომ იარაღისთვის ხელის გაშვება არ დასჭირდება.

გარდა ამისა, ჯარისკაცს თანამებრძოლებთან და ნაწილის უფროსებთან კავშრისთვის აღარ დასჭირდება სპეციალური მიკროფონი. სპეციალური სენსორები მისი იოგების რხევებს დააფიქსირებენ და წარმოთქმულ ფრაზებს კომპიუტერის გავლით გადასცემენ საჭირო მიმართულებით.

გარდა ამისა, საბორტო კომპიუტერი ჯარისკაცის ჯანმრთელობასაც გააკონტროლებს. მაგალითად, ეცოდინება, თუ რა მდგომარეობაშია ბრძოლაში ჩაბმული ქვეითი - როგორია მისი პულსი, მისი სხეულისა და კანის ტემპერატურა. რა რაოდენობის სითხე მიიღო და დაკარგა საბრძოლო ოპერაციის დროს.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი და მრავალფეროვანია **2020** წლის ამერიკელი ჯარისკაცის უნიფორმა, რომელშიც აქცენტი ნანოტექნოლოგიების გამოყენებაზე იქნება გადატანილი. ნანოტექნოლოგიების საშუალებით, შესაძლებელი იქნება წარმოუდგენლად მცირე ზომის და სისქის დეტალების, სისტემების და დამცავი საშუალებების გამოყენება და შედეგად, კიდევ უფრო ეფექტური და მსუბუქი გახდება ჯარისკაცის სრული ეკიპირება. ცნობისათვის, ნანომეტრი მეტრის მემილიარდე ნაწილია, ნანოტექნოლოგია კი ამ მასშტაბის დეტალებისა და ნაწილაკების გამოყენების საშუალებას იძლევა.

"ჩვენს მიერ დამუშავებული 2020 წლის მომავლის ჯარისკაცის უნიფორმა დაახლოებით იმავეს ნიშნავს, რასაც საავტომობილო მრეწველობისთვის წარმოადგენს, ვთქვათ, დეტროიტში ნაჩვენები კონცეპტუალური ავტომობილი. ეს მომავლის უნიფორმაა, რომლის მისაღებადაც უამრავი ტექნოლოგიური ბარიერის მოხსნა დაგვჭირდება. ამ სისტემაში გამოყენებულ იქნება მასაჩუსეტსის ტექნოლოგიების ინსტიტუტის უახლესი მიღწევები", - ამბობს დეგაი. სხვათა შორის, აღნიშნულმა ინსტიტუტმა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსგან მიიღო 50-მილიონდოლარიანი შეკვეთა, რომელიც ხუთწლიანი პროგრამის ფარგლებში, სამხედრო დანიშნულებისთვის ახალი ნანოტექნოლოგიების დამუშავებას ითვალისწინებს.

შედეგად, უნდა შეიქმნას სიფრიფანა ქსოვილი, რომელიც უფრო ეფექტურად აისხლიტავს მტრის მიერ ნასროლ ტყვიებს, ვიდრე ამას თანამედროვე ჯავშანჟილეტები აკეთებენ. მაგალითად, წარმოიდგინეთ სპეცდანიშნულების ჯარისკაცი, რომელსაც სამოქალაქო სამოსი აცვია. ის მოულოდნელად აღმოაჩინეს და სროლა დაუწყეს. მაგრამ მისი მოდური სამოსი ხომ ნანოტექნოლოგიური ჯავშანჟილეტია, რომლის სისქე აბრეშუმის ნაჭერზე თხელია და რაც მთავარია, ის ადვილად დაიცავს ჯარისკაცს ტყვიებისგან და არც თავისი წონით დაამძიმებს მას.

დღეს ამგვარი რამის ნახვა მხოლოდ ფილმებში თუ შეიძლება, მაგრამ თუ მასაჩუსეტსის ინსტიტუტის მეცნიერები დაკისრებულ ამოცანას გაართმევენ თავს, მაშინ ფილმიდან მსგავსი სიუჟეტი რეალობაშიც გადმოვა და მომავლის ამერიკელი ჯარისკაცი ტყვიაგაუმტარი გახდება. უფრო მეტიც, ნანოტექნოლოგიური სამოსით აღჭურვილ ჯარისკაცს ახლოდან მთელი მჭიდიც რომ დააცალო, მისი ჯავშანი მაინც გაუმტარი დარჩება. ეს კი თანამედროვე ჯავშანჟილეტებისთვის შეუძლებელია. ისინი მხოლოდ შორიდან ნასროლი ტყვიებისგან იცავენ ჯარისკაცს, მაგრამ გრძელი ჯერის გაძლება არ შეუძლიათ.

კიდევ ერთი საინტერესო კონცეპციაა ნანოტექნოლოგიური კუნთების ბოჭკოები. მათი მეშვეობით, ჯარისკაცები უფრო ამტანები და ძლიერები გახდებიან. ისინი გაცილებით მეტ მანძილს გაივლიან, ან გაირბენენ საბრძოლო ოპერაციების დროს, უფრო მეტი საბრძოლო ტვირთის გადატანას შეძლებენ და საჭიროების შემთხვევაში, უფრო ადვილადაც მოახერხებენ ბრძოლის ველიდან დაჭრილი თანამებრძოლის, ან სამხედრო ტყვის გამოყვანას.

ჯარისკაცის სამსახურში ჩადგება რობოტიზებული დამხმარე ქვედა კიდურები, რომელთა მეშვეობითაც, მეომარი უფრო სწრაფი, მოქნილი და ძლიერი გახდება. ის უფრო მაღალი ტემპით გადაადგილებას შეძლებს, მეტ მანძილს გაირბენს და ტრავმის მიღების შემთხვევაშიც არ დაკარგავს ბრძოლისუნარიანობას. ამ სისტემების მეშვეობით, ჯარისკაცი ნახევრად რობოტიზებული გახდება და მეტწლად თავისი ტვინით მოემსახურება დამხმარე სისტემას, რომელსაც ნაწილობრივ, კომპიუტერიც გააკონტროლებს. გათვალსწინებულია ისეთი რობოტიზებული სისტემის შექმნა, რომელზეც მცირე და საშუალო კალიბრის ქვემეხები დამაგრდება და ჯარისკაცს ერთგვარ მოსიარულე საარტილერო პლატფორმად გადააქცევს.

პროექტის მონაწილენი და ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ დღეს კონცეფციის სახით არსებული იდეები 15-20 წლის შემდეგ რეალობად იქევა და ამერიკელი ჯარისკაცების სამსახურში ჩადგება.

აფრიანი გემების ერა ბრუნდება

შესაძლოა, ეს შორეული მომავლის საქმეა, მაგრამ გერმანული კომპანია "სკაისეილის" მიერ შექმნილმა უჩვეულო აფრიანმა სისტემამ შეიძლება გადატრიალება მოახდინოს მსოფლიოს ნაოსნობაში. მისი მეშვეობით, ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს, შესაძლებელია გიგანტური ტანკერებისა და კონტეინერმზიდების, ასევე სამგზავრო ლაინერების საწვავის ხარჯის განახევრებაც კი.

თანამედროვე გემებში ქარის ენერგიის გამოყენებით, საწვავის ხარჯის შემცირებაზე მეცნიერები უკვე დიდი ხანია, ფიქრობენ. მაგრამ დღემდე შემუშავებული უამრავი პერსპექტიული პროექტისთვის ერთადერთი გადაულახავი პრობლემა არსებობდა - ისინი თანამედროვე ხომალდების მნიშვნელოვან გადაკეთებას და გემებზე მომსახურე პერსონალის გაზრდას მოითხოვდნენ. რა თქმა უნდა, თანამედროვე ხომალდებზე ანძების აღმართვას არავინ ისურვებდა. არც ისაა სასურველი, რომ აფრის მომსახურებისთვის საგრძნობლად გაიზარდოს ხომალდის პერსონალი, რასაც შესაბამისი ხარჯების ზრდაც მოჰყვება.

"სკაისეილის" მიერ შემოთავაზებული პროექტი კი სწორედ იმითაა საყურადღებო, რომ ის გემების უმნიშვნელო მოდერნიზებას ითვალისწინებს და აფრის მართვაც სრულიად ავტომატიზებულია. გერმანული კომპანია კონსტრუქტორებსა და გემთმფლობელებს სთავაზობს უზარმაზარი, პარაშუტის მაგვარი, გიგანტური ზომის მქონე ფრთის გამოყენებას, რომლის პროფილსაც მუშაობის დროს, ქარის ძალისა და მიმართულების გათვალისწინებით, კომპიუტერი განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, კომპიუტერი ითვალისწინებს ხომალდის მარშრუტს, მის წონას, ტვირთის რაოდენობას და სხვა პარამეტრებს. აფრა-ფრთა გემთან მტკიცე ბაგირების სისტემითაა დაკავშირებული და მისი სამუშაო ფართობი 5000 კვადრატულ მეტრს აღწევს, სამუშაო სიმაღლე კი დაახლოებით 500 მეტრია.

კვანძს, რომლის მეშვეობითაც აფრა-ფრთა შეერთებულია ხომალდთან, გემის გარშემო გაკეთებულ ღარში გადაადგილება შეუძლია. ღარი, რომლის გასწვრივაც შეუძლია აფრის სამაგრს გადაადგილება, თითქმის მთელ ხომალდს უვლის გარს და ამგვარად, ის არ იკავებს ადგილს გემბანის შიდა ნაწილში. სხვათა შორის, გერმანული პროექტი აფრის სამაგრი ამგვარი კვანძითაც განსხვავდება სხვა მსგავსი პროექტებისგან.

კომპიუტერი ისეა დაპროგრამებული, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ნებისმიერი მიმართულების (ირიბად შემხვედრიც კი) ქარი. რა თქმა უნდა, ქარის საპირისპირო მიმართულებით ცურვას გემი ვერ შეძლებს, თუმცა ის კი შესაძლებელია, რომ გემის კურსი ქარის მიმართულებასთან 135 გრადუსს აღწევდეს (საპირისპირო მიმართულებას 45 გრადუსიღა უკლია).

საინტერესო მაგალითი იმისა, თუ რა ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია "სკაისეილის" მიერ გამოგონებული აფრის ფართო დანერგვას: დღეისათვის კონტინენტთაშორისი სავაჭრო ტვირთბრუნვის თითქმის 98.2 პროცენტი სატვირთო გემების მეშვეობით ხორციელდება, გემების 98 პროცენტი კი დიზელის ძრავებითაა აღჭურვილი. 2002 წელს სატვირთო გემებმა დაახლოებით 25 მილიარდი ევროს ღირებულების საწვავი მოიხმარეს და იმავდროულად, საგრძნობლად დააბინძურეს გარემო. "სკაისეილის" სისტემა კი ამ ხარჯების განახევრების შესაძლებლობას იძლევა. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ყველა მოქმედი ან მშენებარე გემი გერმანელთა მიერ შემუშავებული აფრიანი სისტემით აღიჭურვება.

რაც შეეხება კომპანია "სკაისეილს", ის 2001 წელს, ჰამბურგში ჩამოაყალიბეს სამრეწველო ინჟინერმა შტეფან ვრაგემ და გემების კონსტრუქტორმა თომას მეიერმა. მათი კომპანია კი პირველი იყო, რომელიც გერმანიის მთავრობის მიერ, სპეციალურად, მსგავსი პროექტების მხარდასაჭერად შექმნილი ორგანიზაცია "იდეენფონდსის" მეშვეობით დაფინანსდა. ამ ფონდისგან მხარდაჭერის მისაღებად, მთავარი კრიტერიუმი ისაა, რომ გამოგონებული ტექნოლოგია ინოვაციური უნდა იყოს და რაც მთავარია, დიდი ეკონომიკური ეფექტის მოხდენა უნდა შეეძლოს.

სხვათა შორის, მსგავს იდეებზე ადრე იაპონელები და დანიელებიც მუშაობდნენ, მაგრამ მათ დროს ტექნოლოგიები ასეთი განვითარებული არ ყოფილა და მათ არც შესაფერისი მასალები ჰქონდათ ხელთ. და კიდევ, ადრე ყველა ერთსა და იმავე პრობლემას აწყდებოდა - უქარობის დროს, უზარმაზარი აფრები გემის აეროდინამიკურ წინააღმდეგობას რამდენჯერმე ზრდიდა, რაც ხარჯის საგრძნობ ზრდასა და ამით, აფრის გამოყენების ეფექტის გაუარესებას იწვევდა.

"სკაისეილის" (ციური აფრები) პროექტი ამ კუთხითაც საინტერესოა. როგორც ზემოთაც ითქვა, გერმანული პროექტი აფრის 500 მეტრზე ზევით აშვებას ითვალისწინებს. ის ერთგვარი საჰაერო გველივით იმუშავებს და თითქმის მუდმივად ქარის ზემოქმედების ქვეშ იქნება. ეს იმიტომ, რომ ზღვის დონიდან 500-1000 მეტრის სიმაღლეზე ქარი თითქმის მუდმივად ქრის, გაცილებით ძლიერიცაა და არც მიმართულებას იცვლის ხშირად. და თუ ქარი მაინც შეიცვლის მიმართულებას, აფრის სამაგრიც შესაბამისად გადაადგილდება გემის გარშემო და ისეთ პოზიციას დაიკავებს, საიდანაც უფრო ეფექტურად გამოიყენებს ქარის ძალას. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას კომპიუტერი გამოითვლის სპეციალური სენსორებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით. შემდეგ კი, გადაწყვეტილებასაც მიიღებს და სპეციალური სერვომოტორებისა და ჰიდრავლიკური "კიდურების" მეშვეობით, ყველაზე ოპტიმალურ ფორმას მისცემს აფრას და საჭირო მიმართულებით მიუშვერს მას ქარს.

"სკაისეილმა" შარშან რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა ბალტიის ზღვაზე, რომელთა დროსაც დადგინდა, რომ მათ მიერ შემუშავებული აფრა-ფრთის ყოველ კვადრატულ მეტრს მინიმუმ, 1-1.15 კილოვატი ენერგიის გამომუშავება შეუძლია. ეს მაშინ, როცა ექსპერიმენტის დროს, ბალტიის ზღვაზე უქარო ამინდები იყო. რა თქმა უნდა, საშუალო და ძლიერი ქარის დროს, ეს მაჩვენებელი საგრძნობლად მეტი იქნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გერმანული კომპანიის მიერ გამოგონილი აფრის ფართობი რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრია, გამოდის რომ, ხომალდებს მისი სახით ენერგიის კარგი წყარო გამოუჩნდათ.

სტენფორდელებმა გაახალგაზრდავების ახალ მეთოდს მიაგნეს

კალიფორნიის სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კუნთოვანი ქსოვილისა და შინაგანი ორგანოების გაახალგაზრდავების სრულიად ახალ მეთოდს მიაგნეს. მათ მოახერხეს ხნიერი ცხოველის ღვიძლის გაახალგაზრდავება. ეს კი შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ამ ცხოველის სისხლის მიმოქცევის სისტემაში შეშვებულ იქნა ახალგაზრდა ცხოველისგან აღებული სისხლი. ცდები თაგვებზე ტარდებოდა, მათი შედეგები კი სამეცნიერო წრეებში დიდი ავტორიტეტის მქონე ჟურნალმა "ნეჩურმა" გამოაქვეყნა.

კვლევის ხელმძღვანელ ტომას რანდოს განცხადებით, ახალგაზრდა თაგვისგან აღებულმა სისხლმა საცდელი თაგვის ღვიძლის სრული რეგენერაცია გამოიწვია. ეს მაშინ, როცა ამ ორგანოში უკვე დაწყებული იყო ხნიერებასთან დაკავშირებული ცვლილებები.

მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ცოცხალ ორგანიზმს იმაზე გაცილებით მეტი პოტენციალი გააჩნია, ვიდრე ეს ადრე იყო მიჩნეული. ამ პოტენციალში უჯრედების გაახალგაზრდავებაც იგულისხმება.

რანდოს განმარტებით, ახალგაზრდა ცხოველის სისხლმა გაააქტიურა საცდელი თაგვის კუნთოვანი მასისა და ღვიძლის უჯრედების აღმდგენი მექანიზმი, რომელიც წლების განმავლობაში ერთგვარად მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფება. უფრო მეტიც, მეცნიერი მიიჩნევს, რომ ანალოგიური თვითრეგენერაციის უნარი ადამიანის ორგანიზმსაც გააჩნია და მასზე შესაბამისი მანიპულაციის შედეგად, მსგავსი შედეგის მიღწევა შესაძლებელია.

თუმცა, ამ მანიპულაციის შემუშავება მანამ ვერ მოხერხდება, სანამ მეცნიერებს არ ეცოდნებათ, თუ ახალგაზრდა სისხლის რომელი ელემენტი ახდენს ორგანიზმზე გამაახალგაზრდავებელ ზემოქმედებას.

შიდსი კიბოს წინააღმდეგ

ირვინგ ჩენმა და მისმა კოლეგებმა ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, შეძლეს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გენეტიკურად მოდიფიცირება და მას "ასწავლეს" კიბოს უჯრედების განადგურება. მეცნიერები ექსპერიმენტებს ატარებდნენ თაგვებზე, რომლებიც ფილტვის კიბოთი იყვნენ ავად.

მეცნიერებმა გენეტიკურად შეცვლილი ვირუსი მოათავსეს ერთგვარ "კონვერტში", რომელიც სხვა ვირუსისგან (სახელად სინდბის) შექმნეს. ვირუსების ამგვარი კომბინაციით შესაძლებელი გახდა დაავადებული თაგვის ფილტვებში კიბოვანი უჯრედების დევნა-განადგურება. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტატორებმა ვირუსული "პაკეტი" იმგვარად დააპროგრამეს, რომ მას შესძლებოდა კიბოს უჯრედების აღმოჩენა და მათზე მიბმა, რის შემდეგაც, ვირუსი ანადგურებდა დაავადებული უჯრედის ზედაპირზე არსებულ განსაზღვრულ ცილას. ეს ცილა იმითაა ცნობილი, რომ მოქმედებაში ხელს უშლის ჩვეულებრივი ქიმიოთერაპიის წამლებს.

ცილის სახელწოდებაა p-გლიკოპროტეინი და ის ხელს უშლის მკურნალობის კურსს. ლოს ანჯელესელმა მკვლევარებმა კი შეძლეს და ვირუსების მათ მიერვე შექმნილი სისტემა სწორედ ამ ცილაზე მიმართეს. ექსპერიმენტმა გაამართლა და ვირუსების პაკეტი ყველა ექსპერიმენტულ შემთხვევაში, დანიშნულების ადგილამდე იქნა მიტანილი.

"ზოგი შეიძლება შემოგვედავოს, რამდენად გამართლებულია თერაპიაში შიდსის ვირუსის გამოყენება. ამაში საშიში არაფერია, რადგან ჩვენ ამ ვირუსის მხოლოდ 20 პროცენტს ვიყენებთ, დანარჩენ 80 პროცენტს კი ვაგდებთ. ასე რომ, ჩვენს მიერ ჩატარებული მოდიფიკაციის შემდეგ, ის მხოლოდ კურიერის, ფოსტალიონის მოვალეობის შესრულებასღა ახერხებს", - ამბობს ჩენი.

სხვათა შორის, მეტი თვალსაჩინოებისთვის მეცნიერებმა ვირუსის პაკეტს ფლუორესცენტული ცილა მიაბეს, რათა ექსპერიმენტის დროს უკეთ დაენახათ, რომ ეს პაკეტი სწორედ კიბოს უჯრედებთან შედის კონტაქტში. ჩენი ამბობს, რომ თავის მეთოდს კიდევ უამრავ გამოცდას ჩაუტარებს მანამ, სანამ პირველი ექსპერიმენტები ადამიანებზეც ჩატარდება.

ორშაბათი 21.03

რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 ტელელიპუცები 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) 15.25 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 ტელელიპუცები 18.30 პატრული 19.00 ქართული ფეხბურთი 19.55 სერიალი "შეყვარებული ქალები" 22.00 სუსტი რგოლი 23.00 ფორტ-ბოიარდი 00.00 მხ. ფილმი "მეომრები" (18) 02.10 პატრული

JIST

09.00 პროგრამა "დილა" 11.00 "საბავშვო ხუთეული" 11.30, 16.45, 20.30 სტერეო-ნიუსი 11.54 პოპ-ათეული 12.30 სმს-ჩარტი 13.30 სტერეო-რეპი 14.00 ავტოპილოტი 15.00 სმს-ჩარტი 16.00 პოპ-ათეული 17.00 რეტრო 17.30 "საბავშვო ხუთეული" 18.00 სმს-ჩარტი 19.00 ლიტ. ვიქტორინა 20.00, 23.00 "ქალაქური" 21.00 რეტრო 21.15 პოპ-ათეული 22.00 სმს-ჩარტი 01.00 ავტოპილოტი

პირველი არხი

08.00 "ადრე" 10.00 სერიალი "დანაშაული" 1-ლი ს. 11.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "რედვოლი" 12.45 დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" აფხაზურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 "ბიოგრაფიული პორტრეტები" -რუზველტი 16.30 დოკ. ფილმი "კარლოს დიდის ეპოქა" 1-ლი ს. 17.30 "ვაკანსია" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერიალი "შირლი ჰოლმსი" 19.00 "მედიატორი" 19.30 "გზაჯვარედინი" 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" 23.00 მრწამსი - აბორტი 23.30 მხ. ფილმი "დილეტანტები" (12) 01.45 საინფ. გამოშვება

კავკასია

11.00, 17.00, 21.00 ტუწ-ემ 11.30 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.30 ინდ. მხ. ფილმი "შურისძიების წყურვილი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 სპექტრი 22.30 საქმე და ეკონომიკა 00.45 მხ. ფილმი "დრაკონის კარიბჭე" (გ)

202

10.00 დებატები (განმ.) 12.00 მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" 13.00 სერიალი "დიდი სახლი" (გან.) 14.00 მუს. გადაცემა "პროპაგანდა" 18.00 მუსიკა 22.00 სერიალი "დიდი სახლი" 23.00 დებატები 202-ზე

მზე

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "სცენა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "პოლიციელი ქალები" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 "ავტოგრაფი". ლეილა მესხი. 13.05 სერიალი "დიელი და პასკო" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "დიელი და პასკო" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 მუსიკა 19.00 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "პოლიციელი ქალები" 21.00 ჯეოსტარი - ფილარმონია. 23.00 დოკ. ფილმი "ამხანაგი პრეზიდენტი" 1-ლი ნ. 00.00 მხ. ფილმი "სამი ისტორია" (18) (ოლეგ ტაბაკოვი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.50 "ბაბილინა" 20.05 სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 20.30 სერიალი "პროვანსი და მხატვრები" 20.55 დოკ. ფილმი "ზეციური სპილოს დაცემა" 21.45 კონცერტი 22.30 კინოსეანსი "პარმის სავანე" 1-ლი ს.

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 იმედის დილა 09.15 "ნუცას სკოლა" 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 დროება 11.30, 17.10, 03.00 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 01.50 ტვ-მარკეტი 13.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.25 ვაკაჭი-ნიუსი 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" 22.55 "ნიკა ქავთარაძის შოუ" 23.55 სპ. პროგრამა "გოლი" 00.25 ნადიმი ჟანრი კაშიასთან ერთად 02.20 "ნუცას სკოლა" (გამ.)

აჭარა

08.00 მუსიკა 08.30 საინფ. დაიჯესტი 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" (გან) 10.00 მხ. ფილმი "ვარდისფერი ბანდა" 11.35 მუსიკა 12.00 კომედია "ვირთხების რბოლა" 13.50 დოკ. ფილმი 14.30 საინფ. გამოშვება 14.50 მხ. ფილმი "ტიტუსი-რომის მმართველი" 17.30 საინფ. გამოშვება 17.55 მულტფილმი 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 18.55 მუსიკა 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 20.30 საინფ. გამოშვება 21.05 ბოევიკი "უცხოელი" 22.40 მუსიკა 23.00 დოკ. ფილმი "აეროპორტები" 1 ს. 00.00 საინფ. დაიჯესტი 00.25 მხ. ფილმი "ქურდი"

ОРТ

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Александр Лазарев в триллере **"ПРИЯТЕЛЬ ПОКОЙНИКА"** 11.10 Док. фильм "Скандалы на льду". 12.20 Эми Роббинс в фильме **"ВТОРАЯ КНИГА ДЖУНГЛЕЙ"** 14.00 Искатели. "Чумной форт". 14.30 "Угадай мелодию" 15.20 Анатолий Лобоцкий в многос. детективе **"СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ"** 16.20 "Пять вечеров". 17.30 Криминальная Россия. "Палачи". 1-2 с. 18.40 Сериал **"КЛОН".** 19.50 Жди меня. 21.00 Время. 21.30 Сериал **"ХИРОМАНТ".** 22.40 Док. фильм "Космонавт номер ноль". 23.30 Авторская программа Э. Радзинского "Дом Романовых. Любовь и смерть". Фильм 1-й. 00.40 Игорь Петренко, Екатерина Климова в программе "Русский экстрим". 01.10 Майкл Джей Фокс в комедии **"СЕКРЕТ МОЕГО УСПЕХА".** Получив хорошее образование, Брентли Фостер направляется из Канзаса в Нью-Йорк в надежде сделать сногсшибательную карьеру в какой-нибудь крупной корпорации. Но выясняется, что его нигде не ждут с распростертыми объятиями. Делать нечего, приходится разыскивать отдаленного родственника, дядю Говарда Прескотта, который управляет многомиллионной корпорацией. И Брентли получает место, но... в отделе доставки писем. 02.50 Энтони Майкл Холл в триллере **"ЖЕНАТЫЙ".** Супружеская пара Тед и Ив Робинс переезжает в новый дом, красивый и удобный, к тому же с секретом: в фундаменте имеется скрытая звуконепроницаемая комната. Некоторое время спустя Ив начинает подозревать своего супруга в неверности. Предприняв небольшое расследование, она узнает, что Тед обманывает ее уже много лет. Ревность захлестывает несчастную женщину с головой, и она разрабатывает план мести. А вскоре Тед бесследно исчезает... 04.20 Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА".** 05.05 Новые чудеса света. "Евротоннель".

НТВ

06.00 "Сегодня утром". 09.05 Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: САПОЖНИК, ПОРТНОЙ, А ТЫ КТО ТАКОЙ".** 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 "Сегодня" 10.20 "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. 10.55 Кулинарный поединок. 11.55 Квартирный вопрос. 13.40 Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2: СВИДЕТЕЛЬ ДОЛЖЕН УМЕРЕТЬ".** 15.30 Чрезвычайное происшествие. 16.20 Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Сериал **"СВОБОДНАЯ ЖЕНЩИНА-2".** 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Сериал **"ХЕРУВИМ".** 20.45 Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ".** 21.50 Чрезвычайное происшествие. 22.40 Анастасия Волочкова в сериале **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** 1-я серия. 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.15 Сериал **"ХЕРУВИМ".** 01.15 Журнал Лиги чемпионов. 01.45 Изабель Юппер в фильме **"РАССТАВАНИЕ".** Пьер и Анна уже не молоды, но и не стары. Их сыну Лулу всего 15 месяцев. Они в свое время очень любили друг друга, но любовь преобразилась в привычку каждый день видеть друг друга, говорить обязательные слова, совершать какие-то действия, ходить на работу, встречаться за обедом и т.д. Не все и не всегда Пьеру и Анне нравится друг в друге. И вот случилось так, что Анна полюбила другого. Она немедленно сообщила об этом Пьеру. Пьер не стал устраивать ей "сцен", не впал в истерику, но сам факт измены его, конечно, потряс, и он никак не мог решить, что же ему в этой ситуации делать. 03.15 Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** 04.10 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** 04.55 Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2".** 05.40 Чрезвычайное происшествие.

სამშაბათი 22.03

რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 ტელელიპუცები 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 სუსტი რგოლი 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "მაღალი ქერა მამაკაცის დაბრუნება (გ) 15.25 ქართული ფეხბურთი 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 ტელელიპუცები 18.30 პატრული 18.55 სერიალი "შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 ნ. ქაჯაიას დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი "ალ კაპონეს ბიჭები" (18) 02.20 პატრული

JIST

09.00 პროგრამა "დილა" 11.00 "საბავშვო ხუთეული" 11.30, 16.45, 20.30 სტერეო-ნიუსი 11.54 პოპ-ათეული 12.30 სმს-ჩარტი 13.30 სტერეო-რეპი 14.00 ავტოპილოტი 15.00 სმს-ჩარტი 16.00 პოპ-ათეული 17.00 რეტრო 17.30 "საბავშვო ხუთეული" 18.00 სმს-ჩარტი 19.00 ლიტ. ვიქტორინა 20.00, 23.00 "ქალაქური" 21.00 რეტრო 21.15 პოპ-ათეული 22.00 სმს-ჩარტი 01.00 ავტოპილოტი

პირველი არხი

08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" 11.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "რედვოლი" 12.45 დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" ოსურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 დოკ. ფილმები "უ. ჩხეიძე", "საუბრები ვ. ანჯაფარიძესთან" 16.15 სიცილის ოთახი 16.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ვენა) 17.30 დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" 18.00 "მთავარი" -რეგიონებიდან 18.30 სერიალი "შირლი ჰოლმსი" 19.00 "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ-"ოდისეა" 1-ლი ს. 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "ინგლისი - პაციენტი" 23.00 პროფესიონალი - ავტომობილეობა 23.30 მხ. ფილმი "ნუცას სკოლა" (გ) 01.10 საინფ. გამოშვება

კავკასია

11.00, 17.20, 00.30 ტუწ-ემ 15.45 საქმე და ეკონომიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 სპექტრი 21.30 მხ. ფილმი "სასიკვდილო დევნა" (გ)

202

10.00 დებატები (განმ.) 12.00 მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" 13.00 სერიალი "დიდი სახლი" (გან.) 14.00 მუს. გადაცემა "პროპაგანდა" 18.00 მუსიკა 22.00 სერიალი "დიდი სახლი" 23.00 დებატები 202-ზე

მზე

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "მოდა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "პოლიციელი ქალები" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" 13.05 სერიალი "დიელი და პასკო" 14.15 დოკ. ფილმი "ამხანაგი პრეზიდენტი" 1-ლი ნ. 15.10 შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 სერიალი "დიელი და პასკო" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 მუსიკა 19.00 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "პოლიციელი ქალები" 21.45 არჩევანის ზღვარზე 22.45 საფესტივალო ჩვენება. "ჩარლის ძიებაში", "კიდევ ერთი ქართული ისტორია". 00.00 მხ. ფილმი "სიტყვებით თამაში" (18) (დარიო გრანდინეტი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.50 "ბაბილინა" 20.05 სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 20.30 სერიალი "პროვანსი და მხატვრები" 20.55 დოკ. ფილმი "ზეციური სპილოს დაცემა" 21.20 სპექტაკლი "ძნელი" 22.15 კინოსეანსი "პარმის სავანე" მე-2ს.

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 იმედის დილა 09.15 "ნუცას სკოლა" 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" 11.35 სერიალი "ყავა და ლუდი" 12.40, 16.25, 01.55 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "კატის კნავილი" (კ. დანსტი) 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.10, 03.05 იმედის მელოდიები 17.25 არტ-ბულვარი 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "ყავა და ლუდი" 22.50 სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" 23.15 "უცნობი საქართველო" 23.45 მხ. ფილმი "მუსოლინი და მე" მე-3-4ს. (გ) 03.40 "ნუცას სკოლა" (გამ.)

აჭარა

08.00 მუსიკა 08.30 საინფ. დაიჯესტი 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" (გან) 10.00 მუსიკა 10.30 დოკ. ფილმი "აეროპორტები" 1 ს. (გან) 11.30 მუსიკა 12.00 კომედია "კიკუჯირო" 14.00 მუსიკა 14.30 საინფ. გამოშვება 14.50 ისტორიული ფილმი "ბუს ციხე-სიმაგრე" 17.10 მუსიკა 17.30 საინფ. გამოშვება 17.50 მულტფილმი 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 18.50 მუსიკა 19.15 "წკიპურტები" 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 20.30 საინფ. გამოშვება 21.05 მხ. ფილმი "წინააღმდეგი ხომ არა ხარ დედას ვაკოცო?" 22.30 მუსიკა 22.50 "მოგზაური" 23.30 "სტარტი" 00.00 საინფ. დაიჯესტი 00.20 მხ. ფილმი "ობობა"

ОРТ

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал **"ХИРОМАНТ".** 10.30, 18.40 Сериал **"КЛОН".** 11.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". 12.20 Майя Булгакова в фильме **"НЕЧАЯННАЯ ЛЮБОВЬ".** 13.50 Док. фильм "Константин Хабенский. Несерьезный разговор". 14.30 "Угадай мелодию" 15.20 Анатолий Лобоцкий в многос. детективе **"СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ".** 16.30 "Пять вечеров". 17.30 Криминальная Россия. "Крысоловы". 1-2 с. 19.50 Анатолий Лобоцкий в сериале **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ".** 21.00 Время. 22.40 Спецрасследование. "Врачебная ошибка". 23.30 Авторская программа Э. Радзинского "Дом Романовых. Любовь и смерть". Фильм 2-й. 00.40 "Формула власти". Президент Сербии и Черногории. 01.10 Голди Хоун в фильме **"КАК В СТАРОЕ, ДОБРОЕ ВРЕМЯ".** Разведенный писатель-романист Ник Гордения живет уединенно на берегу океана пишет новый роман. Двое преступников похищают беднягу и невольно делают соучастником банковского ограбления. Вынужденный скрываться от властей, Ник добирается до дома своей бывшей жены Гленды в надежде на помощь. Но экс-супруга уже успела выйти замуж за другого. Ее муж - местный окружной прокурор, а сама Гленда - общественный обвинитель. 03.05 Фредди Принз-мл в боевике **"КОМАНДИР ЭСКАДРИЛЬИ".** 2564 год. Кровожадная инопланетная раса килратхов расшифровала код защитного поля Земли и направляется в Солнечную Систему с планами тотального уничтожения. Их нужно задержать до тех пор, пока не подоспеют основные космические силы землян. Два молодых пилота космического истребителя вступают в отчаянную схватку с захватчиками, чтобы прорвать оборону и выиграть время. 04.50 Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА".**

НТВ

06.00 "Сегодня утром". 09.05 Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: С ТЕХ САМЫХ ПОР".** 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 "Сегодня" 10.15 Чистосердечное признание. 10.50 Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ".** 11.55 Сериал **"ХЕРУВИМ".** 13.40 Михаил Волков в фильме **"ПУТЬ В "САТУРН".** В самом начале войны капитан Крылов - он же Михаил Крамер - был заброшен в тыл к немцам с целью проникновения в разведшколу "Сатурн", занимавшуюся подготовкой кадров, для заброски в Москву. Для того чтобы выполнить задание, он должен завоевать доверие руководства школы. 15.30 Чрезвычайное происшествие. 16.20 Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Сериал **"СВОБОДНАЯ ЖЕНЩИНА-2".** 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Сериал **"ХЕРУВИМ".** 20.45 Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ".** 21.50 Чрезвычайное происшествие. 22.40 Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.15 Сериал **"ХЕРУВИМ".** 01.20 Сериал **"ДЕТЕКТИВ РАШ".** 02.15 Бильярд. 03.15 Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** 04.10 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** 04.55 Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2".** 05.40 Чрезвычайное происшествие.

ოთხშაბათი 23.03

რუსთავი - 2

07.30 დილა 08.00 ტელელიპუცები 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.45 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "100 დღე ბავშვობის შემდეგ" (გ) 15.25 სერიალი "ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 ტელელიპუცები 18.30 პატრული 18.55 სერიალი "შეყვარებული ქალები" 22.00 ხალხის პირისპირ 23.00 დოკ. ფილმი "იულიუს კეისრის უდიდესი ბრძოლა" 00.00 მხ. ფილმი "ევროტური" (18) 02.05 პატრული

JIST

09.00 პროგრამა "დილა" 11.00 "საბავშვო ხუთეული" 11.30, 16.45, 20.30 სტერეო-ნიუსი 11.54 პოპ-ათეული 12.30 სმს-ჩარტი 13.30 სტერეო-რეპი 14.00 ავტოპილოტი 15.00 სმს-ჩარტი 16.00 პოპ-ათეული 17.00 რეტრო 17.30 "საბავშვო ხუთეული" 18.00 სმს-ჩარტი 19.00 ლიტ. ვიქტორინა 20.00, 23.00 "ქალაქური" 21.00 რეტრო 21.15 პოპ-ათეული 22.00 სმს-ჩარტი 01.00 ავტოპილოტი

პირველი არხი

08.00 "ადრე" 22.00 დოკ. ფილმი "ინგლისი - პაციენტი" 11.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 12.00 "მთავარი" 12.20 ანიმაციური ფილმი "რედვოლი" 12.45 დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00 "მთავარი" სომხურ ენაზე 15.20 "მთავარი" რუსულ ენაზე 15.30 რაციო - გაგა ნიჟარაძე 16.30 დოკ. ფილმი "კარლოს დიდის ეპოქა" 17.30 ვაკანსია 18.00 "მთავარი" რეგიონებიდან 18.30 სერიალი "შირლი ჰოლმსი" 19.00 "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ოდისეა" მე-2ს. 20.00 "მთავარი" 20.45 "ბაბილინა" 21.00 სერიალი "მემკვიდრე ლუნა" 22.00 დოკ. ფილმი "შავი ფარაონი" 23.00 ახალი პროექტი - "უფლის რწმენით და შეწევნით" 23.30 კინოსამყარო "მაგარი ბიჭები" (12) 02.10 საინფ. გამოშვება

კავკასია

11.00, 13.00, 17.20, 00.30 ტუწ-ემ 11.30 მხ. ფილმი "სასიკვდილო დევნა" (გ) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 სპექტრი 22.00 მხ. ფილმი "შეურიგებელნი" (გ)

202

10.00 დებატები (განმ.) 12.00 მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" 13.00 სერიალი "დიდი სახლი" (გან.) 14.00 მუს. გადაცემა "პროპაგანდა" 18.00 მუსიკა 22.00 სერიალი "დიდი სახლი" 23.00 დებატები 202-ზე

მზე

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" 09.25 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "პოლიციელი ქალები" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 12.05 შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 13.05 "დიელი და პასკო" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" 16.00 მუსიკა 16.05 "ველური მთვარე" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.20 "დიელი და პასკო" 18.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.50 მუსიკა 19.00 სერიალი "ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი "პოლიციელი ქალები" 21.45 არჩევანის ზღვარზე 22.45 საფესტივალო ჩვენება. "ქუჩის ბავშვები", "პონტო შავი, შავი ზღვა", "ჩე". 00.00 მხ. ფილმი "ნოსტრადამუსი" (15) (რობ ესტესი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.50 "ბაბილინა" 20.05 სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 20.30 სერიალი "პროვანსი და მხატვრები" 20.55 დოკ. ფილმი "ველური კამერები" 21.45 კინოსეანსი "წითური"

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 იმედის დილა 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" 11.35 სერიალი "ყავა და ლუდი" 12.40, 16.25, 02.00 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "ცხოვრება სავსეა თავშესაქცევით" (პ. ტოდოროვსკი) 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.50 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.10, 02.30 იმედის მელოდიები 17.20 არტ-ბულვარი 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "ყავა და ლუდი" 22.50 სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" 23.15 "უცნობი საქართველო" 23.45 მხ. ფილმი "ლედი და ჰერცოგი" (გ) (ჟან კლოდ დრეიფუსი)

აჭარა

08.00 მუსიკა 08.30 საინფ. დაიჯესტი 09.00 სერიალი "ჩემი სამი და" (გან) 10.00 მუსიკა 10.20 "მოგზაური" 11.00 "სტარტი" 11.30 მხ. ფილმი "პერლ-ჰარბორი" 14.30 საინფ. გამოშვება 14.50 თრილერი "ფანატი" 17.00 მუსიკა 17.30 საინფ. გამოშვება 17.55 მულტფილმი 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 18.55 მუსიკა 19.30 სერიალი "ჩემი სამი და" 20.30 საინფ. გამოშვება 21.05 კომედია "უნდა მოკვდეს დედაბერი" 22.50 მუსიკა 23.00 დოკ. ფილმი "აეროპორტები" 2 ს. 00.00 საინფ. დაიჯესტი 00.25 მელოდრამა "დღე და ღამე"

ОРТ

06.00 "Сегодня утром". 09.05 Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: С ТЕХ САМЫХ ПОР".** 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 "Сегодня" 10.15 Чистосердечное признание. 10.50 Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ".** 11.55 Сериал **"ХЕРУВИМ".** 13.40 Михаил Волков в фильме **"ПУТЬ В "САТУРН".** В самом начале войны капитан Крылов - он же Михаил Крамер - был заброшен в тыл к немцам с целью проникновения в разведшколу "Сатурн", занимавшуюся подготовкой кадров, для заброски в Москву. Для того чтобы выполнить задание, он должен завоевать доверие руководства школы. 15.30 Чрезвычайное происшествие. 16.20 Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Сериал **"СВОБОДНАЯ ЖЕНЩИНА-2".** 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Сериал **"ХЕРУВИМ".** 20.45 Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ".** 21.50 Чрезвычайное происшествие. 22.40 Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.15 Сериал **"ХЕРУВИМ".** 01.20 Сериал **"ДЕТЕКТИВ РАШ".** 02.15 Бильярд. 03.15 Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** 04.10 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** 04.55 Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2".** 05.40 Чрезвычайное происшествие.

НТВ

06.00 "Сегодня утром". 09.05 Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ЗАПРОГРАММИРОВАННОЕ УБИЙСТВО".** 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 "Сегодня" 10.15 Особо опасен! 10.50 Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ".** 11.55 Сериал **"ХЕРУВИМ".** 13.40 Михаил Волков в фильме **"КОНЕЦ "САТУРНА".** Завоевав доверие начальства разведшколы "Сатурн" и установив связь с Москвой через своего связника, Крамер (он же Крылов) передает в "центр" данные на известных ему шпионов, прошедших обучение в "Сатурне". Руководство школы, озабоченное частыми провалами шпионов, начинает подозревать Крамера, но ему удается снять с себя подозрения врагов. В Москве, тем временем, большинство шпионов перевербовывается, и начинается радиоигра с целью дезинформации немцев. 15.30 Чрезвычайное происшествие. 16.20 Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Сериал **"СВОБОДНАЯ ЖЕНЩИНА-2".** 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Сериал **"ХЕРУВИМ".** 20.45 Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ".** 21.50 Чрезвычайное происшествие. 22.40 Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.15 Сериал **"ХЕРУВИМ".** 01.20 Сериал **"ДЕТЕКТИВ РАШ".** 02.15 Бильярд. 03.15 Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** 04.10 Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** 04.55 Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2".** 05.40 Чрезвычайное происшествие.

ხუთშაბათი 24.03

რუსთავი - 2

